

**ა. კორასავილი**

## **ეშვენარეთა გამრავლება**

**„ტექნიკური ენვირონმენტი”**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ა. კორაზაშვილი

მცენარეთა გამრავლება



დამტკიცებულია სტუ-ს  
სარედაქტო-საგამომცემლო  
საჭირო მიერ

თბილისი  
2009

სახელმძღვანელოში განხილულია კულტურული და ველურად მოზარდი მცენარეების თესლით და ვეგატატიურად გამრავლების პრაქტიკული მეთოდები და წესები, რომლებმაც წარმატებით დაიმკვიდრეს ადგილი თანამედროვე აგრობიზნესში. სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან ერთად მოცემულია ორნამენტალური (დეკორატიული) მცენარეების გამრავლების თავისებურებანი, რომელთა საშუალებით შეასძლებელია მივიღოთ მაღალკონდიციური და კონკურენტუნარიანი ფართო და მრავალფეროვანი არეალის სათესლე და სარგავი მასალა, რომელზეც საქართველოში მოთხოვნილება ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა და აგრობიზნესის მეტად წარმატებული დარგი გახდა.

**შემდგენელი აგთანდილ კორანდაშვილი** საქართველოს აგრარული სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, მისი აგრობიო-მრავალფეროვნების სამეცნიერო საბჭოს და არასამთავრობო ორგანიზაცია – საქართველოს მესოიერა ასოციაციის თავმჯდომარე. ევროპის გენეტიკური რესურსების საკვები და პარკოსანი კულტურების (ECP/GR), აგრეთვე ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და გარემოს დაცვის საინფორმაციო ტექნოლოგიების ფედერაციის (EFITA) ასოცირებული და ნამდვილი წევრი და მუშა ჯგუფების წარმომადგენელი საქართველოში. საერთაშორისო ორგანიზაციების - TACIS, GTZ, CGIAR, ICARDA, IPGRI, WB, IFAD, BP, DAI, SNFA, USAID-ის სამეცნიერო საბჭოების წევრი, ექსპერტი, მრჩეველი, კოორდინატორი, კონსულტანტი და ანალიტიკოსი. საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი. 27 მეცნიერებათა კანდიდატის და დოქტორის მეცნიერ-ხელმძღვანელი, 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 8 მეთოდური მითითების, 9 ახალი პარკოსანი მცენარის ჯიშის, 2 პატენტის, 2 მონოგრაფიის, 9 სახელმძღვანელოს, საკვებწარმოებაში ინგლისურ-რუსულ-ქართული გლოსარიუმის, ექვსენოვანი აგრარული ლექსიკონის, კომპიუტერული პროგრამისა და მრავალი პუბლიკაციის ავტორი ბეჭდვით და ელექტრონულ მედიაში. დაჯილდოვებულია საშუალო სკოლის დამთავრების ოქროს მედლით (1967), კვების მრეწველობის წარჩინებულის ვერცხლის მედლით (1979), UNESCO-ს კომფუცის ოქროს მედლით (1995), საქართველოს ლირსების ორდენით (1999) და მალაიზიის HACCP-ის ოქროს მედლით (2005).

## რედაქტორი ნინო ლუდუშაური

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2009

ISBN 978-9941-14-763-0

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

## შესავალი

მცენარეთა გამრავლება კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში ადამიანებისათვის ერთ-ერთ წარმტაც, საონოებით აღსავსე, საინტერესო და მაღალშემოსავლიან საქმიანობად იყო მიჩნეული, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მრავალსაუკუნოვანი პერიოდის განმავლობაში შექმნილი უამრავი არტიფაქტები. საქართველო ამ მხრივ მართლაც უნიკალურია, ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში თავმოყრილია ფლორის მრავალათასიანი სახეობები, ყოველი მათგანი ძალზე იშვიათია და გამოირჩევა გასაოცარი მრავალფეროვნებით. ამიტომაც საქართველოს დიაცისქვეშა გენეტიკური რესურსების ბანქს ეძახიან, ხოლო ასეთი ბიომრავალფეროვნება კი ქვეყნის სტაბილური განვითარების გასაღებს წარმოადგენს.

ქართველმა მეურნეებმა ჩვენი სახელმწიფოებრიობის მთელი 30 საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში კარგად იცოდნენ ბიომრავალფეროვნების ფასი და დღენიადაგ ამრავლებდნენ ყველაფერ ჯიშიანსა და საუკეთესოს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია უტყუარი ცნობები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მოზარდი ენდემური ჯიშების დიდი ასორტიმენტისა, რომლებიც მომავალშიც უნდა დავიცვათ, გავამრავლოთ და ფართოდ გავავრცელოთ.

წინამდებარე პრაქტიკულ სახელმძღვანელოში მოცემულია მცენარეთა მრავალი სახეობების სხვადასხვა მეთოდებით გამრავლების ნაწილობრივ უკვე ცნობილი და ჩვენში უცნობი ბევრი ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც მეტად დიდ დახმარებას გაუწევს აგრარული პროფესიული და უმაღლესი განათლების სტუდენტებს, აგრეთვე პრაქტიკოს ფერმერებსა და ამ დარგით დაინტერესებულ პირებს წარმატებულ ბიზნეს-საქმიანობაში.

## გარემო პირობების კონტროლი მცენარეების გამრავლებისათვის

მცენარეთა ნორმალური გამრავლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გარემო პირობების კონტროლს გასამრავლებელი მასალის შენარჩუნებისათვის, ეს იქნება თესლი, კალამი თუ ნამყენი მანამდე სანამ მისგან არ განვითარდება ნორჩი მცენარე. თუ მცენარეების გამრავლებისათვის გამოიყენება მაღალი ხარისხის მასალა, ხოლო ყველა დანარჩენი ქირურგიული ოპერაციები ჩატარდება სწორად, მაშინ მცენარეების გახარება ძირითადად დამოკიდებული იქნება მათი გამოზრდის გარემო პირობებზე. ამიტომ რაც უფრო ადრე დაიწყება რეგულირაციის პროცესები, მით უფრო ნაკლებია წარუმატებლობის აღბათობა.

როცა გარემო პირობებზე ვსაუბრობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ჰაერის სივრცე გარკვეული ტენიანობის დონით, ტემპერატურით, აირების შემადგენლობითა და სინათლის რეჟიმით, აგრეთვე ფესვების გავრცელების ზონა ანუ გამოსაზრდელი სუბსტრატი (ნიადაგი და მისი ნარევი) გარკვეული ტემპერატურით, ტენიანობით, ჰაერის რეჟიმით, გარემოს მეავიანობით (ან ტუტიანობით). ამიტომ ნებისმიერი დანადგარის შესაფასებლად მცენარეთა გამრავლების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ამ ფაქტორების ზემოქმედება.


იდეალურ პირობებში მცენარის მიერ აორთქლებაზე მოხმარებული წყლის რაოდენობა დაყვანილია მინიმუმადე, რითაც მცენარე ინარჩუნებს ჰაერის ოპტიმალურ ტემპერატურას, მცენარეში აღწევს ფოტოსინთეზისათვის სინათლის ოპტიმალური რაოდენობა, სუბსტრატში შექმნილია ჰაერის ოპტიმალური რეჟიმი, კარგი დრენაჟი, ნიადაგის ნარევი საკმარის ტემპერატურაზეა გაცხელებული და აქვს ნეიტრალური რეაქცია ( $\text{pH}=7$ ). გარემო პირობების პარამეტრების რეგულირების საზღვრები განაპირობებენ მცენარეთა გამრავლების მეთოდების შერჩევას. ზოგადად ნაზი და სითბოსმოყვარული მცენარეების გამრავლებისათვის საჭიროა გარემო პირობების უფრო გულდასმით კონტროლირება.

### კვალსათბურები

შესაფერისი პირობების შესაქმნელად ზოგჯერ საკმარისია ხის საყრდენების მიწაში კედლისებურად ჩამაგრება და მისი შუშებით გადახურვა. ეს უბრალო კონსტრუქციის კვალსათბური საშუალებას გვაძლევს ავამაღლოთ ნიადაგის ტემპერატურა, შევამციროთ ტემპერატურის სადღედამისო რყევები, მასში შევინარჩუნოთ საჭირო ტენიანობა, გადახურული შუშებში გავატაროთ სინათლის საჭირო რაოდენობა და სხვ. ასეთ კვალსათბურებში შეიძლება გავამრავლოთ ყინვაგამდე მცენარეების სახეობები. მისი მთავარი უარყოფითი თვისება უკავშირდება გადახურების მოვლენას, რომელიც კანონზომიერად წარმოიქმნება დახურულ სივრცეში მზიან ამინდში. ამიტომ გვიხდება კვალსათბურების ვენტილაცია ან მათი დაფარვა სინათლის რეგულირებით, რის შედეგადაც მცენარეთა ფოტოსინთეზის ინგენსიობა მცირდება.

გამჭვირვალე პლასტიკები, რომლებიც შუშის შემცვლელებად გამოიყენება უამრავია, მაგრამ მათ ნაკლებად იყენებენ გაზაფხულზე და შემოდგომაზე მათი სინათლის და ტემპერატურის გამტარობის თვისებების გამო, ამასთან ისინი უფრო ცუდად ინარჩუნებენ სითბოს.


ყველაზე გავრცელებულია ისეთი კვალსათბურების კონსტრუქციები, სადაც ხის ან ლითონის ჩარჩოში სვავენ 3 ცალ ერთმაგ შუშას ზომით 150X80 სმ, რომელსაც აფარებენ ხის კედლებიან 145X75 ზომის შემოფარგლულ კვალსათბურს. თუ კვალსათბური გამრავლებისთვის არის განკუთვნილი, მის წინა კედელს აკეთებენ 22 სმ სიმაღლისას, ხოლო უკანა კედელს 30 სმ. ჩარჩოს დაქანება (ექსპოზიცია) მიმართული უნდა იყოს სამხრეთისაკენ. ასეთი საფარის საიმედობისათვის უნდა დაიფაროს ყველა ხვრელები და ჩაისვას სქელი ან ზოგიერთ შემთხვევაში ორმაგი შუშები.



ტიპიური კვალსათბური

### სათბურები

სათბური წარმოადგენს შემდეგ ნაბიჯს გარემო პირობების გაკონტროლების საიმედობის თვალსაზრისით. მასში გამოიყენება რეგულირების შედარებით უფრო რთული მეთოდები. სათბურები შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის და ზომის. ხისაგან აშენებული სათბურები ძვირი ჯდება და მოითხოვს სისტემატიურ მოვლას. ლითონის კონსტრუქციებით აგებული სათბურები შედარებით იაფი ჯდება და მათი მოვლა დიდ დანახარჯებს არ მოითხოვს, თუმცა მათთვის ძალზე სახიფათოა ძლევი ქარები.




სათბურში დასადგამი საკანი მცენარეთა გასამრავლებლად

თუ ყუთს შუშას დავაფარებთ და სათბურში შევიტანო, ამ შემთხვევაში მივიღებთ მაღალ ტემპერატურიან საკანს, რომელშიც შეიძლება გავამრავლოთ ოთახის სითბოსმოყვარული მცენარეები. საჭირო ტემპერატურის შექმნა შეიძლება ელექტროგამათბობელის კაბელით, რომელიც თავსდება საკანის ფსკერზე.

### ბურუსის შესაქმნელი დანადგარი

ყველაზე უკეთესად გარემო პირობების კონტროლისათვის გამოიყენება ნაგებობა, რომელშიც დამონტაჟებულია ბურუსის შესაქმნელი დანადგარი. ასეთ სისტემაში ავტომატურად ხდება ჰაერის საჭირო ტენიანობის შენარჩუნება, ამასთან გამორიცხულია ჰაერის გადახურების შემთხვევები, როცა ელექტროგამათბობლების მუშაობის შედეგად სათბურის ეფექტი იქმნება. ასეთი დანადგარების მოწავისათვის სათბურამდე მხოლოდ წყლისა და ელექტროენერგიის მიყვანა არის საჭირო.




ბურუსის შესაქმნელი დანადგარი

### პოლიეთილენის აფსკის ფარდულები და გვირაბები

ადგილად დასაფესვიანებელი მცენარეების გამრავლებისათვის ყველაზე ხელსაყრელია შედარებით მარტივი და იაფი კონსტრუქციის გაკეთება. ამისათვის ქოთანზე ან მაღალკედლიან სინზე ამაგრებენ ხარიხებს, აფარებენ ზემოდან პოლიეთილენს, ხოლო ბოლოვებს კრავენ თოკით ან რეზინით. გვირაბისებური კონსტრუქციისათვის სინის ოთხივე კუთხეში არჭობენ მავთულის ხარიხებს, რომელზედაც აფენენ პოლიეთილენის აფსკს. მის ბოლოვებს ერთ მუშად კრეფავენ და ახვევენ თოკით ან რეზინით.

უფრო კომპრომისული ვარიანტია სპეციალური პატარა საკანი მცენარეთა გასამრავლებლად. იმის გამო რომ ის პორტატულია, მისი დადგმა შეიძლება როგორც სათბურში, ასევე შენობაში იმ შემთხვევაში, თუ საკმარისი იქნება განათებულობა. ის შესდგება პლასტმასის ძირისაგან, რომელშიც მოთავსებულია თერმოსტატი გამაცხელებელი კაბელით, რომელსაც ზემოდან ეფარება გამჭვირვალე პლატმასის ან შუშის ხუფი.



მცენარეთა გასამრავლებელი საკნები  
პოლიეთილენის გამოყენებით

## ნიადაგის ნარევების მომზადება.

ნიადაგის ნარევი ფაქტიურად წარმოადგენს ჩვეულებრივი ნიადაგის შემცვლელს, რომელიც გამდიდრებულია მცენარეებისათვის საჭირო ყველა ნივთიერებებით და გაუმჯობესებულია ფიზიკური პირობებით, რომელიც გამოიყენება მცენარეების გამრავლებისა და ნერგების გამოზრდისათვის. ამ მიზნებისათვის ნიადაგი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ თვისებებს: ჰქონდეს კარგი აერაცია, აკავებდეს ტენის, შეიცავდეს მაქსიმალურად ყველა საჭირო საკვებ ელემენტებს და იყოს თბოგამტარი. ამიტომ, ნიადაგის ნარევის მომზადებისას მის შემადგენელ ნაწილებს არჩევენ ისე, რომ ის აკმაყოფილებდეს ყველა ზემოხამოთვლილ თვისებებს და მისი ხარისხი არ იცვლებოდეს მთელი მისი გამოყენების განმავლობაში. იმისათვის რომ ასეთი ნარევი დაცული იყოს მავნებლებისა და დაავადებების გავრცელების რისკისგან, აგრეთვე სარეველებისაგან, მისი შემადგენელ ნაწილებს უნდა ჩაუტარეს სტერილიზაცია.

ერთადერთი კომპონენტი, რომელიც სტერილიზაციას არ ექვემდებარება, არის ნიადაგი. მისი სტერილიზაციისათვის ნიადაგს აცხელებენ ღუმელში  $82^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე, რომელიც ჩაყრილია ფართო და დაბალკედლიანი ლითონის ყუთში. საუკეთესო შედეგი მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ნიადაგი წინასწარ გამოშრობილი და ფხვიერია, ხილო ყუთი დაფარულია ალუმინის ფოლგით, რათა ყუთში დაგროვილმა ორთქლმა გააძილეროს სტერილიზაციის ეფექტი. ასეთი ნიადაგისაგან ნარევის მომზადებამდე მას ცრიან და აცივებენ.

## ნიადაგის ნარევი დაკალმებისათვის

დაკალმებისათვის ნიადაგის ნარევის მომზადებისათვის უნდა გაითვალისწინოთ 2 მთავარი მოთხოვნა: მან უნდა დააკავოს გარკვეული რაოდენობის ტენი, რათა დაიცვას კალმები გამოშრობისაგან და ფესვების გავრცელების ზონა უნდა იყოს მუდმივად და კარგად აერირებული. ტენის შემაკავებელ კომპონენტს წარმოადგენს ტორფი. სხვადასხვა ტიპის ტორფებიდან უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ისეთ ტორფს, რომელიც მიიღება გადამწვარი მდიერების ტირფისაფან. ის საკმარისი რაოდენობით მოიპოვება დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობზე და არის საუკეთესო, ვინაიდან კარგად ინარჩუნებს თავის აგებულებას ხანგრძლივი გამოყენების

პირობებშიც. გამოყენების წინ მას ცრიან ბადეში, რომლის ხვრელების ზომა 0,6-0,7 სანტიმეტრია.

ჰაერის რეჯიმის გაუმჯობესებისათვის ასეთ ნარევებში იყენებენ მდინარის სილას, რომელიც ამასთან ერთად აუმჯობესებს ნარევის დრენაჟს. მებაღებმა იციან, რომ ასეთი სილა უნდა იყოს მსხვილმარცვლოვანი. ყველას ჯობს გამოვიყენოთ მდინარის სილა, რომელიც დაქუცმაცებულია 2-4 მმ-ს ფარგლებში. სასურველია მისი ნაწილაკები იყოს არათანაბარი, კუთხოვანი (არამრგვალი), არასიმეტრიული ფორმის.

მიუხედავად იმისა, რომ ეს 2 კომპონენტი ნარევის ძირითად მასას წარმოადგენს კალმების დასაფესვიანებლად, შესაძლებელია მათი შეცვლაც, მაგალითად ისლის ტორფით, ნახევრად გახრწილი ნახერხით, პერლიტით, ვერმიკულიტით (ჭიაყელების მიერ გადამუშავებული ნაკელი და კომპოსტი), ნახშირის ნაფხვენით, ანუ ნებისმიერი მასალით, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ქიმიური ინერტულობა და მეტნაკლებად არიან სტერილურები ბიოლოგიური თვალსაზრისით.

დაკალმებისათვის განკუთვნილ ნარევს, როგორც წესი ურევენ თანაბარი წილით, თითო-თითო წილი ტორფი და სილა.

### ნერგების გამოსაზრდელი ნიადაგის ნარევი

ნერგების გამოსაზრდელი ნიადაგის ნარევი უმნიშვნელოდ განსხვავდება დაკალმებისათვის განკუთვნილი ნარევისაგან. ცოტა უფრო მეტი ყურადღება ეთმობა ამ შემთხვევაში მის ქიმიურ შედგენილობას და მასში საკვები ნივთიერებების შემცველობას.

მისი ძირითად კომპონენტებია ტორფი და სილა. თესლების გადივებისა და აღმოცენებისათვის ეს სავსებით საკმარისია, მაგრამ აღმონაცენი თუ უნდა გავზარდოთ ამ სუბსტრატში ვეგეტაციის ბოლომდე, მას უნდა დაუმატოთ ცოტა მიწა, რომელიც შეასრულებს ბუფერის როლს მასში საკვები ელემენტების შემცველობის გამო. ამასთან მიწა დაიცავს ნარევს გამოშრობისაგან. ამ შემთხვევაში დამატებული მიწის ანუ ნიადაგის რაოდენობა ბევრი საჭირო არ არის და ნარევის ოპტიმალური პროპორცია არის: 2 წილი ტორფი, 2 წილი სილა და 1 წილი ნიადაგი.

ვინაიდან სხვადასხვა კულტურების თესლები მეტად მგრძნობიარე არიან გარემოს მჟავიანობის მიმართ, სუბსტრატის მომზადების დროს საჭიროა სილის წინასწარი არევე კირთან, დაახლოებით 10 გ 10 ლ სუბსტრატზე.

თესლების გადივებისათვის მომზადებულ ნარევში არ შეაქვთ დიდი რაოდენობით საკვები ნივთიერებები. ამ შემთხვევაში შეტანილი უნდა იყოს მხოლოდ ფოსფოროვანი სასუქები. ამიტომ სუბსტრატის მომზადებისას სილას წინასწარ ურევენ ფოსფოროვან სასუქებს ანგარიშით 5-6 გ 10 ლ ნარევზე.

### ახალგაზრდა მცენარეების ქოთნებში გამოსაზრდელი ნიადაგის ნარევი

ახალგაზრდა მცენარეების გამოსაზრდელი ნიადაგის ნარევი წააგავს ჩითილების გამოსაზრდელ ნარევს. ამ სუბსტრატში კარგად უნდა განვითარდეს მცენარეთა ფესვთა სისტემა, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში საკმარისი რაოდენობით უნდა იყოს პირველ რიგში ტენი და საკვები ელემენტები, აგრეთვე ნიადაგის საჭირო მჟავიანობა. მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნარევი ზედმატად არ შრებოდეს.

ნარევებს ძირითადად ამზადებენ ტორფის საფუძველზე, თუმცა ზოგიერთი მებაღები ურჩევენ ამ მიზნით სტერილიზებული ნიადაგის გამოყენებას. ტორფის საფუძველზე მომზადებული სუბსტრატი უფრო გავრცელებულია, ვინაიდან ტორფს უფრო სტაბილური თვისებები გააჩნია, სამაგიეროდ ნიადაგი ნარევში აკლენს სტაბილიზაციის თვისებებს წყლის რეჟიმზე და შეიცავს მცენარისათვის ხელმისაწვდომ საკვებ ნივთიერებებს. სუბსტრატი, დამზადებული მხოლოდ ტორფის საფუძველზე, ნიადაგის გარეშე, მოითხოვს მეტ მოვლას და შედარებით “კაპრიზია”. აი რატომ არის ნარევში ნიადაგის დამატება აუცილებელი, რომელიც უზრუნველყოფს ბუფერობას და აადვილებს მცენარეების მოვლას. პრაქტიკაში ეს ნიშნავს ნარევის არა ნიადაგისაგან მომზადებას, არამედ ნიადაგის დამატებას.

ვინაიდან ასეთ სუბსტრატში გამოზრდილ ახალგაზრდა მცენარეებს ესაჭიროება საკვები ელემენტები, ყოველ 10 ლ ნარევში შეაქვთ დაახლოებით 30 გ სასუქები.

ნიადაგური ნარევების მომზადების რეცეპტები მეტად მრავალფეროვანია და ყველა მათგანი წარმატებით გამოიყენება. ტორფზე დამზადებული ნარევების საერთო ნაკლი ის არის, რომ ასეთი ნარევები მაღე შრება, და გამოშრობის შემდეგ მათი ახლიდან დატენიანება მნელია, თუმცა უკანასკნელი ფაქტორი წარმოადგენს შედარებით უმნიშვნელო პრობლემას სპეციალური დამატენიანებელი საშუალებების გამოყენების შემთხვევაში.

თუ ტორფზე მომზადებული სუბსტრატი ცუდად იღებს ტენს, მასში უმატებენ მცირე რაოდენობის დამატენიანებელ ნივთიერებებს, მაგალითად თხევად საპონს. სინთეთიკური სარეცხი საშუალებების გამოყენება დაუშვებელია.


### კომპონენტების შერევა

ნიადაგზე დამზადებული ნარევების ერთმანეთში შერევის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს გაწონასწორებული და ერთგვარივანი საბოლოო პროდუქტის მიღებას. შემაღგენელი ნაწილები გულდასმით უნდა აურიოთ. ნარევების მოსამზადებლად მეტად მოსახერხებელია სპეციალური დანაყოფებიანი საზომი ჭურჭელი, რომლითაც წინასწარ შეიძლება სასუქებისა და კირის რაოდენობის გაანგარიშება.

ყველა კომპონენტებს საჭირო რაოდენობით ყრიან სუფთა ქვის იატაკზე. სილის ყოველ შრეს უმატებენ საჭირო რაოდენობის სასუქებს და კირს და სუფთა ნიჩბით გულდასმით ურევენ.

### ტორფის გაცრა

ნიადაგის სხვა კომპონენტებთან შერევის  
წინ ტორფს ცრიან 6-7 მმ-იან საცერში



## **ნიადაგის ნარევების შემაღენლობა**

(მოცულობითი)

დასაკალმებელი ნარევისათვის გაცრილი ტორფი და სილა თანაბარი რაოდენობით პროპორციით 1:1

### **ქალმების გამოსაზრდელი ნარევი**

2 წილი ტორფი (გაცრილი)

2 წილი სილა

1 წილი ნიადაგი (სტერილური ნარევი), ასევე 10-12 გ კირი და 5-6 გ სუპერფოსფატი 10 ლ ნარევზე.

### **ნარევი ქოთნებში გამოსაზრდელი ახალგაზრდა მცენარეებისათვის**

7 წილი ნიადაგი (სტერილური ნარევი)

3 წილი ტორფი (გაცრილი)

2 წილი სილა (2-4 მილიმეტრიანი ნაწილაკებისაგან), აგრეთვე

5-6 გ კირი და 30 გ მინერალური სასუქები ყოველ 10 ლ ნარევზე

### **ნარევი მიწის (ნიადაგის) გარეშე**

3 წილი ტორფი (გაცრილი)

1 წილი სილა (2-4 მილიმეტრიანი ნაწილაკებისაგან), აგრეთვე 30 გ ნებისმიერი ძირითად საკებელი ელემენტების მინერალური სასუქები და 30 გ კირი ყოველ 10 ლ ნარევზე

### **ტორფიანი ნარევი ნიადაგის დამატებით.**

7 წილი ტორფი (გაცრილი)

2 წილი სილა (2-4 მილიმეტრიანი ნაწილაკებისაგან)

1 წილი ნიადაგი (სტერილური ნარევი), აგრეთვე 30 გ ძირითადი ელემენტების მინერალური სასუქები და 30 გ კირი ყოველ 10 ლ ნარევზე

## **ფესვწარმოქმნის მასტიმულირებელი ხერხები**

მცენარეებში ზრდის პროცესების რეგულირება შეიძლება ზოგიერთი ქიმიური ნივთიერებებით, თუ მათ გამოვიყენებთ ძალზედ მცირე დოზებით. მებაღები ამ ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს იყენებენ არა მარტო მცენარეთა გამრავლების დროს, არამედ, მაგალითად, ნაყოფწარმოქმნის, ნაყოფმსხმოიარობის დასაჩქარებლადაც.

ზრდის მარეგულირებელი ეს ნივთიერებანი მოქმედებენ ძალზედ დაბალი კონცენტრაციის პირობებში და ვიწრო საზღვრებში (არეში). ასე, მაგალითად, თუ ნივთიერებას, რომელიც ერთი კონცენტრაციით ხელს უწყობს ნაყოფწარმოქმნას და მეორე კონცენტრაციით სტიმულირებს კალმების ფესვთა წარმოქმნას, ავიდებთ მესამე, პირველი ორისაგან განსხვავებული კონცენტრაციით, მაშინ მან შეიძლება საერთოდ ჩაახშოს (შეაჩეროს) მცენარის ზრდა. ამიტომ, ზრდის მასტიმულირებელი (საზრდელი) ნივთიერებების გამოყენებით, მათი დოზირების თვალსაზრისით, სასურველი შედეგების მისაღებად ძალზედ მნიშვნელოვანია ინსტრუქციების მკაცრად დაცვა.



გაითვალისწინეთ, რომ საზრდელი ნივთიერებების გამოყენება არ არის პანაცეა, რომელსაც ყოველთვის მოაქვს წარმატება. მაგალითად, ისინი ვერ გამოიწვევენ კალამში ფესვთა წარმოქმნას, თუ ღეროს არ გააჩნია ამისაკენ მემკვიდრული მიდრეკილება. მათი მოქმედება დაკავშირებულია ძირითადად ფესვწარმოქმნისაკენ ღეროს ბუნებრივი უნარის გაძლიერებასთან – ჰორმონები აჩქარებენ ამ პროცესს და ხელს უწყობენ ფესვების რაოდენობის ზრდას. თუ კალამს ავიღებთ ჯანმრთელი (ჯანსაღი) მცენარიდან და გამრავლებისათვის სწორად შევარჩევთ წლის ღროს, მაშინ ჰორმონალური პრეპარატების გამოყენება ხშირად მიზანშეწონილი არც არის. მათი გამოყენება მხოლოდ მაშინ და იქ არის საჭირო, სადაც ისინი ნამდვილად დაგვეხმარებიან სასურველი ეფექტის მიღწევაში.

გაყიდვაში არსებული პრეპარატების უმრავლესობა გამოშვებულია ფხვნილების სახით წმინდად დაფქული ტალკის საფუძველზე. ტალკს არ გააჩნია აბრაზიული თვისებები, ამიტომ მისი გამოყენება არ იწვევს კალმების დაზიანებას. ტალკს ურევენ ფიტოჰორმონებს. ყველაზე ხშირად ეს არის β – ინდოლილცხიმოვანი მჟავა (შემოკლებულად (იცმ). ზოგჯერ კი მის ნაცვლად გამოიყენება β – ინდოლილმარ (იძმ) ან ნაფტილმარ (ნძმ) მჟავა.

იცმ-ს კონცენტრაცია ტალკის ფხვნილში გამერქნებული დეროების დასაფესვიანებლად ჩვეულებრივ შეადგენს 0,8%-ს; მწვანე კალმების დასაფესვიანებლად – დაახლოებით 4-ჯერ ნაკლებს. მრავალმიზნობრივი დანიშნულების ჰორმონალური ფხვნილები ჩვეულებრივად მზადდება ნძმ-ს საფუძველზე. ძალზე ეფექტურია აგრეთვე თითქმის ყველა ძნელად დასაფესვიანებლი კალმებისათვის “ჰორმოდინ”-ის გამოყენება.

კალმებზე სიდამპლის განვითარების ან სხვა რომელიმე დაავადებების თავიდან ასაცილებლად ხშირად ფხვნილში უმატებენ ფუნგიციდებს.

ფესვწარმოქმნის მასტიმულირებელი ჰორმონალური პრეპარატები შეიძლება გამოყენებული იქნას თხევადი სახითაც. ამისათვის მათ სხინიან წყალში ან ორგანულ გამსხნელებში, მაგალითად, სპირტში.

თუ თქვენ გაამრავლებთ მცენარეებს ფოთლის ან ფესვის კალმებით, ასეთი ჰორმონალური პრეპარატების გამოყენება არ შეიძლება. ზრდის მარეგულირებელი ნივთიერებანი, რომლებიც აჩქარებენ ამ სახის კალმების გამრავლებას, გაყიდვაში ჯერ არ არის.

### ფესვწარმოქმნის მასტიმულირებელი ჰორმონები

ფესვწარმოქმნის ჰორმონების სწორად გამოყენებისათვის საჭიროა გავარკვიოთ (დაგიცვათ) ორი ძირითადი დებულება. ჯერ-ერთი, ჰორმონის

კონცენტრაცია, რომელიც გამოიყენება ფესვწარმოქმნის სტიმულირებისათვის, შეიძლება დამდუპველი აღმოჩნდეს შპვე მზარდი ფესვებისათვის. მეორე, თუმცა ქერქს შეუძლია შთანთქოს პორმონი, მაგრამ მისი ძირითადი ნაწილი კალმის ჭრილიდან მიეწოდება. ამიტომ, პორმონალური ფხვნილით კალმის დამუშავებისას, მოათვესეთ (ჩაუშვით) მასში მხოლოდ ბაზალური (ქვედა) ნაწილი, ეცადეთ, რომ ფხვნილი არ მოხვდეს კალმის სხვა ნაწილებს.

პორმონის მოქმედების წყალობით იწყება ფესვთა წარმოქმნა. მაგრამ, თუ მზარდი ფესვები კონტაქტში შევა ქერქზე დარჩენილი პრეპარატის ნარჩენებთან, ისინი შეიძლება დაიღუპოს. მართალია ეს ყველა მცენარეს არ მოსდის, მაგრამ, ვინაიდან განსაზღვრულ პირობებში ზოგიერთ სახეს დანაკარგები შეიძლება მნიშვნელოვანი პქონდეს, გონიგრულია შევარჩიოთ ხერხი, რომელიც ყველა მცენარისათვის გამოდგებოდა. თუ პორმონალური ფხვნილი ცუდად ეპრობა კალმებს, სასურველია კალმები წინასწარ დავასველოთ წყალში. განსაკუთრებით სასარგებლობა ამის გაკეთება მწვანე კალმებზე.


პორმონების წყალსნარებს ამზადებენ პრეპარატის წონაკის გახსნით წყლის საჭირო მოცულობაში. შემდეგ 12-დან 24 საათამდე მოათავსებენ კალმებს სნარში. ვინაიდან პორმონის კონცენტრაცია წყლის სნარში გაცილებით დაბალია, ვიდრე ფხვნილში, ხოლო ქერქი შთანთქავს შედარებით ნაკლებ პრეპარატს, სნარში კალმების მოთავსების სიღრმეს ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს.

თუ გამოიყენება სპირტიანი სნარი, მაშინ განსაზღვრული დროით სნარში კალმების მოთავსების შემდეგ, ამოვიდებთ მათ სნარიდან, სპირტი ჩამოიწრიტება, დანარჩენი აორთქლდება და კალმებზე დარჩება მხოლოდ პრეპარატი.

## ლეროს სპეციალური დასერვა

ვინაიდან ყველა კალმებზე ვერ ხერხდება ფიტოპორმონებით დამუშავების მეშვეობით ფესვთა წარმოქმნის გამოწვევა, გამოიყენება ხერხები, რომელთა მეშვეობითაც თვით კალმის შიგნით არის შესაძლებელი ბუნებრივი პორმონების წარმოშობის სტიმულირება.

ზოგიერთი სახის მცენარეთა ლეროებში ქერქსა და მერქანს შორის არსებობს ქსოვილის ფენა, რომელიც აბრკოლებს ფესვთა წარმოქმნას. მაგრამ, თუ დავაზიანებოთ ამ ქსოვილს, იწყება ფესვების ნორმალური ზრდა. ამ მიზნით კალმის ქვედა ნაწილში ბასრი დანით ჩაიჭრება 2-3 სმ სიგრძის ქერქის ნაჭერი ან გაუკეთდება იმავე სიგრძის 3-4 ჩანაჭერი მერქნის სიღრმედე.



ეს ხერხი განსაკუთრებით აფექტურია როდოდენდრონების (იელი, ლეკა), მაჯალვერასა და ლვის გამრავლებისას. მაგრამ იგი ფრთხილად უნდა გამოვიყენოთ, თანაც არა ყოველთვის, ვინაიდან დაზიანებული ქსოვილებიდან ადვილია მცენარეების დასენიანება რამე ინფექციით, რის შედეგადაც ისინი ლპებიან. ჩაჭრით გამრავლება ყველაზე ხშირად საჭიროა გამერქნებულ კალმებთან მუშაობისას. მწვანე კალმები, როგორც წესი, ამას არ საჭიროებს. აღნიშნულ ოპერაციის აუცილებლობაში დარწმუნება შეიძლება ცდის მეშვეობით: თუ კალამში ფესვარმოქმნის გამომწვევი ყველა დანარჩენი მცდელობა უშედეგოთ დასრულდა, მაშინ კალამზე ზემოქმედების მოხდენა სცადეთ ჩაჭრის ხერხით.

## მორწყვა

ქოთნის მცენარეთა მორწყვის ძირითადი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ მებაღეს არ შეუძლია მათი მორწყვა ისეთი რეგულარულობით და იმ რაოდენობით, როგორც ეს მცენარისათვის არის საჭირო. მორწყვის სპეციალური ავტომატური და ნეხევრად ავტომატური სისტემები აგრეთვე საკმარისად აფექტური არ არის.

წყალი საჭიროა მცენარის ტურგორული წნევის შესანარჩუნებლად როგორც უფესვო კალმის უჯრედებში, ისე ნორმალურად ფუნქცირებადი ფესვთა სისტემის მქონე მცენარის უჯრედებში.

ახლად დარგული ნერგებისა და დაფესვიანებული კალმების მოსარწყავად გამოიყენება ოდნავ თბილი წყალი. ცივი წყლის გამოყენება სასურველი არ არის, ვინაიდან იგი აფერხებს ზრდას და იწვევს ნიადაგის ტემპერატურის შემცირებას. თუ წყალი ხისტია, მაშინ მოსარწყავად გამოიყენება წყიმის წყალი.


რწყვისთვის განკუთვნილი წყლით სავსე ჭურჭელი უმჯობესია მოვათავსოთ უშუალოდ სათბურში, სადაც წყალი გათბება საჭირო ტემპერატურამდე, ხოლო მისი აორთქლება უზრუნველყოფს ჰაერის მაღალი დონის ტენიანობის შენარჩუნებას.

ძირითადი ამოცანა, რომლის გადაჭრაც მებაღეს უხდება მორწყვის დროს, მდგომარეობს მის თავისდროულ დასრულებაში, ანუ იმ დროის განსაზღვრაში, როგესაც მცენარეებმა უკვე მიიღეს მათოვის საჭირო წყლის რაოდენობა. საჭირო გამოცდილების სწრაფად მიღებისათვის, შეძლებისდაგვარად ეცადეთ გამოიყენოთ ერთმანეთისაგან ნაკლებად განსხვავებული ტიპისა და ზომის ქოთნები; მიზანშეწონილია აგრეთვე შევჩერდეთ ნიადაგის ნარევის ერთ ტიპზე, რითაც შემცირდება სუბსტრატის ტენიანობაზე მოქმედი ფაქტორების ვარირება. მორწყვის დროს წყლის ხარჯვის შესამცირებლად და ნაკადის ძალის შესუსტებისათვის, სარწყულს უკეთებენ გამშეფვავს. ეს საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ მიწის ძლიერი გადარეცხვა და უზრუნველყოფს მის თანაბარ დასველებასა და წყლის თავისუფალ შეღწევას მთელ მის მოცულობაში. რწყავენ ცოტ-ცოტას და ხშირად, რითაც წყალს შეწოვის საშუალებას აძლევენ ყოველთვის, როგორც კი ქოთანი ან მის ქვეშ არსებული ლანგარი შეივსება ნაპირებამდე.

კაპილარული მორწყვის სისტემას გააჩნია განსაზღვრული უპირატესობები, თუმცა, არასრულყოფილი კონსტრუქციების გამოყენებისას, სუსტი კაპილარული კონტაქტის გამო, შეიძლება წარმოიშვას სუბსტრატის გამოშრობასთან დაკავშირებული პროცესი.

კაპილარული სისტემის მდგომარეობა დამოკიდებულია გამოყენებული საფენი მასალის ტიპზე – ქეჩა, ბოჭკოვანი მინა ან ქვიშა. ქეჩისა და მინა-

ბოჭკოსაგან სისტემის აგება უფრო მარტივია, მაგრამ ქვიშის გამოყენებისას კაპილარული კონტაქტები უფრო საიმედოა. მაღალი კედლების მქონე ქოთნების დასადგმელ სათავსოს (ლანგარის) ქვეშ ჩაეფინება პოლიეთოლენის ნაჭერი, რომლის პერიმეტრზე ქვიშის მომავალი ზედაპირის 1,0-1,5 სმ-ით ქვემოთ კეთდება ნაჩვრეტები. სათავსოს ავსებენ ნაპირებამდე წმინდა ქვიშით. შემდეგ მას რწყავენ. ნაჩვრეტების წყალობით წყლის დონე მორწყვის დროს დადგინდება ქვიშის ზედაპირიდან 1,0-1,5 სმ-ით ქვევით.



კაპილარული რწყვის სხვადასხვა მეთოდები

საჭიროა დავრწმუნდეთ იმაში, რომ მცენარეებიანი ქოთნები მყარად დგას კაპილარულ საფეხ ფენაზე ისე, რომ წყალი შეუფერხებლად აღწევს ქოთანში ან მის ქვეშ არსებულ ლანგარში. თუ მორიგი მორწყვის დროს სუბსტრატი ზედმეტად დატენიანდა, მას უნდა ვაცალოთ შეშრობა.

ვინაიდან ტორფიანი ნიადაგის ნარევი ხშირად გამოშრება ხოლმე და ცუდად იუდენთება წყლით, წყლის უკეთ შეღწევისათვის მას უმატებენ რამდენიმე წვეთ თხევად საპონს.

## დაწვიმება

ასეთი მორწყვისათვის გამოიყენება სარწყული მასზე დამაგრებული გამშენებით. მორწყვას იწყებენ ჯერ კიდევ ჭურჭლის ფარგლებს გარედან. როგორც კი დააყენებენ წყლის ნორმალურ ნაკადს, სარწყულს გადაატარებენ ჭურჭლის ზედაპირზე. მორწყვას შეწყვეტენ, როდესაც სარწყული ჭურჭლის ფარგლებს გასცდება.

მცენარეებიან ჭურჭლს მოათავსებენ წყლით სავსე დაბალ ლანგარში. როდესაც ისინი შეიწოვენ საკმარისი რაოდენობის ტენს, მათ ამოიღებენ ლანგრიდან და ზედმეტი წყალი ჩამოიწრიტება.

მკვებავი ფითილის ერთი ბოლო მოთავსდება წყლით სავსე ჭურჭლში, მეორე ბოლო კი არის ტორფში, რომელზედაც დგას მცენარეებიანი ქოთნები.

ფითილის ერთ ბოლოს მოათავსებენ ქოთნის ფსკერზე არსებულ ნაჩვრეტში, მეორეს კი – წყლით სავსე ჭურჭლში.



ქოთნების წყლიან  
ჭურჭელში ჩადება

მილით ტორფის დასველება

მილი შეკავთ  
ქოთნის ნახვრებზე

## სასუქები

როლი, რომელსაც მცენარეების ცხოვრებაში ასრულებენ საკვები ნივთიერებები, ყოველთვის ზუსტად არ არის გასაგები. აქედან გამომდინარე, მცენარეთა გამრავლების დროს და მათი ზრდის შემდგომ ეტაპებზეც ხშირია სასუქების არასწორი გამოყენების შემთხვევები.

მცენარეთა ნორმალური ზრდისათვის საჭიროა სამი ელემენტი – აზოტი, ფოსფორი და კალიუმი. ეს, ე.წ. მაკროელემენტები ნახშირბადთან, წყალბადთან და ჟანგბადთან ერთად წარმოადგენს „საშენ მასალას“, რომლისგანაც მცენარე ქმნის ორგანულ ნივთიერებებს. ისეთი ელემენტები, როგორიცაა კალციუმი, გოგირდი და მაგნიუმი, მცენარეს ნაკლები რაოდენობით ესაჭიროება, ხოლო რკინა, მანგანუმი, ბორი, მოლიბდენი და კობალტი მცენარის მიერ გამოიყენება სულ მცირე მოცულობით (მიკრო ელემენტები).

ინტენსიური ზრდის დროს მცენარეს განსაკუთრებით აზოტი სჭირდება. მცენარისათვის ხელმისაწვდომი აზოტის უკმარისობა იწვევს ზრდისა და განვითარების შეფერხებას, ამ დროს ფოთლები იძენენ ღია-მწვანე შეფერილობას. ადნიშნული ელემენტი მცენარეს მიეწოდება ჩვეულებრივ ნიტრატ-იონების ან ამონიუმის იონების ფორმით. აზოტის მნიშვნელობა მცენარისათვის უპირველეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი შედის ცილის შემადგენლობაში, მაშასადამე, საჭიროა ყველა მცენარეული ქსოვილების შესაქმნელად.

კალიუმის როლი მცენარის ცხოვრებაში უფრო რთულად ვლინდება. ეს ელემენტი საჭიროა როგორც კატალიზატორი მრავალი ქიმიური რეაქციის ნორმალურად მიმდინარეობისათვის. განსაკუთრებით ინტენსიურად ჩაირთვება იგი ფოტოსინთეზის დროს ორგანული ნივთიერებების წარმოქმნის პროცესებში, აგრეთვე გარედან მცენარეში საკვები ნივთიერებების მიწოდების პროცესებში. ამით აიხსნება კალიუმის, როგორც ფოთლების ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის მნიშვნელობა. თუმცა, არანაკლებად იგი ესაჭიროება მცენარის სხვა ნაწილებსაც – ყველგან, სადაც მიმდინარეობს განსაზღვრული ქიმიური რეაქციები. კალიუმის შიმშილს ჩვეულებრივ თან ახლავს ფოთლების ნაპირებში ბაცი-ყვითელი შეფერილობის გამოჩენა. ფოთლების ცენტრისაკენ გაუფერულების

მოძრაობასთან ერთად, ფოთლის ნაპირები ხდება ყავისფერი და იგრიხება (იხვევა და ხუჭუჭდება).

ფოსფორი, რომელიც მცენარის მიერ გამოიყენება ჩვეულებრივად ფოსფატების ფორმით, მცენარეში ძირითადად ასრულებს ორ მნიშვნელოვან ფუნქციას. ჯერ-ერთი, ის საჭირო შემადგენელი ნაწილია სპეციფიკური ცილებისა, რომლითაც აიგება ქრომოსომები. მეორეც, ის აუცილებელი კომპონენტია შენაერთებისა, რომელთა მეშვეობითაც მცენარეში ხორციელდება ზრდისა და განვითარებისათვის საჭირო ენერგიის მომარაგება, ტრანსპორტირება და ქიმიურ რეაქციებში გამოყენება. ფოსფორის შიმშილის სიმპტომები გაცილებით რთული გამოსავლენია, განსაკუთრებით განვითარების დასაწყისში. ჩვეულებრივ, შეიმჩნევა ზრდის დამუხრუჭება, რასაც თან ახლავს ფოთლებზე ისტორი ან წითელი შეფერილობის გაჩენა. მაგრამ ანალოგიური სიმპტომები შეიძლება გამოწვეული იყოს სხვა მიზეზებითაც, მაგალითად, ფესვთა სისტემის დაზიანებით მავნებლების ან სიდამპლის, ნემატოდების მიერ.

სხვა საკვები ნივთიერებების უმეტესობა მცენარისათვის საკმარისი რაოდენობით არის გამოყენებული მინერალური სასუქების ძირითად სახეებში დანამატებისა და შენარევების სახით, ამიტომ მათი სპეციალურად შეტანა საჭირო არ არის.

პრობლემები შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ორ ელემენტან – მაგნიუმსა და რკინასთან. მაგნიუმის მნიშვნელობა აიხსნება უპირველეს ყოვლისა იმით, რომ იგი ფოტოსინთეზისათვის საჭირო ქლოროფილის – მწვანე პიგმენტის მოლეკულების შემადგენლობაში შედის. მაგნიუმის უპმარისობის დროს შეინიშნება შედარებით უფრო ძველი ფოთლების გაყვითლება, ვინაიდან ელემენტი გადაინაცვლებს ახალგაზრდა, მზარდ ფოთლებში, რაც იწვევს მისი შემცველობის შემცირებას ძველ ფოთლებში და, მაშასადამე, „ქლოროზე“. (ანალოგიურად რეუტილიზირდება აზოტიც, რომლის უკმარისობაზე აგრეთვე შეიძლება ვიმსჯელოთ მცენარის ქვედა იარუსებში ფოთლების ნაადრევი გაყვითლებისა და დაბერების მიხედვით).


რკინა მცენარეულ ორგანიზმი ასრულებს ისეთივე მნიშვნელოვან ფუნქციებს, როგორც მაგნიუმი, თუმცა მისი შენაერთები არ ჩაირთვება რეუტილიზაციის პროცესში. რკინის უპმარისობა ვლინდება ძირითადად ახალგაზრდა ფოთლების გაყვითლებაში, ამავე დროს მათი ძარღვები მწვანე რჩება. მაშასადამე, მაგნიუმის შიმშილი (ძველი ფოთლებს გაყვითლება) ადვილად განსხვავდება რკინის შიმშილისაგან (ახალგაზრდა ფოთლების გაყვითლება).

## სასუქების სწორად გამოყენება

ახალგაზრდა მცენარეები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელმისაწვდომი საკვები ნივთიერებების საკმარისი რაოდენობით. თუ ნიადაგის ნარევები მომზადებულია სწორი რეცეპტებით, მაშინ მათში ისინი იქნება საჭირო რაოდენობით. მაგრამ თესლების გაღივებას, მაგალითად, აწარმოებენ სუბსტრატში, რომელიც შეიცავს მხოლოდ ფოსფატს. ამიტომ, როგორც კი აღმონაცენს პირველი ფოთლები გაუჩნდება, ზრდის მხარდასაჭირად სასურველია მათი დამატებითი კვება აზოტითა და კალიუმით.

მიუხედავად იმისა, რომ დამატებითი კვებისათვის ხსნარი შეიძლება დამოუკიდებლადაც მომზადდეს, ხშირად უფრო მოსახერხებელია გამოვიყენოთ გაყიდვაში არსებული უკვე მზა თხევადი სასუქები. მაგალითად, თუ მცენარეებს გაუჩნდა კალიუმის შიმშილის სიმპტომები, ისინი უნდა

დამატებით გამოიკვებოს თხევადი სასუქით, რომელიც შეიცავს კალიუმის შეფარდებით მაღალ შემცველობას (და არა წმინდა კალიუმიან სასუქებს).



სასუქებიანი სსნარიო მცენარეს რწყავები ისე, რომ წვეთები ფოთლებს არ დაესხას

ისეთი ორგანული სასუქები, როგორიცაა ძვლისა და სისხლის ფქვილი, რქის (რქოვანას) ბურბუშელა, ძალზედ ნელა მოქმედებენ, ამიტომ მცენარეებში შიმშილის სიმპტომების გამოვლენისას, მათი გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

შეზღუდული მოცულობის ქოთნებსა ან კიუვეტში უნდა ვერიდოთ ისეთი არაორგანული სასუქების გამოყენებას, როგორიცაა ნატრიუმის ნიტრატი, ამონიუმის სულფატი, რკინის სულფატი, კალიუმის სულფატი, სუპერფოსფატი. მათი არასწორმა დოზირებამ შეიძლება მავნე (უარყოფითი) გავლენა მოახდინოს მცენარეების ზრდაზე, აგრეთვე დაარღვიოს სხვა საკვები ნივთიერებების ბალანსი.

თუ მებაღე ხშირად ამჩნევს მცენარეებში მაგნიუმის ნაკლებობას, ნიადაგის ნარევის მომზადებისას, კირი საჭიროა შეიცვალოს დოლომიტის ფქვილით (იგი შეიცავს მაგნიუმის კარბონატს).

მჟავე არეში გამოყვანილი მცენარეები, აგრეთვე მანანა და იელი ხშირად განიცდიან რკინის ნაკლებობას. ამიტომ მათთვის მომზადებულ სუბსტრატებში შეაქვთ რკინის ხელათი ან შეაქვთ იგი ფესვგარეშე დამატებითი საკვების სახით (ფოთლებზე შესხურება).

ფესვგარეშე დამატებითი კვების ჩატარების დროს საჭიროა ზუსტად დავიცვათ ინსტრუქციები. სასუქები შეაქვთ წვრილგამშეცვიანი სარწყულით.

### სასუქების შეტანა

სუბსტრატს მორწყავენ თანდართული ინსტრუქციის მიხედვით მომზადებული სასუქების სსნარიო, ამასთან, ხელით იცავენ ფოთლებს, რათა მათზე სითხე არ მოხვდეს. შეიძლება აგრეთვე მოვათავსოთ ქოთანი სასუქების სსნარიო სავსე ჭურჭელში და დავტოვოთ იქ მთელი ღამის განმავლობაში, რათა სსნარი შეიწოვოს.

### ფიტოსანიტარული დონისძიებები

მცენარეთა წარმატებით გამრავლებისათვის ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორია კალმებისა და ნათესარების დანაკარგები, რაც გამოწვეულია მრავალრიცხოვანი მავნებლებითა და დაავადებებით. ხშირად

ეს ხდება იმის გამო, რომ მებაღე არ იცავს სათბურში ან განკუთვნილ შენობაში ძირითად სანიტარულ-პროფილაქტიკურ მოთხოვნებს.




მცენარეთა გამრავლების ყველა სამუშაო ადგილი უნდა ეფუძნებოდეს რეგულარულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია შესაძლო პათოგენური ორგანიზმების განვითარების პრევენციისა და შეზღუდვისაკენ (პროფილაქტიკისაკენ) და მათთან ბრძოლისაკენ. საქმე მხოლოდ იმაში არ არის, რომ გავაუვნებელვყოთ კალმები და ჩითილები. გარდა ამისა, საჭიროა დავიცვათ სათანადო სისუფთავე შენობებში, სადაც მიმდინარეობს სამუშაოები, გაუკეთოთ დეზინფექცია ქოთნებსა და ინსტრუმენტებს, ნიადაგის ნარევებს, გასამრავლებელ მასალას. ჰიგიენური ღონისძიებების დაცვა საჭიროა მცენარეთა შემდგომი მოვლა-მოყვანის დროსაც.


სამუშაო მაგიდაზე უნდა სუფევდეს იდეალური წესრიგი და სისუფთავე. მცენარეთა გამრავლების წინ სათბურის ყველა კუთხები და ნახვრეტები უნდა დამუშავდეს სადეზინფექციო ხენარით, რათა გავწმინდოთ იგი ინფექციისაგან. რა თქმა უნდა, ამგვარი ღონისძიებების გატარება გაცილებით ადვილი და ეფექტურია ლითონის კარკასის მქონე თანამედროვე კონსტრუქციის სათბურში, ვიდრე ტრადიციულ ხის სათბურში. ხის დეტალების დამუშავების დროს საჭიროა განსაკუთრებული გულმოდგინეობით მუშაობა და დამატებითი ძალისხმევა. ასეთი სამუშაოს ჩასატარებლად საუკეთესო დროა შემოდგომა – ზამთრის დასაწყისი, როდესაც სხვა სამუშაოები პრაქტიკულად უკვე აღარ არის. თუ სადეზინფექციო სამუშაო ჩატარდა, შემდგომში შეიძლება შემოვიწარგლოთ სათბურის დახრჩოლებით (ფუმიგაციით) ფუნგიციდებითა და ინსექტიციდებით. ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ტკიპებს, ფრთათეთრას, კოდო-სციარიდების, ნაცრისა და სხვადასხვა სიდამპლის დაგვადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს.

იმისათვის, რომ ინფექცია არ დარჩეს, პირველივე შესაძლებლობისთანავე შენობიდან უნდა გავიტანოთ ყველა ჭურჭელი და აგრეთვე გამოყენებული ნიადაგის ნარევი. ადრე გამოყენებული ნიადაგი –


მშვენიერი გარემოა მრავალი სოკოებისა და კოდო-სციარიდების გასამრავლებლად.



ფუნგიციდიან ხსნარში კალმის ამოვლება



ფუნგიციდის ხსნარით ნარგავის მორწყვა



ალმონაცენის მორწყვა სპილენბისშემცველი ფუნგიციდით

შესაძლოა, სუბსტრატებში სიდამპლის დაავადებათა გავრცელების მთავარი მიზეზია მცენარეთა გასამრავლებლად ჭურჭლის გამოყენება. ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია დავრწმუნდეთ მათ სისუფთავეში და არა მარტო სოკოს სპორებისაგან, არამედ განსაკუთრებით ისეთი სარეველა მცენარეების თესლებისაგან განთავისუფლებაში, როგორიცაა მაგალითად, უუნერუკი, უკადრისა და ერთწლოვანი თივაქასრა. ჩვეულებრივ ინფექცია გროვდება ნიადაგის ან ქიმიკატების ქერქში, რომელიც ქოთნის ან კიუვეტის ზედა ნაწილში იქმნება. ჭურჭლი გულმოდგინედ უნდა გაიწმინდოს ამ ნაფიფქისაგან და გაირეცხოს საპნიანი წყლით. ჭუჭყისაგან კერამიკის ქოთნების უკეთ გაწმენდისათვის, მათ წყალში ალბობენ. სამუშაოს ჩატარების შემდეგ ყველა ინსტრუმენტი უნდა გაიწმინდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შეიძლება დაბინძურების ერთ-ერთი წყარო გახდეს.

გამრავლებისათვის სუბსტრატი უნდა იყოს სტერილური. ჩვეულებრივად, ეს მიიღწევა მის მომზადებისას სტერილური მასალების გამოყენებით. ტორფს გააჩნია ძალზედ მჟავე რეაქცია და უკვე ამიტომ იგი პრაქტიკულად არ შეიცავს ინფექციებს. ქვიშა და ქიმიური დანამატები ჩვეულებრივად საკმაოდ სუფთაა. ერთადერთი კომპონენტი, რომელიც საჭიროებს სპეციალურ სტერილიზაციას, არის ნიადაგი. მისი გაუვნებელყოფა ხდება ღუმელში გაცხელებით  $82^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე ლითონის ბრტყელ ჭურჭლებში, რომელსაც ფოლგით შეახვევთ; გათბობისას წარმოქმნილი ორთქლი ამაღლებს დამუშავების ეფექტურობას.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ყველა აღნიშნული ნივთიერებები ნედლი სახით სუფთაა, ხანგრძლივი შენახვისას კი დია ადგილას ისინი შეიძლება დაბინძურდეს. ამიტომ მათი მომზადებისათვის საჭირო სუბსტრატები და კომპონენტები უნდა ინახებოდეს შეფუთული სახით ან დახურული. ნარევის ხელმეორედ გამოყენება არ შეიძლება სტერილიზაციის შემდეგაც კი, ვინაიდან მათში დარღვეულია საკვებ ნოიკოერებათა ბალანსი.


მცენარეული მასალაც აგრეთვე უნდა იყოს გაუსნებოვანებული. გამრავლებისათვის არ უნდა ავიღოთ ავადმყოფი კალმები ან ყლორტები. დაავადების განვითარების თავიდან ასაცილებლად შეფოთლილი კალმები უნდა მოვათავსოთ ფუნგიციდის (კაპტანის ან ფუნდოზოლის) ხსნარში. დარგვის შემდეგ კარგი იქნება თუ გავიმურებთ ფუნგიციდით დამუშავებას. სიდამპლის გაჩენის თავიდან ასაცილებლად ასეთივე წესით კაპტანით დამუშავდება გაღივებული თესლებიც.

კალმებისა და ნერგების განვითარების მიხედვით პერიოდულად ატარებენ მათ პროფილაქტიკურ დამუშავებას აეროზოლებით, ანუ შენობის ფუმიგაციას, რათა გამოირიცხოს სიდამპლის დაავადებათა და ნაცრის, აგრეთვე ობობას ტკიპას, ფრთათეთრასა და კოლო-სციარიდების გავრცელება.

გამოყენებამდე და გამოყენების შემდეგ ქოთნები გულმოდგინედ უნდა გასუფთავდეს, მათი კედლებიდან უნდა ჩამოიფხიოს ნიადაგის გამხმარი ქერქი, რათა მოვაშოროთ ინფექციის ყოველგვარი კერები. კერამიკის ქოთნები უფრო მეტი საიმედოობისათვის განსაზღვრული დროით უნდა ჩალბეს წყალში და ორთქლით დამუშავდეს.

## ჭურჭელში თესვა

თესლის გაღივების დასაჩქარებლად და აღმონაცენების გამოჩენისათვის, თესვამდე სასარგებლოა მათი დალბობა წყალში 12-24 საათით. დალბობის პროცესში საჭიროა წყლის რამდენჯერმე გამოცვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში წყალში თესლების გაჩერება არ დირს 8-10 საათზე მეტ ხანს.




მსხვილი თესლების  
დალბობა 12-24 საათით

ჩასათესი ჭურჭლის  
ნიადაგით ავსება


სუბსტრატის თითქბით  
დატკეპვნა

სანამ შევარჩევთ მცენარის გამოსაზრდელად საჭირო ქოთანს, ჯამს ან კიუვებს, უნდა გადაგწყვიტოთ - რა რაოდენობის თესლი უნდა დაითესოს. ჭურჭელი ისეთი ზომების უნდა შევარჩიოთ, რაც ხელს შეუწყობს აღმონაცენის ნორმალურად გამოზარდას მათ გადარგვამდე.


ჭურჭელში ჩავყაროთ მომზადებული ნარევი და თითებით ოდნავ უნდა დავტკეპნოთ, რათა ძირში და კუთხეებში არ დარჩეს სიცარიელე. მაგრად დატკეპნაც არ შეიძლება. შემდეგ სუბსტრატს ჭურჭლის კედლებთან მოასწორებენ ხის ფიცრით და დამტკეპნი ფიცრის მეშვეობით, რომელიც ემთხვევა ჭურჭლის ზომებს ოდნავ დატკეპნით ისე, რომ მისი ზედაპირი ქოთნის ნაპირიდან იყოს 0,5-1,0 სმ-ით ქვემოთ.



1.ნიადაგის მოსწორება  
ჭურჭლის დონეზე




2.ზედაპირის მოტკეპნა



3.თესლის გარდიგარდმო თესვა


ახლა, როდესაც ყველაფერი მზადაა დასათესად, თესლებს თანაბრად მოაბნევენ ზედაპირზე. მსხვილ თესლებს თითო-თითოს დააწყობენ, წვრილებს კი მობნევით თესავენ პირდაპირ პაკეტიდან, რომელსაც ოდნავ ურტყავენ თითით. უნდა ეცადოთ, პაკეტი ზედაპირიდან ძალიან მაღლა არ გეჭიროთ, რათა აიცილოთ თესლების გაფანტვა ან არათანაბროდ განაწილება. ძალიან წვრილი თესლები უფრო მოხერხებულად დაითესება, თუ მათ წინასწარ შეურევთ მშრალ ქვიშას. ჯერ თესავენ თესლების დაახლოებით ნახევარს ჭურჭლის გარდი-გარდმო, შემდეგ დარჩენილ ნაწილს ასეთივე წესით თესავენ პირველი ნათესის გარდი-გარდმო (ჯვარედინად). თესლების ზემოდან მოვაყრით 0,3 სმ-ის ნაჩვრეტების მქონე საცერში გაცრილ ნიადაგის ნარევის თხელ ფენას, რომლის სისქე დაახლოებით უნდა შეესაბამებოდეს თვით თესლების სისქეს. ბოლოს, მიაკრავენ შესაბამის ეტიკეტს და მორწყავენ. ამისათვის ჭურჭლელს ათავსებენ დაბალ ლანგარზე წყლით, რომელსაც



4.თესლის ჯვარედინად  
თესვა



5.თესლის ნიადაგის  
გაცრით დაფარვა



6.გტიკეტის ჩარჭობა ჯიშისა და  
დათესვის თარიღის შესახებ

შეიწოვს სუბსტრატი. ლანგარზე წყლის დონე არ უნდა იყოს მაღალი, რათა იგი არ გადმოიღვაროს ჭურჭლიდან და არ წალეოს თესლები. რწყვის შემდეგ ზედმეტი წყალი უნდა ჩამოედინოს (ჩამოიწრიტოს).

მორწყვა შეიძლება ვაწარმოოთ ზემოდანაც, თუ გამოვიყენებთ სარწყულს წვრილი გამშევფავი ბადით. მორწყვას იწყებენ ჭურჭლის ფარგლებს გარედან, რათა მიაღწიონ წყლის თანაბარ ხარჯვას - ახლა შეიძლება თესლების მორწყვაც. მორწყვის დასრულებაც ხდება სარწყულის გამოტანით ჭურჭლის ფარგლებს გარეთ, რათა ბოლო წვეთები არ მოხვდეს მასში.



მორწყვა სუსტი წყლის ჭავლით

ტენიანობის და ტემპერატურის შენარჩუნებისათვის შუშით გადახურვა


ტემპერატურის სტაბილურობისათვის ქაღალდით დაფარვა

ჭურჭელს ზემოდან აფარებენ მინის ნაჭერს და მოათავსებენ თბილ ბნელ ადგილას, მაგალითად, ვენტილირებად კარადაში (რომელიც ნიავდება). მინას ზემოდან შეიძლება დააფაროთ ქაღალდის ფურცელი – ასეთ შემთხვევაში ჭურჭელი შეიძლება მოათავსოთ უბრალოდ თბილ ადგილას ( $21^{\circ}\text{C}$ ).

## თესლნერგების განვითარება

### ლებნიანი ფოთლები

თესლების გადივების დროს ჩანასახს ეზრდება ფესვი და გამოსდის ლებნიანი ფოთლები. როგორც წესი, ლებნიანი ფოთლები ძლიერ განსხვავდება შემდგომში წარმოქმნილი ნამდვილი ფოთლებისაგან.




თესლის გადივება, აღმოცენება და მცენარის განვითარება

## გადივება

ტერმინი „გადივება“ მოიცავს მთელრიგ პროცესებს, დაწყებულს იმ მომენტიდან, როდესაც გადოჯებულ (გაჯირჯვებულ) თესლებს ვათავსებთ ინტენსიური ზრდის დაწყების გამომწვევ პირობებში და იმ მომენტამდე, როდესაც განვითარებულ აღმონაცენს გაუჩნდება ნამდვილი ფოთლები და იგი მიიღებს ახალგაზრდა მცენარის სახეს. გადივებისათვის ოპტიმალურ პირობებში მოთავსებული სავსებით სიცოცხლისუნარიანი თესლი თუ მაინც არ გადივდა, უნდა დავასკვნათ, რომ იგი იმყოფება მოსვენების მდგომარეობაში. ზრდის დასაწყებად მცენარისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია წყალი. თუ თესლი წინასწარ არ იყო დამბალი წყალში, სუბსტრატი თესვის შემდეგ მაშინვე უნდა მოირწყას.

როგორც კი თესლი გაჯირჯვდება, იწყება ჩანასახის ზრდა, რომელსაც წარმოექმნება ფესვთა და ყლორტთა სისტემა, - გაგლუჯენ რა თესლის კანს, ისინი გარეთ გამოდიან.

ზრდის პროცესში ჩანასახი იყენებს დაზოგილ საკვებ პლასტიკურ ნივთიერებებს. საკვებ ნივთიერებებში არსებული ნახშირწყლების დაუანგვა გამოათავისუფლებს ზრდისათვის საჭირო ენერგიას. ამიტომაც არის, რომ გადივებული თესლები იჩენენ ჟანგბადზე დიდ მოთხოვნილებას, ინტენსიურად სუნთქვენ. ასეთი პირობების შექმნა შეიძლება მხოლოდ კარგად აურიორებად (განიავებულ) არეში.



აღმოცენების შემდეგ შეშას და ქადალდს იდებენ

აღმონაცენს რეგულარულად ზომიერად წყალი

დაავადებებთან საბრძოლვე დად წყალი ფუნგიციის სსნარით

თესლში ზრდის (საზრდელი) პროცესების უმეტესობა წარმოადგენს ქიმიური გარდაქმნების შედეგს, რომლის მიმდინარეობისათვის საჭიროა წყალი. ამიტომ ნორმალურად განვითარებად თესლს ესაჭიროება სულ უფრო მზარდი რაოდენობის წყალი და სუბსტრატში იგი საკმარისი უნდა იყოს.

მცენარეთა ზრდისა და განვითარების ყველა პროცესს საფუძვლად უდევს ქიმიური რეაქციები, რომელთა სიჩქარე განისაზღვრება ფიზიკური ფაქტორებით. უმარტივესი მაგალითი: როგორც ცნობილია, ტემპერატურის ზრდასთან (მატებასთან) ერთად იზრდება რეაქციების სიჩქარე. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ უფრო მაღალი ტემპერატურის დროს თესლები უფრო სწრაფად გადივდება. მაგრამ, ვინაიდან ყველა ეს რეაქციები მიმდინარეობს ცოცხალ ორგანიზმში, არსებობს ბიოლოგიური ზღვრები ტემპერატურის ზედა მიჯნისათვის. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ეკონომიკური

მხარეც – მაღალი ტემპერატურის შენარჩუნება უფრო ძვირი ჯდება. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თესლების გადივებისათვის ყვავილოვანი და ბოსტნეული კულტურების უმეტესობისათვის სავსებით მისაღებია ტემპერატურა დაახლოებით  $21^{\circ}\text{C}$ , ამიტომ გადივებისათვის საუკეთესო ადგილი იქნება ვენტილირებადი კარადა ოთახის პირობებში.


თესლებს ტენი და სითბო რომ ყოფნიდეთ, სასურველია გადივებისათვის გამოყენებულ ჭურჭელს დავაფაროთ მინის ნაჭერი – მასზე კონდენსირებული ტენი კვლავ ნიადაგის ზედაპირზე დაბრუნდება. ტემპერატურის ცვალებადობის შესამცირებლად მინას ზემოდან აფარებენ ქაღალდს.

როგორც კი გამოჩნდება აღმონაცენები, ქაღალდი და მინა უნდა მოვაშოროთ. ღივებს პერიოდულად უნდა შევასხუროთ წყალი და გადავიტანოთ კარგად განათებულ ადგილზე, მაგრამ არა მზის პირდაპირი სხივების ქვეშ – რათა თავიდან ავიცილოთ შეჭქნობა. დაავადებების რამე სიმბგომების გამოჩენის თავიდან ასაცილებლად აღმონაცენი რამდენჯერმე უნდა დამუშავდეს სპილენძის შემცველი ფუნგიციდით.

თუ აღმოცენებული მცენარე განსაზღვრული დროის განმავლობაში უნდა იზრდებოდეს ამავე ჭურჭელში, მათი დამატებითი კვება შეიძლება თხევადი სასუქებით თანდართული ინსტრუქციის შესაბამისად, მითუმეტეს, რომ ნერგების გამოსაყვანად საჭირო ნარევი ჩვეულებრივად შეიცავს მხოლოდ ფოსფორიან სასუქებს.

### ჯგუთვა ანუ პიკირება

ჩითილები უკვე ოდნავ გაიზარდა. ახლა შეიძლება მათი გადარგვა ამ ეტაპისათვის განსხვავებულ, უფრო მორგებულ და გამოსადეგ ნიადაგის ნარევში და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ისინი უნდა დაირგას შეთხელებულად, რათა ახალგაზრდა მცენარეებს შეეძლოთ თავისუფლად გაზრდა. ამ ოპერაციას ეწოდება ჯგუთვა ანუ პიკირება (ქოთნებში დარგვა).



ნიადაგის გაფხვიერება  
სკამზე დარტყმით

ჩითილებს იღებენ  
ჯოხის დახმარებით

ამოღებისას უჭირავთ  
ძლიერი ფოთლებით

ჭურჭელს ავსებენ ჩითილების ტიპის ნარევით და თითებით ოდნავ ტკეპნიან მას. სუბსტრატის ზედაპირს მოასწორებენ ჭურჭლის ზედაპირის დონეზე, რის შემდეგაც ოდნავ ჩატკეპნით ჩაწევენ ფიცრით, რათა იგი

ჭურჭლის ნაპირებიდან 0,5-1,0 სმ-ით ქვემოთ დაფიქსირდეს. ეხლა შეიძლება უკვე მცენარეები გადაირგოს.


ჩითილები მოირწყვება, შემდეგ სუბსტრატი ოდნავ გაფხვიერდება – ამისათვის ჭურჭლი რამეს ოდნავ უნდა მიარტყაო. გიჭირავთ რა ლებნიანი ფოთლებით და მოიხმართ რა პატარა პალოს, ამოიღეთ ნათესარი, ეცადეთ არ დააზიანოთ ფესვთა სისტემა. ჩითილის ღეროში ხელის მოკიდება არ შეიძლება.

ჩითილების ჩასარგავად ახალ სუბსტრატში პალოთი გაკეთდება საკმაოდ მსხვილი ღრმული. ჩარგავთ შიგ მცენარეს, რის შემდეგაც მის გარშემო ნიადაგს იმავე პალოთი აკურატულად მოტკეპნით. ოპერაცია მეორდება თითოეული მომდევნო ჩითილისათვის. დასარგავ კიუვეტში ჩვეულებრივ თავსდება 24-40 მცენარე.

ჯგუფის შემდეგ მცენარეები მოირწყვება და კვლავ მოთავსდება ობილ ადგილზე ( $21^{\circ}\text{C}$ ), რათა მათ რაც შეიძლება სწრაფად გაიხარონ.

### წრთობა

დაწყებული ჯგუფიდან მცენარეს ნელ-ნელა და თანმიმდევრულად ამზადებენ მომავალი გადარგვისათვის შედარებით დაბალი ტემპერატურისა და ტენიანობის არამყარი რეჟიმის პირობებში, სადაც მცენარეები ქარის ზემოქმედებასაც განიცდიან, რათა ამ პირობებში შემდეგში არ დააბრკოლონ მათი ზრდა. ასეთ მოსამზადებელ პროცესს წრთობა ეწოდება.



ახალ სუბსტრატში  
პალოთი აკეთებენ ღრმულებს

რგავენ და პალოთივე  
ტენიანი ნიადაგს

ბოლოს რწყავენ და  $21^{\circ}\text{C}$   
ინარჩუნებენ

მრავალი მცენარის გამოყვანას იწყებენ დახურულ, დაცულ გრუნტში ჯერ კიდევ ცივ პერიოდში, რათა გადარგვის დროისათვის, როდესაც აცილებული იქნება გაყინვის საფრთხე, გვქონდეს უკვე მსხვილი ჩითილები. ვინაიდან მცენარეები ჯერ არ არის გამოწროობილი, აგრეთვე იმის გამო, რომ ბადების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია დაცული გრუნტის ფართობების დეფიციტი, მცენარეების გამოზრდა უხდებათ ძალიან შემჭიდროვებულად.

მცენარეთა ასეთი მჭიდრო განლაგების დროს იქმნება სოკოვანი დაავადებების განვითარების საშიშროება, რის გამომწვევებიც ჭარბადაა ნიადაგში; სინათლისათვის ბრძოლაში მცენარეები ზემოთ იწევენ. ვინაიდან


მცენარეებს სხვადასხვა მოთხოვნილება აქვთ წყალზე, საჭიროა ყველდღიურად ძალზედ უურადღებით გადეგნოთ თვალყური მათ და ამორჩევით მოვრწყათ.

როდესაც გადარგული ჩითილები გაიხარებენ, ისინი გადააქვთ უფრო ცივ ადგილზე. ამ მხრივ ნამდვილად შეუცვლელია ცივი კვალსათბური. პირველ ხანს იგი მჭიდროდ უნდა იყოს დაკეტილი. შემდგომ დღისით იწყებენ ვენტილაციისთვის საჭირო ჩარჩოს გახსნას, ნელ-ნელა უმატებენ ღრიჭეს სიმაღლეს. წრთობის პერიოდის დასასრულს კი კვალსათბურს დამეც აღებენ. თბილ ამინდში კვალსათბურიდან ჩარჩო საერთოდ მთელი დღით შეიძლება მოიხსნას, და ბოლოს, მას უბრალოდ ხსნიან.

თუ გარე ტემპერატურა ეცემა  $-4^{\circ}\text{C}$ -ის ქვემოთ, ეს საფრთხეს უქმნის კვალსათბურში არსებულ მცენარეებს. ამიტომ სითბოსმოყვარული მცენარეების ყინვებისაგან დასაცავად საჭიროა გავითვალისწინოთ დამატებითი თავშესაფარი.

საიმედო და გამოსაყენებლად მარტივი თავშესაფარი უნდა იყოს მსუბუქი, მაგრამ საკმაოდ მყარი. ძალზედ მოსახერხებელი და ეფექტურია სხვადასხვა მცენარეული ბოჭკოებისაგან დამზადებული ჭილობები და სხვა ანალოგიური მასალა (მებაღეები ხშირად იყენებენ ჭილობებს ლელქაშისაგან ან ჯვალოს).

კვალსათბურში მცენარეები რეგულარულად უნდა დათვალიერდეს, რათა ისინი არ გახმეს. თუმცა, მათთვის ჭარბი წყალიც არ არის სასურველი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მცენარისათვის შეხმობა მაინც ისეთი საშიში არ არის, როგორც წყლის ჭარბი რაოდენობა. დაბალი ტემპერატურის დროს ძალზედ დატენიანებული ნიადაგის ნარევი – იდეალური გარემოა ფესვთა სიდამპლის გამომწვევი სოკოების განვითარებისათვის. ხოლო მახლობლად მცენარეების განლაგება ხელსაყრელია ფოთლებზე სოკოვანი დააგადებების გაჩენისათვის. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია პერიოდულად შევასხუროთ მცენარეებს ფუნგიციდები (კაპტანი, ფუნდოზოლი).



კვალსათბურებს  
ათბუნებენ

წრთობისთვის დღისით  
შუშებს წევენ

ამჟავებენ ფუნგიციდებით  
და მინერალური სასუქებით

ჩითილების გამოყვანისას ყურადღება უნდა დაუთმოთ მცენარეთა კვების რეჟიმსაც. ჯგუფვიდან საბოლოო დარგვამდე ჩითილები რამდენიმე კვირით უნდა მოვათავსოთ და გამოვზარდოთ ტორფიან საკვებ ნარევში. ამ


დოროს მცენარეებმა არ უნდა იშიმშილონ და ხელი არ უნდა შეეშალოთ მათ ზრდას საჭირო ზომამდე. მაგრამ არც ძალზე გულმოღინეთ კპგებოთ, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში მცენარეები იწყებს ინტენსიურ ეთიოლირებას და ძალზედ გაიზრდება, რაც შეამცირებს ჩითილების გახარებას გრუნტში მათი გადარგვის შემდეგ, თანაც გაიზრდება კვალსათბურში დაავადებების გაჩენის რისკი. ჩითილებს რეგულარულად გამოკვებავენ, რისთვისაც იყენებენ თხევად სასუქებს (ინტერვალები დამატებითი გამოკვებისათვის მითითებულია ჭურჭელზე თანდართულ ინსტრუქციებში).

## ხეებიდან და ბუჩქნარიდან თესლების აღება


ზოგიერთი ხეებისა და ბუჩქნარების თესლების გამოყოფა გვიხდება ნაყოფიდან, რითაც აღვილდება მათი შემდგომი შენახვა ან დათესვა. ზოგჯერ თესლები დათესვამდე უნდა ინახებოდეს რიგი წლების განმავლობაში. ყოველივე ეს გავლენას ახდენს მათ სიცოცხლისუნარიანობაზე და აღმოცენებაზე, ე.ო. განსაზღვრავს ნიმუშად შემდგომში გაღივების უნარის მქონე თესლების შენახვას.

თესლების გამოყოფა ნაყოფიდან და მათი გაწმენდა – საკმაოდ მოსაწყენი და დამქანცველი საქმეა. მაგრამ ეს ოპერაცია უბრალოდ აუცილებელია იმისათვის, რომ შემდგომში გაადვილდეს მათი თანაბარი დათესვა.

თუ თესლები წარმოიქმნება მშრალ ნაყოფ-კოლოფებში, მათ გამოყოფენ გაცრით. თესლები და ნაყოფები, რომლებიც უშუალოდ ჩამოიყრება ხეებიდან, როგორც ეს მუხას, წაბლს, თხილსა და წიფელს ახასიათებთ, უკვე მზად არის დასათესად. საჭიროა მხოლოდ მათი მიწიდან აკრეფა.



ფრთიანი ნაყოფები ჯერ უნდა გამოშრეს, რათა გავაცალკევოთ თესლები მათზე გამოზრდილი ფრთებისაგან. თუ ფრთიანი ნაყოფი შეიცავს მხოლოდ ერთ თესლს, როგორც, მაგალითად, ნეკერჩალი, ეს ოპერაცია შეიძლება არ გავაკეთოთ. მაგრამ, იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ნაყოფი შეიცავს რამდენიმე თესლს, როგორც მაგალითად რცხილა, საჭიროა გამოიყოს თითოეული თესლი. ამისათვის ნაყოფებს აშრობენ, ამტკრევენ, გაანიავებენ და გამოარჩევენ თესლებს.



1. რბილობიდან თესლის გამოცვლა


2. დარჩენილ ნაყოფებს საცერიო აცილებენ

3. მოუცილებელ მასას თბილ წყალში ყრიან 2-3 დღით

თესლების გამოყოფა კენკროვანებიდან და წყლიანი (წვნიანი) ნაყოფებიდან დამოკიდებულია მათ ზომებზე, აგრეთვე ნაყოფის რბილობის კონსისტენციაზე. თესლოვანი კელტურების ხორციან ნაყოფებს, მაგალითად, ვაშლს, მსხალს, მუშმულას, კომშს, პირველ რიგში აცლიან რბილობს.

ნაზი რბილობის მქონე ნაყოფებიდან, როგორიცაა კოწახური, შედარებით მსხვილ თესლებს გამოყოფენ ნაყოფების ჯერ პრესის ქვეშ გაჭყლებით, შემდეგ მთელ გაჭყლებილ მასას ჩაღრმავებულ თევზში მოვათავსებთ, დავასხავთ ცოტა წყალს და შევანჯლრევთ ნელი მოძრაობით. თესლები გროვდება თევზის ცენტრში, რბილობი კი რჩება ნაპირებზე. თესლებს მოვაშორებთ ნაყოფის კანის ნარჩენებს.

ძალზედ ნაზ ნაყოფებს ასავე ჯერ ჭყლებავენ პრესის ქვეშ, რის შემდეგაც რბილობს გაუცალკავებელი თესლებით ფერმენტაციისათვის ათავსებენ თბილი წყლით შევსებულ ჭურჭელში, მას რამდენიმე დღით აჩერებენ თბილ ადგილზე, ვიდრე შიგთავსი არ დაიწყებს დუღილს. ამის შემდეგ რამდენჯერმე გამოუცვლით წყალს, ამასთანავე გავაცლით თესლებს დღლაბს. თესლები დარჩება ჭურჭლის ძირში; მათ გაგაცლით კანის ნარჩენებს.



4. რბილობიან წყალს ასხავენ და თესლი ძირზე რჩება


5. საბოლოოდ რბილობისგან ხელით ასუფთავებენ

6. ჭურჭელში რეცხავენ და საბოლოოდ ასუფთავებენ

კერძო სასიამოვნოა წიწვოვანი კულტურების გირჩების დამუშავება. გირჩებს აგროვებენ მანამ, სანამ დაიწყება თესლების ცვენა, და ჩაწყობენ ქაღალდის პაკეტებში (პარკეტში), რომელთაც ათავსებენ კარგად განიავებულ ადგილზე. თესლების გამოსაყოფად პაკეტებს რეგულარულად შეანჯდრევენ. ზოგიერთი ჯიშების, მაგალითად თეთრი სოჭის გირჩები მომწიფებისას ნაწილებად იფანტება. ასეთ შემთხვევაში თესლებს გამოყოფენ ქერქლისაგან. არავითარ შემთხვევაში არ გააშროთ გირჩები ლუმელში, ვინაიდან მათი თესლები ამ დროს შეიძლება დაიღუპოს. ზოგიერთი გირჩები, მაგალითად, ფიჭვის, გაშრობის დროს უცბად არ იხსნება. მათ ათავსებენ ქვაბში, რომელშიც მოთავსებულია  $71\text{--}82^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე გამობარი წყალი და გააჩერებენ მასში გირჩების სრულ გახსნამდე.

## ნაკვეთის მომზადება დასათესად

ხეებისა და ბუჩქნარების ჩითილები უმჯობესია გამოვზარდოთ დია გრუნტში კვლებზე. თუმცა თესვა შეიძლება ვაწარმოოთ საღივარშიც, ნიადაგური ნარევის თვისებები დროთა განმავლობაში უცილობლივ უარესდება, ეს კი ამცირებს თესლების გაღივების ენერგიას. სანამ ახალგაზრდა ჩითილები გადაირგვება გრუნტში, მათ გამოზრდიან, ამასთან, საღივარების შეზღუდული მოცულობა აფერხებს ფესვთა სისტემისა და ყლორტების ზრდასა და განვითარებას. საღივარების მეორე ნაკლოვანი მხარე დაკავშირებულია ნათესარების მოვლაზე გაწეულ ყოველდღიურ შრომით დანახარჯებთან: საჭიროა ძალზედ გულმოდგინედ ჩატარდეს მცენარეთა მორწყვა და დამატებითი გამოკვება.



კვალსათბურს ახალ  
სუბსტრატს უმატებენ

უმატებენ ტორფსა  
და სილას

კვალსათბურს ბარავენ და  
მთელი ზამთარი ტოვებენ

დია გრუნტში კვალის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მასზე ნერგების ზრდა განუსაზღვრელია. თანაც, ფართობის ერთეულზე შესაძლებელია უფრო მეტი ნათესარების გამოზრდა: 1 მ<sup>2</sup>-დან მცენარის

გამოსავალი შეადგენს წაბლისა და მუხის 100-130 ცალს, მაგნოლიის – 270, სხვადასხვა წიწვოვანი ჯიშებისათვის კი - 550-750 ცალს.

მრავალი ხეებისა და ბუჩქნარების ფესვთა სისტემა შეგუებულია ცხოვრებას ნიადაგის სოკოებთან ურთიერთობაში (სიმბიოზი), რომლებიც ხელს უწყობენ ფესვთა მრავალი ფუნქციის შესრულებას მცენარის მიერ მიწოდებული საკვების სანაცვლოდ. ეს თანაარსებობა (თანაცხოვრება) ხშირად მცენარეებისათვის აუცილებელია მათი ცხოვრების დასაწყისიდანვე. მნიშვნელოვანია, რომ თესლების გაღივების დროს მიწაში იყოს ეს სოკოები. ასეთი სოკოების ერთ-ერთ წყაროდ ითვლება დამპალი ფოთლები.

თესვისათვის ნაკვეთს ამზადებენ შემოდგომით ან ზამთრის დასაწყისში – მსხვილ ბელტებად გადაბარული მიწა უნდა დარჩეს ასე მთელი ზამთარი. სასურველია, რომ კვალის ზედაპირი გარშემოყოფ მიწის დონეზე რამდენადმე მაღლა იყოს. ეს აუმჯობესებს ნიადაგის დრენაჟს, აადვილებს თესლების ჩათესვას და აღმონაცენის გამოჩენას. მომავალი კვალის პერიმეტრზე ფიცრებისაგან აგებენ 20-23 სმ-ის სიმაღლის ფიცარნაგს. თესლების თანაბრად თესვის გასადვილებლად, კვალს ძალიან განიერს არ აკეთებენ, ვთქვათ 1 მ. ასეთი სიგანის დროს უფრო ადვილია მცენარეების მოვლა.

ნაკვეთს გულმოდგინედ გადაბარავენ ბარით, ბარის პირის სიღრმეზე, შეაქვთ ტორფი, და, თუ არის ამის საშუალება, ხმელი ფოთლებისაგან დამზადებული კომპოსტი. თუ ნიადაგი ძალიან მძიმეა, მას უმატებენ მსხვილმარცვლა ქვიშას.

გაზაფხულზე კვალში მიწის მსხვილ ბელტებს დაშლიან და გულმოდგინედ აფხვიერებენ მის ზედაპირს. ამის შემდეგ გაზრდილ სარეველებს ანადგურებენ თოხით.


თესვის წინ ნაკვეთში 1 მ<sup>2</sup>-ზე შეაქვთ დაახლოებით 120 გ ფოსფორიანი სასუქები. კვალის ზედაპირი გულმოდგინედ მოსწორდება, რათა გაადვილდეს თესვა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შემდგომი მორწყვები.

### თესვისათვის იდეალური პირობები

როგორც სხვა ნებისმიერი თესლების შემთხვევაში, მერქნიანი და ბუჩქნარი კულტურების თესლების თესვისას, საჭიროა უზრუნველვყოთ აღმონაცენის სწრაფი გამოჩენა, რათა ნათესარებმა უფრო ეფექტურად გამოიყენონ მისაწვდომი საკვები ნივთიერებები. ამიტომ თესვა სასურველია ჩატარდეს საუკეთესო პირობებში - კარგად დრენირებულ, „ჰაეროვან“ კვალზე, ადვილად დასატენიანებელ და თბილ ამინდში.

თავდაპირველად გაღივება დამოკიდებულია ნიადაგის ტენით უზრუნველყოფაზე, ვინაიდან თესლმა უნდა შთანთქოს ტენის განსაზღვრული რაოდენობა და გაჯირჯვდეს, სანამ მის შიგნით გააქტიურდება რთული ბიოქიმიური პროცესები. წყალი საჭიროა გაღივების ბოლო ეტაპებზეც, იგი საჭიროა მცენარის ქსოვილებში ყველა იმ პროცესების მიმდინარეობისათვის, რომლებიც იწვევს თესლის გაღივებას. უნდა გვახსოვდეს, მაგრამ ამასთანავე უნდა ვერიდოთ კვალის ზედმეტ დატენიანებას. თესლის გაღივებისათვის ხომ ჰაერიც საჭიროა, მასში შემავალი ჟანგბადით. ზრდისათვის ესოდენ საჭირო ენერგია წარმოიქმნება თესლის ნახშირწყლებისა და სხვა სამარაგო საკვები ნივთიერებების დაშლის შედეგად, რომელიც მიმდინარეობს ჟანგბადის არსებობის დროს. ამიტომ ჟანგბადის ნაკლებობა იწვევს გაღივების დამუხრუჭებას.

გადივებაზე მოქმედი სხვა მნიშვნელოვანი გარე ფაქტორია ტემპერატურა. ზრდის (საზრდელ) ყველა პროცესს საფუძვლად უდევს



გაზაფხულზე აფხვიერებენ

ამოსულ საერეველებს  
თოხით აცილებენ

შეაქვთ ფოსფოროვანი  
სასუქი და ასწორებენ

ბიოქიმიური გარდაქმნები და მათი ინტენსიურობა დამოკიდებულია ტემპერატურულ პირობებზე: რაც მეტია სითბო, მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს რეაქციები. ამიტომ გადივების ენერგია პირდაპირ დამოკიდებულებაშია კვალის ტემპერატურასთან, ამიტომ თესვა უკეთესია ჩავატაროთ გაზაფხულზე, როდესაც მიწა გათბება.

## თესვა

### თესვის ნორმა

თესვის წინ საჭიროა განვსაზღვროთ, რა სიხშირით ანუ კვების არით არის საჭირო დათესვა, რათა ნორმალური აღმონაცენები მივიღოთ, გაიზარდოს და განვითარდეს ჯანმრთელი ნერგები. მიზანშეწონილი არ არის თესლების თესვა როგორც ძალიან მეჩხერად – არ გამოიყენება სასარგებლო ფართობი, ისე ძალიან ხშირად – ამ დროს დასუსტებული აღმონაცენები ზიანდება სხვადასხვა დაავადებით. დგომის ოპტიმალური სიხშირე განისაზღვრება მცენარის სახით და მისი ზომებით.

ნათესარების დგომის ოპტიმალური სიხშირის გასაანგარიშებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი შეიძლება იცვლებოდეს ორი ფაქტორის ზემოქმედებით, რომლებიც საბოლოო ჯამში განსაზღვრავენ თესვისათვის საჭირო თესლის რაოდენობას.

პირველი ფაქტორი – თესლების სიცოცხლისუნარიანობა ანუ გადივების უნარია ანუ სხვა სიტყვებით, ნიმუშში იმ თესლების შეფარდებითი შემცველობა, რომლებსაც გადივებისა და აღმოცენების უნარი შესწევთ. ავიღოთ რამდენიმე თესლი, თითოეული გავჭრათ შუაზე, თუ ეს შესაძლებელია და განვსაზღვროთ მათ შორის ცოცხლების თანაფარდობა.

მეორე ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ნათესარების დგომის სიხშირეზე, დაკავშირებულია შემდგომი ზრდის დროს მათ გადარჩენადობასთან. ვინაიდან ნაკლებად სარწმუნოა, რომ ყველა სიცოცხლისუნარიანი თესლი გადივდება და მოგვცემს ჯანსაღ ნათესარებს ანუ თესლერგებს, ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ შესაძლო დანაკარგები, თესლის გადივების შემცირების, დაავადებებით, მავნებლებით და წაყინვებით გამოწვეულ დაზიანებების გამო. ჩვეულებრივ, რაც უფრო მსხვილია თესლი და უფრო მოკლეა თესვიდან გაღივებამდე პერიოდი, მით მეტი შანსია მივიღოთ კარგი აღმონაცენი.

## თესვის რეკომენდებული ნორმები სხვადასხვა კულტურებისათვის

წიფელი, ალუბალი, მუხა, წაბლი, კაკალი – 110-130 მცენარე 1 მ<sup>2</sup>-ზე.  
კუნელი, ნეკერჩხალი, ჩვეულებრივი და მრგვალფოროლა ცირცელი,  
მაჟალო – 200-250 მცენარე 1 მ<sup>2</sup>-ზე.  
არაუკარია, ყურძენი, მაჯაღვერი, გამამელისი, ძახველა, შინდი,  
ჩიტაკომშა, ფოთოლცვენია მაგნოლია, ასკილი - 280 მცენარე 1 მ<sup>2</sup>-ზე.  
კოჭახური, მაგონია, ბაძგი, სკიმია – 390 მცენარე 1 მ<sup>2</sup>-ზე.  
ნაძვი, კედარი, სოჭი, ფიჭვი და იელი – 560 მცენარე 1 მ<sup>2</sup>-ზე.

## თესვა კვალში

თესვის ნორმის განსაზღვრისა და წყნარი უქარო დღის შერჩევის შემდეგ, იწყებენ თესვას. თესლებს თესავენ გულმოდგინედ გაკეთებულ კვალში, მიწას მასზე უნდა ჰქონდეს წვრილკომტოვანი სტრუქტურა.

მსხვილი თესლები თითო-თითო ითესება, უნდა მივაღწიოთ რიგში მათ თანაბრად თესვას. თუ თესლები წვრილია, თანაბარი თესვის მისაღწევად საჭიროა ხელი, რომლითაც თესავთ, მიწის ზედაპირთან ახლოს გეჭიროთ. დათესილ თესლებს ოდნავ ჩავწევთ მიწაში, რათა უზრუნველვყოთ მიწასთან მისი კარგი კონტაქტი, მაშასადამე მასთან წყლის მიწოდების შესაძლებლობაც. ზემოდან თესლებს ვაყრით ქვიშას. მას მოფანტავენ აქანდაზით ან ნიჩაბით პირდაპირ მიწის ზედაპირზე, მკვეთრი მოძრაობით ვცდილობთ არ დაგუშვათ თესლების ერთად შექუჩება. დაახლოებით 1,3 სმ-ის სისქის მსხვილმარცვლა ქვიშა უზრუნველყოფს ზედაპირზე კარგ დრენაჟს, წყლის თანაბრად მიწოდებას ნიადაგში. წვიმის წვეთები ამ დროს არ ჩარეცხავს ნიადაგის ზედაპირს. თესლები კარგად ნიავდება, ხოლო სარეველების გამარგვლა განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს.


ქვიშის ზედაპირს მოასწორებენ ფოცხის მეორე მხარით, დააკრავენ ეტიკეტს და თუ მიწა მშრალია, მორწყავენ მას.

ქვიშით მულჩირებულ ასეთ კვალზე ნათესარი თესლნერგები ხანგრძლივი დროის მანძილზე ნორმალურად გაიზრდება, რა გინდ არახელსაყრელი ამინდის პირობებიც არ უნდა იყოს.

## აღმონაცენის მოვლა

გარედან ზემოქმედ არახელსაყრელ მოვლენებს შორის, რომლებიც აფერხებენ ახალგაზრდა აღმონაცენების ზრდას და შეუძლიათ გამოიწვიონ

მათი დაღუპვაც კი, ყველაზე დიდი ზიანი ქარს მოაქვს: აძლიერებს რა აორთქლებას, იგი არსებითად აფერხებს ნათესარების ზრდას. მცენარეთა მორწყვა ყოველთვის ვერ გამოასწორებს ამ მდგომარეობას, ვინაიდან ნათესარების არ შესწევთ უნარი მოკლე დროში შთანთქონ საკმარისი რაოდენობის წყალი, რათა კომპენსირებული იქნეს მისი დანაკარგი. ამიტომ ნათესარიანი კვალი ჩვეულებრივად შემოიღობება წვრილი ბადით, რომელიც ამგვარად იცავს ნათესარ თესლნერგებს ქარისაგან.



როგორც კი აღმონაცენებს გაუჩნდებათ პირველი მწვანე ფოთლები, ისინი უნდა გამოიკვებოს აზოტითა და კალიუმით, დამატებით ადრე შეგრანილ ფოსფორთან. უკეთესი გამოვიყენოთ სასუქების თხევადი ფორმები. ინსტრუქციის შესაბამისად, რამდენჯერმე ატარებენ დამატებით კვებას, ყოველ ჯერზე შეაქვთ მცირე რაოდენობის სასუქები.

მერქნიანი და ბუჩქნარების ტიპის ნათესარებს ძალიან ეშინიათ ყინვების. ბუნებრივად ზრდის პირობებში ისინი დაცულნი არიან უფრო მაღალი მცენარეების კალით. ხოლო კვალში ნათესარები სრულიად დაუცველია. იმ პერიოდის დასრულებამდე, სანამ შესაძლებელია ყინვები, მათ ფუთავენ (აფარებენ) წვრილი ბადით, რომელიც დაჭიმულია მსუბუქი მავთულის რკალებზე, ან გაზეთის ქაღალდით, რომელსაც აფარებენ კვალს იმ დამეების წინ, როდესაც მოსალოდნელია ყინვები.

საჭიროა აგრეთვე გულმოდგინედ ვადევნოთ თვალყური მავნებლების გამოჩენას, მაგალითად, მწვანე ბუგრის და ფესვთა სხვადასხვა სიდამპლისა და ნაცრის დაავადებებს. ნათესარებს რეგულარულად შევასხუროთ ინსექტიციდებისა და ფუნგიციდების ხსნარები.


თუ კვალი მომზადდა ყველა წესის დაცვით, მაშინ მასზე სარეველები ნაკლებად იქნება. თუმცა, სარეველა ბალახების თესლები შეიძლება ქარმაც მოიტანოს. ამიტომ, როგორც კი ისინი წამოიზრდებიან, სანამ აღმონაცენები ჯერ კიდევ დიდი არაა, ხოლო ფესვთა სისტემა განლაგებულია უპირატესად ქვიშის ზედა ფენაში, მაშინვე უნდა ჩატარდეს მარგვლა.

## ფესვები

ფესვებით მცენარის გამრავლება ძალზე მარტივი და სწრაფი ხერხია, რომელიც ხშირად სათანადოდ არ არის დაფასებული. ჯერ კიდევ 1662 წელს

ჯონ ივლინი თავის განთქმულ ტრაქტატში ხევბის შესახებ წერდა, რომ, თუ იმ ადგილას, სადაც ამოთხრილია ხე, დარჩება ცოცხალი ფესვები, მათ შეუძლიათ სათავე მისცენ ახალ მცენარეს. „მებაღის ლექსიკონში“, რომელიც გამოცემულია 1731 წელს, ფილიპ მილერი საუბრობს გამერქნებული კალმების მეშვეობით კონკრეტული მერქნიანი ჯიშების გამრავლებაზე, როგორც მებაღებისთვის უკვე კარგად ცნობილ ხერხები.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ხერხით გამრავლების შესაძლებლობა დამტკიცებულია, მუშაობის მეთოდიკა არ იქნა შემუშავებული, გამონაკლისს შეადგენს უპირატესად ბალახოვან მცენარეთა მცირე ჯგუფი. სავარაუდოდ, ამ მეთოდის დაუფასებლობის მიზეზია მისი წარმატებით გამოყენების შესაძლებლობის განუსაზღვრელობა. ჩვენი აზრით, ასეთი მეთოდიკა იმსახურებს უფრო მეტ პოპულარობას და ყურადღებას, ვინაიდან გასამრავლებლად აღებული მცირე რაოდენობის მასალიდან შესაძლებელია მივიღოთ მცენარეთა დიდი რიცხვი. ამიტომ ჩვენ უფრო კრიტიკულად შევჩერდებით გამრავლების ამ ხერხის დეტალებზე.



ამონაყრების ამოცლა და ახალი მცენარეების  
განვითარება

დასაწყისისათვის დავყოთ მცენარეები ორ ჯგუფად: მცენარეები, რომლებიც შეიძლება გამრავლდეს ფესვებით, და ისინი, რომლებიც არ ექვემდებარება ასეთ გამრავლებას. ფესვის კალმებით, მაგალითისათვის, შეიძლება გამრავლდეს მცენარეები, რომელთა ფესვებზე წარმოქმნება კვირტები, თუმცა ეს აუცილებელი პირობა არ არის სრულფასოვანი ახალი მცენარის განვითარებისათვის.

სხვადასხვა მცენარეთა განხილვისას, რომელთაც უნარი შესწევთ შექმნან ფესვებზე დამატებითი კვირტები, ნათლად ჩანს, რომ ერთ მცენარეებში ასეთი რეაქცია არის ზრდის პროცესების ბუნებრივი გამოხატვა, მაშინ როდესაც სხვა მცენარეებში ამის გამოწვევა შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული ზემოქმედებებით. ზოგიერთ მცენარეებში კვირტები წაგრძელდება და იზრდება როგორც ყლორტები, სხვებში კი ისინი სხვაგვარად ვითარდება.


აი ფესვების გამოყენებით მცენარეთა გამრავლების სამი ხერხი: ფესვების ამონაყარების (ფესვის ამონაყარი) ბუნებრივი წარმოქმნა და განცალკევება, ფესვების ამონაყარები დაუზიანებელი, მაგრამ ხელოვნურად იზოლირებული ფესვებიდან და ფესვის კალმები.

როდესაც მცენარეს ამოთხრიან, ფესვების ნაწილი აუცილებლად გაწყდება და რჩება მიწაში. შემდეგი გაზაფხულის განმავლობაში ამ ფესვებზე იქმნება ფესვების ამონაყარები. თუ ახალგაზრდა ყლორტებს დავტოვებთ გასაზრდელად ზაფხულის განმავლობაში, მაშინ შემოდგომაზე შეიძლება ისინი ამოვთხაროთ და გამოვიყენოთ სარგავ მასალად. ასეთი

ხერხით გამრავლების უნარის მქონე მცენარეებს შორის შეიძლება დავასახელოთ ოუთუბო, რობინია, ხემურალა, უოლო, პენომელესი. ოუმცა მცენარეთა უმრავლესობის გამრავლება შეიძლება ფესვის კალმებითაც და ვინაიდან მეორე შემთხვევაში მიწის ფართობი გამოიყენება გაცილებით ეკონომიურად და ყაირათიანად, პირველი ხერხი იშვიათად გვხვდება.

### ფესვის ამონაყარების ბუნებრივი წარმოქმნა

ფესვის ამონაყარების ბუნებრივი წარმოქმნა დამახასიათებელია, მაგალითად ბროწეულის, იასამნისა და ალუბლისათვის: მოზრდილი მცენარეების ფესვებზე წარმოიქმნება ახალგაზრდა ყლორტები, რომლებიც მოგვიანებით აყალიბებენ საკუთარ ფესვთა სისტემას.



შემოდგომაზე მცენარეს  
მთლიანად ამოთხრიან

ამოთხრილ მცენარეს  
ყოფენ რამდენიმე მცენარედ

ასეთი მცენარეები  
გადააქვთ გრუნტში

საგეგეტაციო სეზონის ბოლოს ახალგაზრდა ყლორტებს აცალებებენ სადედე მცენარის ფესვთა სისტემისაგან. რამდენიმე კვირის შემდეგ, როდესაც ახალგაზრდა ყლორტები იზრდება უკვე სრულიად დამოუკიდებლად, მათ ამოთხრიან და გადარგავენ.

თუ ფესვის ამონაყარების ყლორტი წარმოიქმნება ნამყენ მცენარეზე, მაგალითად ვარდზე, იგი რაც შეიძლება ადრე უნდა მოშორდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში დამყნობილი მცენარე დასუსტდება. გახსოვდეთ, რომ ფესვების ამონაყარები იქმნება საძირედან და არა დამყნობილი კულტურული ჯიშის კვირტებიდან.

### ფესვის კალმები


#### დაკალმების ჩატარების დრო

ფესვის კალმებით მცენარეთა გამრავლებისას ძალზედ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მათი უნარის შესახებ წარმოქმნან კვირტები წლის სხვადასხვა დროს.

ფესვის კალმების კვირტწარმოქმნის უნარში სეზონურობა ადრე პრაქტიკულად არ იყო გათვალისწინებული. ოუმცა, ბოლო გამოკვლევები

ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ სეზონური ცვლილებები ფესვების უნარში, ჩამოაყალიბონ დეროს კვირტები, მაინც არსებობს. ამიტომ, ამ ხერხით მცენარეთა გამრავლებას წლის არახელსაყრელ დროს აზრი არა აქვს.

შესაძლოა, სწორედ მცენარეთა ყლორტწარმოქმნის უნარში ამ ცვალებადობამ მიგვიყვანა იმ განუსაზღვრელობისაკენ, რომელიც დამახასიათებელია მებაღეთა უმეტესობისათვის, ფესვის კალმებით მცენარეთა გამრავლების ხერხის დირსების მიმართ.



მოსვენების ფაზაში მყოფ  
მცენარეებს თხრიან

მიწისზედა მასას და  
მიწას აცილებენ

ფესვებს წყალში  
რეცხვენ

ამასთან დაკავშირებით, დაკალმებისათვის ყველაზე ხელსაყრელი დროის შერჩევისას მნიშვნელოვანია თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დავადგინოთ, მოქმედებს თუ არა ასეთი სეზონური რყევები სადედე მცენარის ყლორტწარმოქმნის უნარზე.

ბევრი მებაღის აზრით, დაკალმებისათვის ყველაზე ხელსაყრელი დროა ვეგეტაციის სეზონი. თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის, ხშირად საუკეთესო შედეგები მიიღება ძალზედ ნააღრევ ან პირიქით, გვიან დაკალმებისას. არის ისეთი მცენარეებიც, რომლებიც კარგად მრავლდებიან ფესვის კალმებით მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ ასეთები შედარებით ცოტაა. ალბათ, ყველაზე კარგი მაგალითია მათ შორის – პირზუშხა, რომელიც ამ თვისების წყალობით იქცევა მაგნე სარეველად: ნიადაგში ფესვების გაწყვეტის დროს თითოეული მისი ნაწილისაგან შეიძლება განვითარდეს ახალი მცენარე. ხოლო სხვა მცენარეების მირითადი მასა ამჟღავნებს სეზონურ რეაქციას დაკალმებაზე. ადრეული დაკვირვებების თანახმად ითვლებოდა, რომ მცენარეთა დაკალმება ყველაზე კარგია ზამთრის პერიოდში, მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მერქნიანი ჯიშებისათვის ეს უმეტეს შემთხვევაში სწორია, მაგრამ გადამწყვეტ ფაქტორად აქ ითვლება არა ზამთარი, როგორც ასეთი, არამედ ის, რომ მცენარეები იმყოფებიან მოსვენების მდგომარეობაში. ბევრ ბალახოვან მცენარეს, განსაკუთრებით ალბურს, ზამთრის თვეებში მოსვენების სტადიაზე აუცილებელი გადასვლა არ ახასიათებთ. მთის ზოგიერთი ბინადარი, მაგალითად ჩვეულებრივი მედგარი, იწყებენ ზრდას უკვე იანვარში და ამ დროს დაკალმება სჯობია არ ჩატარდეს. იგი წარმატებული იქნება მხოლოდ მოსვენების პერიოდში, რომელიც ამ მცენარეს აქვს ზაფხულის ბოლოს – შემოდგომის დასაწყისში.

მიუხედავად იმისა, რომ ფესვის კალმებით გამრავლება შესაძლებელია მცენარის მოსვენების მთელი პერიოდის მანძილზე, მაინც უკეთესია

ორიენტირება მის შუა პერიოდზე და არა დასაწყისსა და დასასრულს, როდესაც კალმების გახარების უნარი მცირდება.

**მცენარეები, რომლებიც წარმატებით მრავლდებიან ფესვის კალმებით**

**ალპური მცენარეები**  
სავარცხელა  
არნებია  
ფრინტა  
პატარძალა  
გერანი (ბალბიფოთოლა)  
ქერიფქლა  
ღორის ქადა  
მორისია  
ფურისულა მედგარი  
კარდუნცელუსი

**ბალახოვანი მცენარეები**  
აკანთო  
პატარძალა  
მიხაკი  
მლაშეცოცხა  
ქერიფქლა  
მახა  
ლურჯი ნარი  
ფლოქსი

**ნახევრალბუჩქნარები**  
დენდრომეკონი  
რომნეა

**ბუჩქნარები**  
არალია  
კლეროდენდრუმი  
ჟოლო  
ქლიავი და ქვრინჩხი  
თუთუბო  
ხენომელესი  
ესკუდუსი წვრილყვავილა  
მაჯალვერი

**ხეები**  
აილანტი  
აკაცია – ზოგიერთი სახეობა  
კატალპა  
კელრეიტერია  
პაუვლოვნია  
რობინია

**ლიანები**

ბიგნონია  
კამპენსი  
ეკრემოკარპუსი

### სადედე მცენარის მომზადება

კალმების მოჭრის წინ სასურველია მოვამზადოთ თვით სადედე მცენარე, რათა მას განუვითარდეს მძლავრი ფესვთა სისტემა, რომელსაც უნარი შესწევს წარმოქმნას ადვილად გაღვიძებადი კვირტები.



ფესვებს მის ყელთან  
აჭრიან

დედა მცენარეს უკან  
აბრუნებენ გრუნტში

ინტენსიური ზრდით დედა  
მცენარე ისევ აღსდგება

ცალკეულ ფესვებზე დამატებითი კვირტების წარმოქმნის უნარი პრაქტიკულად ახასიათებს მცენარეთა უმრავლესობას, თუმცა ამის გაძლიერება ხელოვნურადაც არის შესაძლებელი. ვეგეტაციის სეზონის დაწყებამდე სადედე მცენარე ამოითხება და მას მოეჭრება ყველა მზარდი ფესვები. ფესვის ყელთან დანით მოაჭრიან აგრეთვე მსხვილი ფესვების ნაწილს, რითაც გამოხშირავენ ფესვთა სისტემას. შემდეგ მცენარეს ისევ ჩარგავენ. ასეთი მოჭრა (გასხვლა) წონასწორობას არღვევს ფესვთა სისტემასა და მიწისზედა ყლორტებს შორის, რაც საბოლოოდ იწვევს ახალი ფესვების გაძლიერებულ ზრდას, ვინაიდან მცენარე ცდილობს აღადგინოს ეს წონასწორობა. ამის შედეგად განვითარებულ ახალ მძლავრ ფესვებს შესწევთ დამატებითი კვირტების წარმოქმნის მაღალი უნარი.

განსაკუთრებით ენერგიულად ფესვები იზრდება სავეგეტაციო პერიოდის დასაწყისში, შემდეგ მათი ზრდის სიჩქარე ნელ-ნელა ეცემა და მოსვენების პერიოდის მოახლოვებასთან ერთად სულ ჩერდება. უფრო სავარაუდოა, რომ კვირტები გამოჩნდება ფესვის იმ მონაკვეთზე, რომლის ზრდა მოდიოდა გაზაფხულის პერიოდზე, ანუ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფესვის ამა თუ იმ მონაკვეთის ზრდის შეფარდებით სიჩქარესა და მათ უნარს შორის, წარმოქმნას დეროს კვირტები, არსებობს მჭიდრო კავშირი. მაშასადამე, თუ სარგავი მასალის უკმარისობას არ განიცდით, დაკალმებისათვის უმჯობესია გამოვიყენოთ ფესვის მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც გაზაფხულზე იზრდებოდა.

დაკალმებისათვის საჭირო მასალის მისაღებად სადედე მცენარე ამოითხება მიწიდან და მოეჭრება მას მიწისზედა ნაწილი. ფესვებს


ჩამოერეცხება მიწა ან უბრალოდ დაიბერტყება, რის შედეგად გამოჩნდება ახალგაზრდა ფესვები, რომლებიც გარგისია გამრავლებისათვის. ისინი მოიქრება ფესვის ყელთან (წაჭრა გარდიგარდმო კეთდება), ხოლო სადედე მცენარეს დაბრუნებენ თავის ადგილზე.

კალმის წვრილი ბოლო ჩამოიჭრება კუთხურად, მოეცლება ბოჭკოვანი გვერდითი ფესვებიც. ეს აადვილებს კალმის შემდგომ დარგვას.

სადედე მცენარიდან ფესვთა ნაწილის მოშორება მის ზრდაზე ისეთივე მოქმედებას ახდენს, რაც გასხვლა და ოწვევს ახალი ფესვების გაზრდას, რომელთა გამოყენება გამრავლებისათვის შეიძლება შემდეგ სეზონზე.

### ფესვის კალმების ზომები

თუ თითოეული ფესვიდან მიიღება თითო კალამი, მაშინ უკანასკნელის ზომას შეიძლება არც პქონდეს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ხოლო, თუ მუშაობა გვიხდება სწრაფად მზარდ ფესვებთან, რომლებისგანაც შეიძლება მივიღოთ ერთზე მეტი კალამი, მაშინ ძალზედ მნიშვნელოვანია მათი ოპტიმალური ზომების დადგენა. კალმებისთვის დასაშვები მინიმალური ზომა განისაზღვრება საწყისი მასალიდან მათი ყველაზე მეტი გამოსავლიანობის გათვალისწინებით. მხოლოდ აქ უნდა გვახსოვდეს ორი მომენტი. ჯერ-ერთი, კალამს უნდა პქონდეს საკვები ნივთიერებების საკმარისი მარაგი, რომელიც გამოიყენება კვირტების ჩასახვისა და შემდგომი განვითარებისათვის მწვანე ფოთლების წარმოქმნამდე, როდესაც ისინი უკვე თვითონ უზრუნველყოფენ ჩამოყალიბებულ მცენარეს ყველა საჭირო ნივთიერებებით. მეორეც, საკვები ნივთიერებების მარაგი საკმარისი უნდა იყოს თვით კალმის რეგენერაციის პროცესში ცხოველმოქმედების შესანარჩუნებლადაც.



მოსვენების შეა პერიოდში  
სადედე მცენარეებს თხრიან

გარეცხვის შემდეგ

ნორჩ ფესვებს აჭრიან

სადედე მცენარეებს  
ძველ ადგილას აბრუნებენ


მაშასადამე, კალმების ზომები განისაზღვრება აუცილებლობით, შენარჩუნებული იქნას მასში საკმარდ მაღალი დონის ქსოვილების ცხოველმოქმედება და რეგენერაციის უნარი. პირველი დამოკიდებულია იმ დროზე, რომელიც საჭიროა რეგენერაციისათვის, ამ პერიოდის ხანგრძლივობა, თავის მხრივ, განისაზღვრება ტემპერატურული პირობებით: შედარებით უფრო მაღალი ტემპერატურის დროს დერო იზრდება უფრო სწრაფად. დაკალმებული და ზამთარში ღია გრუნტში გადარგული ფესვი მაისამდე არ წარმოქმნის ყლორტებს. ხოლო თუ მას მოვათავსებთ გამრავლებისათვის განკუთვნილ სპეციალურ თბილ კამერაში, სადაც

ტემპერატურა არის 18-24°C, მაშინ რეგენერაცია შეიძლება დაიწყოს უკვე 4 კვირის შემდეგ. საკვები ნივთიერებების მარაგი კალმების ცხოველმოქმედების შესანარჩუნებლად ორივე შემთხვევაში ძალზედ განსხვავებული იქნება, ხოლო ყლორტის საწყისი ზრდის უზრუნველსაყოფად საჭირო საკვებ ნივთიერებათა რაოდენობა მუდმივი იქნება, გამრავლებისათვის საჭირო ტემპერატურული პირობებისაგან დამოუკიდებლად.

ვინაიდან ფესვთა სისტემა გაისხვდება (შეიქრება) დაკალმებამდე ერთი წლით ადრე, ახლად წარმოქმნილი ყველა ერთწლიანი ფესვების სისქე და სიგრძე დაახლოებით ერთნაირი იქნება. ღია გრუნტში გადასარგავი კალმების სიგრძე უნდა იყოს არა ნაკლები 10 სმ-სა, ვინაიდან მათ მოუწევთ მიწაში ყოფნა 16 კვირამდე. გაუთბობელ სათბურში ან ცივ კვალსათბურში ტემპერატურა ცოტა მაღალია და რეგენერაცია იწყება დაახლოებით 8 კვირის შემდეგ – ამ პირობებისათვის საკმარისია 5 სმ-ის კალმები. გათბობის ძრონე სათბურში ან დაკალმებისათვის გამოყენებულ კამერაში (ტემპერატურა 18-24°C) დრო გაზრდის დაწყებამდე კიდევ უფრო მცირდება და უახლოვდება 4 კვირას. ამ პირობებში საკმარისია გვქონდეს 2-3 სმ-ის სიგრძის კალმები.

### ფესვის კალმის წვერის ადგილმდებარეობის განსაზღვრა

ფესვის კალმებით გამრავლებისას ძალზედ მნიშვნელოვანია დავიცვათ მათი პოლარობა – სწორი ორიენტირება დარგვის დროს, რათა გავითვალისწინოთ, სად არის ზედა და ქვედა მხარე. ბევრი ვარაუდობს, რომ ფესვის კალმები უნდა დავრგოთ პორიზონტალურად მხოლოდ იმიტომ, რომ კალმების მოჭრის შემდეგ ვერ განისაზღვრება, სად აქვთ მათ ზედა და ქვედა მხარე, ფესვებზე ხომ არ არის არც ფოთლები და არც გვერდითი კვირტები. მაგრამ ფესვის კალმებს ისევე უნდა მოვექცეთ, როგორც ღეროს კალმებს, რომლებსაც არასდროს არ რგავენ პორიზონტალურად. ვერტიკალურად და პოლარობის დაცვით დარგული კალმები, ჩვეულებრივ ძალზედ ინტენსიურად ვითარდება, რა თქმა უნდა, თუ ისინი მოჭრილია ჯანსაღი მცენარიდან და დაკალმების პირობები დაცულია საჭირო დონეზე. პორიზონტალურად დარგული კალმები კი ვითარდება გაცილებით სუსტად.



ახალგაზრდა ფესვიდან აჭრიან იმ ადგილას, სადაც უველა თხელ ფესვებს ის მიმაგრებული იყო სადედესთან, მართი კუთხით ჭრიან

ფესვს კალმებად ირიბად ჭრიან ბასრი დანით

იმისათვის, რომ მოგვიანებით დარგვის დროს სწორად განვსაზღვროთ ფესვის წერი (ანუ სადედეს ფესვის ყელთან უახლოესი ბოლო), მცენარისაგან ფესვის განცალკევების ადგილზე კეთდება პირდაპირ გარდიგარდმო ჭრილი, ხოლო ფესვის მოშორებულ ბოლოს კი მოაცლიან ირიბი ჭრილით. თუ მუდმივად ამ წესს დავიცავთ, მაშინ შემდგომში, რაც არ უნდა მოუვიდეს კალმებს, თქვენ ყოველთვის გაგიადვილდებათ მათში ზედა და ქვედა მხარეების განსაზღვრა და მაშასადამე, მათი სწორად დარგვა.

### კალმების დასარგავად მომზადება

მას შემდეგ, რაც შესწავლილი იქნა საწყისი მასალის მომზადების ყოველგვარი ასპექტები და კალმები მოჭრილია, დადგა დრო განვიხილოთ მათი შემდგომი მომზადება, რომელიც მიმართულია დეროს კვირტების ჩასახვის დაჩარებისაკენ და ზრდის მხარდაჭერისაკენ იმ მომენტამდე, სანამ ჩამოყალიბება ახალი მცენარე. ვინაიდან ფესვის კალმების ზრდის რეგულატორები დღეს ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს, ამ ხერხით კვირტების წარმოქმნის სტიმულირება შეუძლებელია. სპეციალური პრეპარატები, რომლებიც გამოშვებულია დეროს კალმების უკეთესი დაფუძვიანებისათვის, მოცემულ შემთხვევაში ვერ გამოდგება, ვინაიდან ისინი პირიქით, დაამუხრუჭებენ (შეაფერხებენ) კვირტების წარმოქმნას.

მიწაში ან ნიადაგის ნარევში გადარგული კალმები ხშირად ხანგრძლივი დალბობის გამო სხეულდება მრავალი სოკოვანი დაავადებებით. ამიტომ კალმის გადარჩენა უმეტესწილად დამოკიდებულია შესაბამისი დამცავი დონისძიებების გატარებაზე. დაავადებებისაგან ფესვის კალმის დაცვის საუკეთესო ხერხია მისი ამოგლება ფუნგიციდის, მაგალითად, კაპტანის ფხვნილში.

კალმებს მოათავსებენ პოლიეთოლდენის პარკში და დაუმატებენ ცოტა ფუნგიციდის ფხვნილს (დაახლოებით 1 ჩაის კოვზი კაპტანი 2-3 სმ სიგრძის ყოველ 100 კალმზე). პარკს შეკრავენ (მასში რჩება ჰაწილი) და ენერგიულად შეანჯღრევენ. ახლა უკვე შეიძლება ფუნგიციდის თხელი ფენით დაფარული კალმების დარგვა.


ასეთი დამუშავების შემდეგ განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება კალმებში ზედა და ქვედა ნაწილების სწორი განსაზღვრა.

### დარგვა

კალმები დაირგვება სუბსტრატში, რომელიც მათ დააკავებს საჭირო მდგომარეობაში, დაიცავს გამოშრობისაგან, შეუნარჩუნებს ჰაერის ნორმალურ გაცვლას და როდესაც დაიწყება რეგენერაცია, უზრუნველყოფს საჭირო საკეები ნივთიერებებით. ყველა ეს პირობები სახეზეა ღია გრუნტში, განსაკუთრებით თუ ნიადაგი საკმაოდ მსუბუქია. იგივე ეხება მასალის გამოყვანას ცივ კვალსათბურებში, მხოლოდ ნიადაგს უმატებენ ტორფსა და მსხვილმარცვლა ქვიშას. და მაინც, ძალიან მსხვილი ბალახოვანი მრავალწლოვანების გამონაკლისის გარდა, კალმები უფრო მოსახერხებელია დავრგოთ ქოთხებში. როგორც კი მცენარეები დაიწყებენ ზრდას, მათ გადარგავენ ქოთხებიდან.

კალმების გადასარგავად უნდა შეარჩიოთ საჭირო ზომის ქოთანი. კალმებს მორის მანძილი უნდა შეადგენდეს 2,5-4,0 სმ-ს. ასე მაგალითად, 9

სმ დიამეტრის მქონე ქოთანში მოთავსდება დაახლოებით 7 კალამი. ქოთანს ავსებენ ტორფიანი ნიადაგის ნარევით, უმატებენ თიხნარს, რომელიც ბუფერის როლს ასრულებს და თავიდან აგვაცილებს სუბსტრატის გამოშრობას, აგრეთვე შეიცავს საკვები ნივთიერებების მცირე მარაგს. სუბსტრატს მოასწორებენ ქოთნის ნაპირების დონეზე და შემდეგ ოდნავ მოტკეპნიან, რათა იგი სიმაღლეში 1 სმ-ით დაიწიოს.



ფესვის კალამს ათავსებენ  
ფუნგიცილიდიან ფხვნილში

ტომარას ურევენ სანამ  
კალმები მთლიანად არ  
დაიფარება ფხვნილით

სუბსტრატში კალმებს  
პალოს დახმარებით რგავენ  
დაიფარება ფხვნილით

პატარა ხის პალოს გამოყენებით სუბსტრატში აქეთებენ ღრმულებს და ჩარგავენ მათში კალმებს. კალმის წვერი უნდა იყოს სუბსტრატის ზედაპირის დონეზე. კალმის გარშემო ნიადაგს მოტკეპნიან. ქოთნის ფართობზე კალმებს თანაბრად განათავსებენ.


დარგულ კალმებს ზემოდან მოაყრიან მსხვილმარცვლა ქვიშას, თანაც მოასწორებენ მას ქოთნის ნაპირების დონეზე. ქვიშის მასა ოდნავ შეამჭიდროვებს მის ქვემოთ მოთავსებულ სუბსტრატს, კალმების წვერებს ცოტათი „ჩაძირავენ“. ამ შემთხვევაში კვირტისათვის, რომელიც ვითარდება კალმის ზედა ბოლოზე, იქმნება ჰაერის თითქმის იდეალური რეჟიმი. მორწყვას არ აწარმოებენ. ქოთანს მიაკრავენ შესაბამის ეტიკეტს და დადგავენ შესაფერის პირობებში (ცივი კვალსათბური, სპეციალური კამერა და ა.შ.). კამერის ზომები დამოკიდებულია კალმების ზომებზე.

ზოგიერთი მცენარეები ცუდად იტანენ გადარგვას. მათთვის სარგავი მასალა 1-2 კალამი, უკეთესია მოვათავსოთ მცირე ზომის ქოთნებში. მომაგრებული მცენარეების გადარგვის დროს უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ნაკლებად დავაზიანოთ მათი ფესვები.

## მომდევნო მოვლა

სუბსტრატში ჰაერის ნორმალური რეჟიმის დასაცავად (შესანარჩუნებლად) მორწყვის დროს ხარჯავენ წყლის მინიმალურ რაოდენობას. ამ პირობებში ჩქარდება ღეროს კვირტის განვითარება და მცირდება სიდამპლის დაავადებებით დასხეულების რისკი. საქმაოდ დატენიანებულ სუბსტრატში დარგვისას და კამერაში რეკომენდებული ტენიანობის შენარჩუნებისას შემდგომი მორწყვა პრაქტიკულად არ არის საჭირო.

ხშირად ისეც ხდება, რომ განვითარებული კვირტი ღეროს ქმნის მწვანე ფოთლებით, ხოლო ფესვთა სისტემა ჯერ კიდევ არ არის. იგი ჩნდება მოგვიანებით, ახალგაზრდა ღეროს ფუძეში. მაშინაც კი, როდესაც ფესვები იზრდება თვით კალამზე, ისინი არ ჩნდება ღეროსა და მწვანე ფოთლების წარმოქმნამდე. ფესვების გაჩენამდე, ლპობის თავიდან აცილების მიზნით, მორწყვას არ აწარმოებენ.



ქოთანში ნარგავებს  
მსხვილი ქვიშით ფარავენ

ქვიშას გადაასწორებენ  
და ეტიკეტს უმოქმდენ

აღმოცენებამდე არ რწყავენ.  
გამოკვებას თხევადი სასუ-  
ქბით ატარებენ

როგორც კი იწყება ღეროს ზრდა, ქოთანი გადააქვთ კარგად განათებულ ადგილზე. სხვა ქოთანში გადარგის წინ სითბოში ( $21^{\circ}\text{C}$ ) გამოზრდილ ახალგაზრდა მცენარეებს გამოაწროობენ. შესაბამისი ინსტრუქციების გამოყენებით აწარმოებენ თხევადი სასუქებით დამატებით გამოკვებას.

## სახეშეცვლილი ღეროები

### ფესურები


ფესურა ეს არის პორიზონტალურად მზარდი მიწისქვეშა მრავალწლიანი ყლორტი მკვდარი ფოთლების ნარჩენებით, კვირტებით და დამატებითი ფესვებით. ჩვეულებრივ, ფესურაში გროვდება საკვებ პლასტიკურ ნივთიერებათა მარაგი, თუმცა მისი როგორც მომმარაგებელი ორგანოს სპეციალიზაციის ხარისხი სხვადასხვა სახეებში განსხვავებულია. გარდა ამისა, ფესურა გამოიყენება მცენარის ვეგეტაციური გამრავლებისათვის. ხელოვნური გამრავლების დროს მას ყვავილობის შემდეგ ყოფენ. ამ დროს ფესურა მზადყოფნაშია ახალი ფესვების შემდგომი ზრდისა და ჩამოყალიბებისათვის.

ფესურები შეიძლება იზრდებოდეს ორი გზით. ბალის ზამბასს წვერის კვირტი უვითარდება ყვავილედის ყუნწში, ხოლო პორიზონტალურ სიბრტყეში ზრდა ხორციელდება გეერდითი კვირტის ხარჯზე. შემდეგ სეზონზე ამ წარმოქმნილ გვერდით კვირტს ჩამოუყალიბდება საკუთარი წვერის კვირტი, რომელიც ქმნის ყვავილედის ყუნწს, ხოლო მცენარე აგრძელებს პორიზონტალურად ზრდას, ახალი გეერდითი კვირტების ჩასახვით. სხვა შემთხვევაში, მაგალითად, როგორც პიტნასა ან ჭანგას ახასიათებს, ფესურის


ზრდა ხორციელდება წვერისა და ზოგჯერ გვერდითი იმ კვირტების ხანგრძლივი ფუნქციონირების ხარჯზე, რომლებიც იძლევიან ყვავილების უნწის ყლორტებს.

სხვადასხვა მცენარეების ფესურები ერთმანეთისაგან გარეგნულადაც განსხვავდებიან: მაგალითად, სატაცურის ფესურები იძლევა უმნიშვნელო ყოველწლიურ ნამატს (ნაზარდს), ხოლო პიტნისა და ჭანგას ფესურები ხასიათდებიან სწრაფი და ხანგრძლივი ზრდით, რომლის წყალობითაც შედარებით მოკლე დროში ყლორტები ვრცელდება დიდ ფართობზე.


ბალის სხვა მცენარეებთან შედარებით, ფესურებით ყველაზე უკეთ მრავლდება ბალის ზამბახი. ფესურების დაყოფისა და დარგვისათვის ყველაზე კარგი დროა, მაშინვე ყვავილობის დასრულებისთანავე, როდესაც კვდება ძველი ფესვთა სისტემა და ფორმირებას იწყებს ახალგაზრდა. მსხვილ ფესურას ამოვთხრით მიწიდან ფიტლით და გულმოდგინედ დავდერტყავთ. ფესურას მოვაჭრით ძველ ნაწილებს, უტოვებთ მხოლოდ ამ წლის ახალ ნაზარდს. ვაჭრით 5-7 სმ სიგრძის ფესვებს; ფოთლებსაც ვამოკლებთ, რათა დაფესვიანებამდე შევამციროთ წყლის აორთქლება.



ფესურების გაყოფა იწყება  
დაყვავილების შემდეგ



მცენარეს თხრიან მიწიდან ძველ ფესურებს აცილებენ  
და მიწას აცილებენ



და ახლებს ტოვებენ

ზოგადი წესი: ფესურას ნაწილები დაირგვება იმავე სიღრმეზე, რა სიღრმეზეც ისინი ადრე იზრდებოდა; ზამბახისათვის პრაქტიკულად ეს არის ნიადაგის ზედაპირი. ფესვები ფესურაზე ჩვეულებრივ განლაგებულია სიგრძეზე ორ რიგად ქვედა მხრიდან. ამიტომ, დარგვის დროს უნდა მოვამზადოთ ერთმანეთის გვერდით ორი პატარა კვალი. წვერში დარგულ ფესურებს მივაყრით მიწას, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება დავტკეპნოთ და მოვრწყათ.


**მცენარეები, რომლებიც ქმნიან ფესურებს**  
ბეგონია სამეფო  
ფრთათეთრა  
მინდვრის ნარი  
ზამბახი  
კანა  
სვინტო  
შროშანა მაისის

## პიტნა

გვიმრა – ზოგიერთი ჯიში  
იორდასალამი  
მხოხავი ჭანგა  
რევანდი  
სანსევიერა  
ეკალდიჭი  
სატაცური  
სტრელიცია სამეფო

## მსხვილი მრავალწლიანი ფესურები


ცოტა რთულია ძლიერ დატოტვილი მსხვილი ფესურების მქონე ისეთი მცენარეების გამრავლება, როგორებიც აქვთ იორდასალამსა და სატაცურს. ისინი ქმნიან იმას, რასაც ზოგჯერ უწოდებენ ბალახოვან მრავალწლიან ფესვის ყლორტს. იმისათვის, რომ გავყოთ ასეთი ძლიერი ფესურა, უნდა გაკეთდეს დიდი ჭრილები; გამრავლებისათვის გამოყენებულ თითოეულ ნაჭერს უნდა ჰქონდეს კარგად განვითარებული თუნდაც ერთი ყლორტი.



1. ზამთრის ბოლოს ფესვებს ყოფენ

2. გადაჭრილ ზედაპირს ფენგიციდით ამუშავებენ

3. ფესვებს აშრობენ და 2 დღის შემდეგ გადარგავენ



4. ფოთლებს 5-7 სმ-ზე აჭრიან

5. ფესვებს ბაძოზე ასწორებენ


6. აყრიან მიწას და ტაქტიან

გვიან შემოდგომაზე მანამდე, სანამ კვირტების ზომები გაიზრდება და დაიწყებს ზრდას ახალი ფესვთა სისტემა, ფესურას დაყოფენ რამოდენიმე შედარებით მსხვილ ნაწილებად. თუ საჭიროა ბიომასის სწრაფი ზრდა, უმჯობესია გამოვიყენოთ ფესურას მცირე ნაჭრები, რომლებიც დაირგვება

ქოთნებში დასაფესვიანებელი ნიადაგის ნარევით და გაიზრდება ხელსაყრელ პირობებში. ჩანაჭრების ზედაპირი გულმოდგინედ დამუშავდება ფუნგიციდების ფხვნილით. სარგავ მასალას მოვათავსებთ მშრალ და თბილ ( $21^{\circ}\text{C}$ ) შენობაში, რათა ჩამონაჭრები შეშრეს და მოშუშდეს. ამის შემდეგ კიწყებთ დარგას.

## გორგალ-ბოლქვებით გამრავლება

გორგალ-ბოლქვი წარმოადგენს მიწისქვეშა გასქელებულ ღეროს, რომელიც გამოიყენება საკვებ ნივთიერებათა მომარაგებისათვის. გარეგნულად ის ძალიან წააგავს ბოლქვს, ამიტომ ისინი ხშირად ერთმანეთში ერევათ, მაგრამ აგებულებით ძალზედ განსხვავდებიან. გორგლ-ბოლქვი ბოლქვზე უფრო მოკლეა და განიერი. მასზე განლაგებულია წვრილ მშრალ ფირფიტებად ქცეული ფოთლები, რომლებიც ფარავს მას და იცავს დაზიანებისა და გამოშრობისაგან. თითოეული ფოთლის უბეში არის თითო კვირტი. ღეროს წვერი ვითარდება ყვავილედის ყუნწად. ფესვები იზრდება გორგლ-ბოლქის ფუძიდან, ხშირად აქვს შეზნექილი ფორმა. ზოგიერთი გორგალ-ბოლქვიანი მცენარეების ზედა ნაწილში ყალიბდება რამდენიმე ყვავილის კვირტი.



ყოველწლიურად თითოეული ღეროს ფუძეში წარმოიქმნება ახალი შვილობილი გორგალ-ბოლქვი. მაშასადამე, გამრავლების კოეფიციენტი პირდაპირ დამოკიდებულებაშია ღეროების რიცხვთან. ბუნებრივ პირობებში მცენარეები, რომლებიც ქმნიან გორგალ-ბოლქვებს, სწორედ ასე მრავლდებიან, მაგრამ თუ საჭიროა გავზარდოთ ახლად წარმოქმნილი ორგანოების რიცხვი, მიმართავენ სპეციალურ მეთოდებს. გორგალ-ბოლქების გამრავლების დროს ძალზედ მნიშვნელოვანია თვალყური ვადევნოთ, რათა საწყისი მასალა არ იყოს დასხნიანებული.


უშუალოდ დაგრვის წინ მსხივ, ჯანსაღ გორგალ-ბოლქვს ჭრიან რამდენიმე ნაწილად, რომელთაც თითო კვირტი მაინც აქვთ. ჩაჭრის ზედაპირს ამუშავებენ ფუნგიციდების ფხვნილით. გორგალ-ბოლქვების ნაწილებს აწყობენ ბადისებურ ლანგარზე და აშრობენ თბილ მშრალ შენობაში (კარგად ვენტილირებად კარადაში) 48 საათის განმავლობაში. ეს აჩქარებს ჩანაჭერებზე ჭრილობების მოშუშებას. შემდეგ თითოეულ მათგანს გადარგავენ ცალკე ქოთანში, მიაკრავენ ეტიკეტებს.

თუ გორგალ-ბოლქვი გასაყიდვად ძალზედ პატარაა, მაშინ გვერდითი კვირტების წარმოქმნის სტიმულირება შეიძლება ძირითადი ღეროს ჩამოჭრით.


ჩამონაჭერს ამჟავებენ ფუნგიციდით და გორგალ-ბოლქვს დაუყოვნებლივ ჩარგავენ. საკეგეტაციო პერიოდის განმავლობაში თითოეული გორგალ-ბოლქვი ქმნის რამდენიმე ყლორტს, რომლებიც ბოლოს და ბოლოს გადაიქცევა (გარდაიქმნება) ახალ მცენარედ.

### პატარა გორგალ-ბოლქვები

ზოგჯერ ახალსა და დაშლილ ძველ გორგალ-ბოლქვს შორის შეიძლება ჩამოყალიბდეს მეორადი ყლორტები - წვრილი შვილობილი გორგალ-ბოლქვუკები. მათი რიცხვი დამოკიდებულია მცენარის სახეზე - მაგალითად, ხმალაზე მათი რაოდენობა აღწევს 50 ცალს.



შვილების წარმოქმნის უნარი დამოკიდებულია სადედე გორგალ-ბოლქვის დარგვის სიღრმეზე: რაც უფრო ღრმად ზის იგი მიწაში, მით უფრო მეტი გორგალ-ბოლქვუკები იქმნება.



შემოდგომაზე ბოლქვს ნიადაგიდან იღებენ, მთავარ ღერძს ათეხავენ ან აჭრიან

ჭრილობის ზედაპირს ფუნგიციდით ამჟავებენ

დია გრუნტში მაშინათვე რგავენ, უკეთებენ ეტიკეტს

შემოდგომაზე ამოთხრის დროს გორგალ-ბოლქვებს აგროვებენ და ინახავენ მშრალ, კარგად ვენტილირებად და ყინვებისაგან დაცულ შენობაში, სადაც ტემპერატურა არ აღემატება  $5^{\circ}\text{C}$ -ს. მომდევნო სავეგეტაციო სეზონში დარგვის წინ შემშრალი ბოლქვები სასურველია ერთი დღე-დამით ჩალბეს თბილ წყალში. შემდეგ მათ საკმაოდ მჭიდროდ დარგავენ დიდ გრუნტში. ჩვეულებრივ უკვე ორი წლის შემდეგ ახალგაზრდა გორგალ-ბოლქვუკები იზრდება ზრდასრული გორგალ-ბოლქვის ზომამდე, რომელსაც უნარი შესწევს წარმოქმნას ყვავილების ყლორტები.

### **მცენარეები, რომლებიც ქმნიან გორგალ-ბოლქს**

აციდანტერა

ხმალა

იქსიოლირიონი

იქსია

კროკოსმია

მონბრეცია

ტრიტონია


ზაფრანა

### **ბოლქვები**

ბოლქვი ეს არის მცენარის სახეშეცვლილი, ჩვეულებრივი მიწისქვეშა ყლორტი მოკლე ბრტყელი დეროთი (ბოლქვის ფუძე) და ხორციანი უფერული ფოთლებით (ქერქლი, კილი), რომლებიც გამოიყენება საკვები ნივთიერებების მომარაგებისათვის. არსებობს ბოლქვების ორი ტიპი: კილიანი და კრამიტისებური, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ქერქლის (კილის) წარმოქმნის წესით (ხერხით) მიხედვით.

### **კილიანი ბოლქვები**


კილიან ბოლქვებს, როგორიცაა მაგალითად, ნარგიზისა და ტიტასი, აქვთ წყლიანი გასქელებული ქერქლები, რომლებიც წარმოადგენს ფოთლების აპკისებურ ხალთას, უკანასკნელში ერთმანეთს ფარავენ და აყალიბებენ ზრდის წერტილის გარშემო შეკრულ კონცენტრირებულ წრედებს. თითოეულ ქერქლისმაგვარ ფოთლს წარმოექმნება უბის კვირტი. გარე ქერქლები მშრალია, რის წყალობითაც ისინი იცავს ბოლქს დაზიანებისა და გამოშრობისაგან. კილიან ბოლქვებს ფესვები ეზრდებათ დასაწყისშივე, პირდაპირ დარგვის შემდეგ; ისინი ჩნდება ბოლქვის ფუძეში, ქვედა ქერქლის ძირში.



კილიანი ბოლქვები

### კრამიტისებური ბოლქვები

კრამიტისებურ ბოლქვებს, როგორებიცაა, მაგალითად, ქრუნისა და შროშანის, აქვთ წყლიანი, მაგრამ ხშირად ძალზედ ვიწრო ქერქლები, რომლებიც ვერ ფარავენ ერთმანეთს და ვერ ქმნიან საერთო საფარს, რის გამოც ასეთი ბოლქვები უფრო სწრაფად შრება, ვიდრე კილიანები. ფესვები წარმოიქმნება შუა ზაფხულში ან უფრო გვიან და ინახება შემდეგ წლამდე.




კრამიტისებრი ბოლქვები


### ბოლქვებით გამრავლება

ჩვეულებრივ ბოლქვიანნი მრავლდებიან დაყოფით, მცენარეთა მრავალი სახეებისათვის ეს არის ერთადერთი ხერხი. მცენარის ვეგეტაციის ერთწლიან


ციკლში განვითარებადი წვერის კვირტი ქმნის ახალ ბოლქვს. თუ ზრდას იწყებს უბის კვირტი, ის აგრეთვე გადაიზრდება ბოლქვში, რომელიც ერთო-ორი წლის შემდეგ გამოეყოფა დედა მცენარეს და საბოლოო ჯამში ასევე იძლევა ყვავილედის ყუნწს. ზოგიერთი მცენარეების, განსაკუთრებით ტიტების საწყისი ბოლქვი ყვავილობის შემდეგ იშლება და ყვავილობის უნარის მქონე ბოლქვთან ერთად, თავის შემდეგ კიდევ ტოვებს წვრილ ბოლქვუკებსაც. შემოდგომაზე მათ გადარგავენ, მოათავსებენ სიღრმეზე, რომელიც ორჯერ სჭარბობს მათ ზომებს.



ზოგიერთ შროშანს (გრძელყვავილასა და წითელს) მიწის ზედაპირიდან ოდნავ ქვემოთ, ძირითადი ბოლქვის ქვემოთ ან ზემოთ წარმოექმნებათ (უჩნდებათ) შვილები – წვრილი ბოლქვუკები. ზაფხულის ბოლოს მათ ფრთხილად აცლიან და გადარგავენ ისევე, როგორც თვით ბოლქვს, დაახლოებით მათ ზომებზე ორჯერ მეტ სიღრმეზე.




სამწუხაროდ, ყველა შროშანს არ უყალიბდებათ შვილების დიდი რაოდენობა, ისეთ საინტერესო სახეებს, როგორიცაა ოქროსფერი, ლამაზი და ვეფხვისებური შროშანი, ცოტა შვილები უჩნდებათ.



ხშირად ფოთლების უბეში, ღეროზე ფორმირდება წვრილი ბოლქვები. ეს პაროვანი ბოლქვები შეიძლება შეგვხვდეს შროშანის ზოგიერთ სახეებში, მაგალითად, ვეფხვისებრში.

როდესაც მცენარე დაიყვავილებს, ამ დროისათვის მომწიფებულ ბოლქვებს აგროვებენ და რგავენ 2-3 სმ-ის ინტერვალით ქოთნებში ნერგების ნიადაგის ნარევში, ზემოდან მოაყრიან მსხვილმარცვლა ქვიშას. ქოთნებს მოათავსებენ ცივ კვალსათბურში. შემდეგი წლის შემოდგომაზე ბოლქვუაებს გადარგავენ დიდ გრუნტში.

### დაყოფა



ამოღებულ და გარეცხილ  
მცენარეს აჭრიან ყლორტებს  
წყლის აორთქლების შესა-  
მცირებლად

ბუჩქის გვერდებიდან  
აცლიან ფესვიან  
ნაწილებს

ბუჩქის ძნელად დაყოფის  
შემთვევაში მას დანით  
აცალკავებენ


ბალახოვანი მრავალწლოვნების უმრავლესობის გამრავლების ერთეული გავრცელებული მეთოდთაგანია ბუჩქების დაყოფა. ამ მეთოდის მეშვეობით შეიძლება აგრეთვე გაგახალგაზრდაოთ ძირფასი ვეზემპლარები და ხელი შეუწყოთ მათ ინტენსიურ ზრდას. დაყოფას წარმატებით იყენებენ ისეთი ბუჩქნარების გამრავლების დროს, როგორიცაა, მაგალითად, თუთუბო, რომელიც იძლევა ფესვების ნაყარს. ისეთი ნახევრადგამერქნებული მრავალწლიანების გამრავლების დროს, როგორიცაა ახალზელანდიური სელი, რომელიც წარმოქმნის მრავალნაყარიან ყლორტებს, აგრეთვე სახეშეცვლილი დეროების მქონე მცენარეების უმეტესობის გამრავლების დროს, მაგალითად ბალის ზამბახი.

### ბალახოვანი მცენარეები ფუნჯისებრი ფესვებით

ფესვების დაყოფით გამრავლების მეთოდი გამოიყენება ძირითადად ბალახოვანი მრავალწლოვანი მცენარეებისათვის, როგორიცაა ქრიზანთემა, რომელსაც აქვს დატოტვილი ფუნჯისებრი ფესვთა სისტემა და არც ისე მკვრივი ბუჩქი. დეროები ვარჯის ცენტრალურ ნაწილში 2-3 წლის შემდეგ ჩვეულებრივ გამერქნებულია, ამიტომ მათ აშორებენ. დარჩენილ ბუჩქს

დაყოფენ საჭირო სიდიდის ნაწილებად, რომლებიც გამოიყენება გადასარგავად და ახალი მცენარეების გამოსაყვანად.

როგორც წესი, ყველაზე ხელსაყრელი დრო ასეთი მცენარეების დაყოფისათვის მოდის მათი ყვავილობის ბოლოს, ვინაიდან სწორედ მაშინ იწყება ახალი ვაგეტაციური ყლორტების წარმოქმნა და ვითარდება ახალი ფესვთა სისტემა. მცენარეებისათვის, რომლებიც გვიან ყვავილობენ, ეს დრო არის შემდეგი გაზაფხული.



დაყოფილ მცენარეებს მაშინვე რგავენ და ნიადაგს ტკეპნიან  
დარგულ მცენარეს უხვად რწყავენ  
აცლიან სარეველებს და ეტიპეტით ნიშნავენ


მცენარეს ამოთხრიან და გულმოდგინედ ჩამოფერთხავენ მისი ფესვებიდან მიწას; მიწის ნარჩენებს ჩამორეცხავენ. მცენარის დაყოფა შეიძლება ასეთი მომზადების გარეშეც, მაგრამ უფრო მოსახერხებელია სუფთა მცენარესთან მუშაობა, მითუმეტეს, როდესაც მიწა სველია. მაღალი ყლორტები მოიჭრება, რათა აორთქლების დროს შემცირდეს წყლის დანაკარგი, განსაკუთრებით თუ დაყოფას ზაფხულში ვაწარმოებთ. ბუჩქის პერიფერიული ნაწილიდან, სადაც უპირატესად იქმნება ახალგაზრდა ყლორტები, მოტეხავენ ნაჭერს, რომელზეც არის ერთი კარგი კვირტი მაინც. გამერქნებული ყლორტები ცენტრალური ნაწილიდან არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს და ამიტომ ისინი გადაიყრება. თუ ყლორტებიანი ფესვის ნაჭერი ძნელად მოსაცლელია, იგი შეიძლება დანით მოიჭრას. ბუჩქის დაყოფილი ნაწილები რაც შეიძლება სწრაფად დაირგვება იმავე სიღრმეზე, როგორზეც ისინი ადრე იზრდებოდნენ. დარგვის შემდეგ მცენარეს მორწყავენ, მაგრამ უმჯობესია მცენარე დავრგათ წინასწარ მორწყულ ბუდნაში.

### ბუჩქისმაგვარი ბალახოვანი მცენარეები წყლიანი ყლორტებით

ბევრი ბალახოვანი მცენარეები, ისეთი როგორებიცაა მაგალითად, გოსტა, ქმნიან კომპაქტურ ბუჩქებს წყლიანი ყლორტების დიდი რაოდენობისაგან, რომლებიც არც თუ ისე ადვილი დასაყოფად.

ასეთი მცენარეების გამრავლება უმჯობესია დაგიწყოთ მათი მოსვენების პერიოდის ბოლოს, როდესაც კვირტებიდან ყლორტები იწყებს

გაზრდას, რაც აადვილებს უფრო დიდი სიცოცხლის ძალის მქონე ბუჩქის ნაწილის განსაზღვრას; სადედე მცენარეს ამოთხრიან და ჩამოფერთხავენ მის ფესვებიდან მიწას, შემდეგ მათ წყლით გარეცხავენ. ბუჩქს დანით ჭრიან რამდენიმე ნაწილად. მათი ზომები ნებისმიერია, თუმცა თითოეულ მათგანში უნდა იყოს კარგად განვითარებული ერთი ყლორტი მაინც. მოსვენებული კვირტები ამ დროს მხედველობაში არ მიიღება, ვინაიდან მათი შემდგომი განვითარება ყოველთვის დამაკმაყოფილებელი არ არის. ჩამონაჭერის ზედაპირი დამუშავდება ფხვნილისებური ფუნგიციდით. მომზადებულ დასარგავ მასალას არ უნდა მივცეთ გამოშრობის საშუალება. ის რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადავრგოთ გრუნტში ან ქოთანში და ამასთან არ დაგვავიწყდეს ეტიკეტების მიკვრა.



მოსვენების ბოლო პერიოდში მცენარეებს თხრიან

ბუჩქს წყლით რეცხავენ  
და ნაწილებად ყოფენ

ჭრილობებს ამუშავებენ  
ფუნგიციდის ფხვნილით

### ალპური მცენარეები, რომლებიც ბუნებრივ პირობებში იყოფიან

არსებობს რიგი ალპური (მთის) მცენარეებისა, როგორიცაა, მაგალითად მაჩიტა, რომელიც ძალზედ მოსახერხებელია გამრავლდეს ბუჩქის დაყოფით, ვინაიდან ამ ხერხით ისინი ყოველწლიურად მრავლდებიან ბუნებრივ პირობებში და ქმნიან ახალ კერებს.

ყვავილობის დამთავრების შემდეგ ან გაზაფხულზე, თუ ყვავილობა ისევე, როგორც ნაღველას უწევს შემოღვევაზე, მცენარეს ამოთხრიან და დაყოფენ ნაწილებად. შემდეგ დაუყოვნებლივ დარგავენ მუდმივ ადგილზე და მორწყავენ.

ეს ვეგეტაციური გამრავლების ძალზედ მარტივი, მაგრამ განსაკუთრებით ეფექტური ხერხია. თუ დაყოფა მცენარის ინტენსიურ გამოყვანასთან ერთად ხშირად ტარდებოდა, მაშინ შედარებით მცირე დროის მონაკვეთში შეიძლება მივიღოთ სარგავი მასალის ძალზედ დიდი რაოდენობა. მაგრამ არ დაგავიწყდეთ: თუ მცენარეები დიდხანს რჩება ერთ ადგილზე, მათი გამრავლების კოეფიციენტი მაღალი არ არის.


## ნახევრადგამერქნებული ბალახოვანი მცენარეები

სწორადმდგომი ლანცეტისებური ფოთლების მქონე ზოგიერთ მრავალწლოვანებს, მაგალითად, ახალზელანდიურ სელს, ბუჩქის გაბარდვის დროს წარმოექმნებათ თავისებური წილვნები, რომლებიც სწრაფად ჩამოაყალიბებენ ახალი ყლორტების დიდ რაოდენობას და თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი ფესვთა სისტემა.

ასეთი მცენარეების გამრავლება უმჯობესია გაზაფხულზე, თუმცა პრინციპში ამისათვის ნებისმიერი დრო გამოდგება. მცენარეს ამოთხრიან, ჩამოფერთხავენ მის ფესვებიდან მიწას. სუსტად განვითარებულ წილვნებს მოაშორებენ. ბუჩქს, თუ ის ცენტრში ძალზედ გადაიბარდა და გამერქნიანდა, დაჭრიან ნაწილებად ბარით ან ცულით. იმისათვის, რომ ფესვები არ გამოშრეს, დაყოფილი ნაწილები მაშინვე უნდა დაირგას.

### მერქნიანი ბუჩქნარების გამრავლება

ზოგიერთი მერქნიანი ბუჩქნარები, მაგალითად, კვრინჩხის ქმნის ამონაყარს, რომელიც დროთა მანძილზე დამოუკიდებელ მცენარედ იქცევა. მოსვენების პერიოდში მცენარეს ამოთხრიან და ჩამორცხავენ მიწას. ბუჩქებს დაყოფენ საჭირო ზომების რამდენიმე ნაწილად. როგორც წესი, ცენტრალურ გამერქნებულ ყლორტებზე ცოტა ფესვებია შენარჩუნებული, ამიტომ ისინი არავითად ფასეულობას არ წარმოადგენენ. გამრავლებისათვის უმჯობესია ავილოთ ახალგაზრდა ძლიერი ყლორტები, რომლებიც განლაგებულია ბუჩქის გარეთა ნაწილში.



მოსვენების პერიოდში დედა ფესვის და ტოტების მცენარეს აცლიან 1 წლის ბოლოებს აცლიან ამონაყარს

მცენარეს მაშინვე რგავენ და უხვად რწყვევნ, უკეთებენ ეტიკეტს


ვინაიდან კვირტები იწყებენ ზრდას გაზაფხულზე, როდესაც მცენარეს ჯერ კიდევ საკმარისად არა აქვს განვითარებული ფესვთა სისტემა, ყველა ტოტი დარგვის წინ მოკლედ შეიქრება (გაისხვლება). დაყოფის შემდეგ მცენარე მაშინვე დაირგვება.

ანალოგიურად ამოთხრიან და დარგავენ სადედე მცენარისაგან უკვე განცალკევებულ ამონაყარსაც.

თუ მცენარე დამყნობილია, როგორც მაგალითად, იაპონური გრძელნაყოფა ხენომელესი (კომში), მაშინ ამდაგვარი დაყოფის დროს გამრავლდება საძირე და არა კულტურული ჯიში.

### დაკალმება ირლანდიურად

ახალბელგიური ასტერის მაგვარი მცენარეები, რომელთაც შედარებით მეჩხერი ბუჩქი აქვთ შეიძლება გამრავლდეს ცალკეული ყლორტების მეშვეობით, რომლებიც წარმოიქმნება ნაპირებში და აქვთ დამატებითი ფესვები. ამ ერთლეროიან ნაყარებს ეწოდება ირლანდიური კალმები. მათი დარგვა შეიძლება მაშინვე, როგორც კი გამოყოფთ საღებელი მცენარისაგან.



ირლანდიური წესით დაყოფილი ნერგები

**ბუჩქის მსგავსი ბალახოვანი მცენარეები წყლიანი ყლორტებით  
ასტერი**  
გოსტა

ალპური მცენარეები, რომლებიც იყოფა ბუნებრივ პირობებში  
მაჟარა  
მაჩიტა  
ობრიეტა  
შემოდგომის ნაღველა  
ფურისულა – ევროპული სახეები

ნახევრადგამერქნებული ბალახოვანი მცენარეები  
კორტადერია  
ახალზელანდიური სელი  
იუპა

**მერქნიანი ბუჩქნარეები**  
არონია (ნიუკა)  
იასამანი  
კვრინჩხი

## ამონაყარებით და ულვაშებით გამრავლება

### ამონაყარები

ამონაყარი – ეს არის მიწისხედა ან მიწისქვეშა გვერდითი ყლორტი, რომელიც წარმოიქმნება კვირტისაგან ფესვის ყელის არეში.

მცენარეთა უმრავლესობაში ჩამოყალიბებული ნაყარები, როგორც, მაგალითად კლდისვაშლასი, ხელა ფესვიანდება.

გამრავლების დასაჩქარებლად ნაყარს ჩვეულებრივ გაზაფხულზე გამოყოფენ სადედე მცენარისაგან და დარგავენ ან ღია გრუნტში, ან ქოთნებში. დასარგავად გამოიყენება ისეთივე ნიადაგის ნარევი, როგორიც დაკალმებისათვის, რომელსაც უმატებენ ქვიშას – სუბსტრატს უნდა ჰქონდეს კარგი დრენაჟი და ხელს უწყობდეს ფესვთა სისტემის სწრაფ ზრდას.

იმ შემთხვევაში, როდესაც ნაყარები სუსტად ვითარდება, მცენარეს მოაცლიან წვერებს. ეს ოპერაცია, ისევე როგორც წვერის კვირტის მოშორება, ნაყარების განვითარების სტიმულს იძლევა.

თუმცა, ტერმინი „ნაყარი“ ჩვეულებრივად გამოიყენება იმ მცენარის აღსანიშნავად, რომელიც ზრდის პროცესში გამოეყო დედა ბუჩქს, მაგრამ მას ხშირად იყენებენ აგრეთვე ხელა მზარდი გვერდითი ყლორტების აღსანიშნავადაც, რომლებიც უპირატესად წარმოიქმნება ერთლებინიან მცენარეებში, როგორიცაა იუკა. დროთა მანძილზე ეს ყლორტები იმდენად ვითარდება, რომ უკვე შეიძლება მათი გამოყოფა დედა მცენარისაგან და ცალკე გადარგვა.

ნაყოფების მომწიფების დროს ანანასს წარმოიქმნება ნაყარები, რომლებიც შეიძლება გასამრავლებლად გამოიყიდოთ. ღეროზე განლაგების მიხედვით მათ ეწოდება ფესვის ნაყრები, მოზვერა ყლორტები (ბაყილო) ან გამონაზარდები (მორჩი). წავაჭრათ ის ნაყრები, რომლებიც განლაგებულია რაც შეიძლება ახლოს ნაყოფების ფუძესთან და მაშინვე დავრგოთ (ძალიან ხშირად ანანასის გასამრავლებლად გამოიყენება აგრეთვე წვეროის როზეტი).


მრავალი გორგალ-ბოლქვიანი და ბოლქვიანი მცენარეები, როგორიცაა ერუნი, ყოველწლიურად თავის ფუძესთან ქმნიან მინიატურულ ბოლქვებს ან გორგალ-ბოლქებს, რომელთაც ხშირად შვილეულ ბოლქებს, ბოლქების კბილებს უწინდებენ.

### ულვაშები

ულვაშები ეწოდება მცოცავ ყლორტებს გრძელი მუხლითშორისებით, რომლებიც ჩნდება კვირტებიდან ფოთლების უბებებში მცენარის ფუძესთან (ძირში). ჩვეულებრივად მათ აქვთ განუგითარებელი ქერქლისებური ფოთლები, ფესვიანდებიან მუხლებში დამატებითი ფესვების მეშვეობით. მუხლებში განლაგებული გვერდითი კვირტები იძლევა ახალ მცენარეს. დედა მცენარესთან მათი დამაკავშირებელი ლეროები დროთა მანძილზე კვდება და თითოეული შვილობილი მცენარე განცალკევდება. ბუნებრივ პირობებში ულვაშების მეშვეობით გამრავლების უნარის მქონე მცენარის კლასიკური მაგალითია – ბარწყვი. ახალგაზრდა მცენარეები ჩვეულებრივ საქმაოდ სწრაფად ფესვიანდებიან და თავის მხრივ წარმოქმნიან ახალ ულვაშებს. თუ ამ პროცესს უკონტროლოდ დავტოვებთ, მაშინ ძალზედ ჩქარა შეიქმნება ამ მცენარეების მკვრივი ხალიჩა, რომლებიც უკვე ძნელია გამოსაყოფად და

დაუზიანებლად ამოსათხრელად. ამიტომ, ახლადწარმოქმნილი ულვაშები რეგულარულად უნდა მოვაცალოთ.


სადედე მცენარისაგან კარგი ულვაშების მისაღებად შემდეგნაირად ვიქცევით. შემოდგომისათვის შეგვაქვს საკმარისი რაოდენობის კარგი ხარისხის კომპოსტი. ზაფხულის დასაწყისში წარმოქმნილ ულვაშების ნაწილს მოვაცლით, დარჩენილებს ოდნავ ჩავწევთ მიწაში, ამასთანავე ვეცადოთ თანაბრად განვალაგოთ ისინი მცენარის გარშემო. ამ დროს მივაღწევთ ნაადრევ დაფესვიანებას, თუმცა ახალგაზრდა მცენარეები ისე სწრაფად არ განვითარდება, როგორც ქოთანში.




1. ზაფხულის დასაწყისში ზოგ ულვაშებს აცლიან, რათა მცენარე არ დასუსტდეს

2. ქოთანს ავსებენ ნარჯისით „ჯონ ინესი“ და ბეპნიან

3. მცენარის გვერდით მიწას თხრიან და შიგნით ქოთანს ათავსებენ



4. ულვაშს მავთულით ამაგრებენ ქოთანში




5. ანალოგიურად აკეთებენ დედა მცენარის ირგვლივ, დაფესვიანების შემდეგ ყლორტებს ჭრიან

ზოგჯერ მიწაში სადედე მცენარის ახლოს ამოითხება ორმოები და მათში მოთავსდება ქოთნები ნიადაგის ნარევით, ისინი მიწით საჭირო მდგომარეობაში დაფიქსირდება. იმისათვის, რომ ულვაშმა ქოთანში გამოიღოს ფესვები, მოსახერხებელია ჩავამაგროთ იგი მიწაში პატარა მავთულით.

**მცენარეები, რომლებიც წარმოქმნიან ნაყარებს**  
აგავა  
ანანასი

ქლდისვაშლა  
ახალზელანდიური სელი  
მსუქანა  
ეხევერია  
იუკა

**მცენარეები, რომლებიც წარმოქმნიან ულვაშებს**  
ნიგვზიძირა მცოცავი  
პირტმინდა მცოცავი  
მარტყვი  
მარცვლოვნები – (ზოგიერთი სახე)  
ფხიჯა ნაყარიანი  
მარტყვა ბალახი



გაზაფხულზე დედა  
მცენარეს აცლიან  
ამონაყრებს

ამონაყრებს რგავენ ანანასის გამრავლებისთვის აჭრიან  
ქოთანში, დასაკალმებელი ყლორტებს და ამონაყრებს, რომ  
ნიადაგის ნაზავით ლებიც ნაყოფთან ვითარდებიან

## გადაწვენით (გადაწიდვნით) გამრავლება

მერქნიანი მცენარეების გამრავლება გადაწვენით მებაღეობაში გამოყენებული ერთ-ერთი ყველაზე ძველი და გამოცდილი ხერხია. იგი მდგომარეობს დეროზე ფესვების წარმოქმნის სტიმულირებაში მანამადა, ვიდრე მას გამოყოფენ საღებე მცენარისაგან. მეთოდი საკმაოდ მარტივია, ვინაიდან ამ დროს აუცილებელი არ არის გარემო პირობების გულმოდგინედ გაკონტროლება, რათა ფესვების ჩამოყალიბების დროს მხარი დაუჭიროთ ყლორტების სიცოცხლისუნარიანობას. ძველად მებაღეები ალბათ აკვირდებოდნენ ბუნებაში მცენარის ამგვარად ბუნებრივ გამრავლებას ამა თუ იმ პირობებში და ხელოვნური გამრავლებისათვის მხოლოდ ქმნიდნენ ასეთ პირობებს, „ტექნიკის“ ოდნავი შეცვლით.

როგორც გამრავლების სხვა ნებისმიერ ხერხის დროს, გადაწვენისათვის მნიშვნელოვანია სწორად შეირჩეს ყლორტები და აგრეთვე ნაკვეთი შესაბამისი ნიადაგური პირობებით, სადაც ისინი წარმატებით შეძლებენ დაფესვიანებას.

გადაწვენით გამრავლებისას მნიშვნელოვან გავლენას საბოლოო წარმატებაზე ახდენს დეროს მდგომარეობა. საუკეთესო შედეგების მისაღებად მებაღემ უნდა შექმნას პირობები, რომლის დროსაც ფორმირდება ძლიერი და სწრაფად მზარდი დეროები კარგი ფესვწარმოქმნით. ყლორტის

ფესვწარმოქმნის სტიმულირებისათვის მებადეობის პრაქტიკაში გამოიყენება ისეთი სპეციალური ხერხები, როგორიცაა ვერტიკალური წილგნებისათვის მიწის შემოყრა, ან მაგალითად, ჩვეულებრივი წილგნებით გამრავლებისას – წინასწარი გასხვლა. გასხვლის ჩატარებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ უმეტეს შემთხვევებში გადაწვენით გამრავლების დროს გვიხდება ტოტების მიწაზე დახრა.

სადედე მცენარის გარშემო მიწას, სადაც უნდა დაფესვიანდეს ყლორტები, განსაკუთრებული წესით ამზადებენ. ფესვწარმოქმნას ხელს უწყობს უპირველეს ყოვლისა, რეგენერაციის ზონაში უსინათლობა (სიბნელე), აგრეთვე უანგბადით უზრუნველყოფა და საკმარისი რაოდენობის სითბო და ტენი.

ღეროსათვის სინათლის მიწოდების შეწყვეტა ანუ გათეთრება – აუცილებელი პირობაა ფესვების ზრდის დაწყებისათვის. რაც უფრო ადრე დავაფარებთ დეროს, მით უფრო ძლიერი იქნება რეაქცია. ამიტომ ფესვწარმოქმნის სტიმულირებისათვის დეროს რაც შეიძლება მალე უნდა შემოეყაროს მიწა ან დაიფაროს ნიადაგით. არ შეიძლება ამ ოპერაციის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება, ვინაიდან სწორედ მიწის შემოყრის შეფერხება, შესაძლოა არის ყველაზე გავრცელებული მიზეზი ფესვწარმოქმნის უნარის შემცირებისა (შესუსტებისა), ერთი შეხედვით თითქოს კარგად განვითარებულ და ძლიერ ყლორტებში.

გადაწვენით გამრავლების დროს გამოყენებულ ნიადაგს უნდა ახასიათებდეს წყალშეკავების კარგი უნარი და აერაციის რეჟიმი, საკმარისი დრენაჟი. ამიტომ წილგნების მიღებისას ბადში ჩვეულებრივ ნაკვეთში (თუ გამრავლებისათვის კვალი სპეციალურად არ არის მომზადებული) მიწა უნდა გადაიბაროს დიდ სიღრმეზე. ეს უზრუნველყოფს კარგ დრენაჟს და ამით შეამცირებს მცენარეების დასველების ალბათობას. სტრუქტურის გასაუმჯობესებლად მძიმე ნიადაგებზე შეიძლება შეტანილი იქნას ტორფი, გადამწვარი ნაკელი და/ან ქვიშა.

უკეთეს ფესვწარმოქმნას ხელს უწყობს სითბოც, ამიტომ გადანაწვენები მიზანშეწონილია ისეთ ნაკვეთებზე მოვათავსოთ, სადაც აღწევს მზის სხივები. თუმცა, სითბო სასარგებლო იქნება მხოლოდ იმ პირობით, თუ ნიადაგი ტენიანია. მშრალ ამინდში გადანაწვენები უნდა მოირწყას.

წესების უმეტესობაში მიწიდან დაფესვიანებული გადანაწვენის (წილგნების) ამოდების წინ, ფიწლის მეშვეობით აკურატულად უნდა გადაიწიოს ნიადაგი. იმისათვის, რომ ფესვები არ დაიღუპოს, მათ არ უნდა მივცეთ შეშრობის საშუალება.

თუ გადანაწვენი ცუდად ფესვიანდება, მაშინ მათი აღმოცენება უნდა შევაყოვნოთ, რათა უკეთესად გაიზარდოს ფესვთა სისტემა. ახლად დაფესვიანებულ გადანაწვენებს განაცალკევებენ სადედე მცენარისაგან გადარგვამდე სამი-ოთხი კვირით ადრე. ამ ხერხის ეფექტურობა შეიძლება ამაღლდეს, თუ გავსხლავთ ყლორტებს – ბალანსი ფესვებსა და მიწისზედა ნაწილს შორის ამ შემთხვევაში გადაინაცვლებს ფესვთა სისტემის სასარგებლოდ.

## ჩვეულებრივი გადაწვენები


ჩვეულებრივი გადანაწვენების კვირტების ჩასახვა – მერქნიანი ჯიშების უმეტესობის გამრავლების ყველაზე მარტივი და უფექტური მეთოდია. ეს მეთოდი დაკავშირებულია სადედე მცენარის მინიმალურ დაზიანებასთან.

ტოტს დააყრიან მიწას და უტოვებენ მხოლოდ წვერს. ფესვები წარმოიშობა სწორედ იქ, სადაც ყლორტი მიწით არის დაფარული. როგორც კი ჩამოყალიბდება საკმაო რაოდენობის ფესვები, გადანაწვენი შეიძლება მოვაშოროთ სადედე მცენარეს. ფესვების განვითარება ღეროს მიწისქვეშა ნაწილში დაკავშირებულია იქ საკვები ნივთიერებებისა და ფიტოპორმონების გაძლიერებული მიდინებით (მიწოდებით). იმისათვის ორმ წარმატება გარანტირებული იყოს, საჭიროა გამოვიყენოთ ფესვწარმოქმნის განვითარებული უნარის მქონე ყლორტები და არ მოვათავსოთ ისინი დრმად მიწის ზედაპირიდან.

გადანაწვენების კვირტების ჩასახვამდე თორმეტი თვით ადრე, ზოგჯერ კი უფრო ადრეც, ტოტებს ძლიერ გასხლავენ. ეს ხელს უწყობს ახალგაზრდა ყლორტების სწრაფ ზრდას – ისინი უველაზე უკეთ გამოდგება გადანაწვენების წარმოქმნისათვის, ვინაიდან მათი გადაწვენა მიწაზე უფრო ადგილია. გარდა ამისა, ისინი უფრო სწრაფად ფესვიანდება.

გადაწვენებს ჩვეულებრივ ახდენებ გაზაფხულის დასაწყისში, როგორც კი იწყებენ ნიადაგის დამუშავებას.

ვინაიდან გადაწვენით გამრავლებას, ჩვეულებრივ აწარმოებენ არა სპეციალურ კვალსათბურებში, არამედ პირდაპირ ბაღში, მნიშვნელოვანია ძალზედ გულმოდგინედ მომზადდეს ნიადაგი. მას გადაბარავენ რაც შეიძლება დრმად. შემდგა შეაქვთ საჭირო რაოდენობის ტორფი, ნაკელი და ქვიშა, რითაც ნიადაგს გარდაქმნიან ფესვწარმოქმნისათვის ოპტიმალური პირობების მქონე არედ: კარგი წყალშეკავების უნარით, ჰაერის რეჟიმით და დრენაჟით.



დასაფესვიანებელი კალმების სტიმულირება

დეროს 8 მმ-ზე დანით  
აცლიან კანს

დესოს უჭერენ  
სპილენბის მავთულს

ირიბ ჭრილში  
დებენ ასანთს

ყლორტის მონაჭერზე, წვერიდან დაწყებული 10-60 სმ-ზე აშორებენ ყველა ფოთოლს და გვერდით ყლორტებს. ტოტს გადააწვენენ და მის მდგომარეობას დააფიქსირებენ წვერიდან დაახლოებით 20 სმ-ში. აღნიშნულ წერტილიდან თხრიან 10-15 სმ სიღრმის თხრილს, სადედე მცენარესთან მიახლოვებასთან ერთად ეს სიღრმე ნელ-ნელა მცირდება.

ფესვების წარმოქმნის საიდუმლოება მდგომარეობს დეროში საკვები ნივთიერებებისა და ფიტოპორმონების გადაადგილების დარღვევაში. ამისათვის, ჩვეულებრივად, საკმარისია მოვდუნოთ დერო  $90^{\circ}$ -ით


(მართკუთხედათ). თუმცა, ძნელად დასაფეხვიანებელ კულტურებში ჯერ დანით შემორგოლავენ (შემოჭდევა) დეროს ან მოკეცის ადგილზე ყლორტს შემოახევებენ სპილენძის მავთულს.




1.სტიმულირებისათვის დედა  
მცენარეს აჭრიან ტოტებს



2.გაზაფხულზე ირგვლივ  
ნიადაგს აფხვიერებენ




3.აჭრიან ფოთლებს და  
გვერდით ტოტებს




4.დეროს ნიადაგზე აწვე-  
ნენ და ნიშნავენ ადგილს



5.თხრიან 10-15 სმ სიღრმის  
ორმოს




6.დეროს ათავსებენ  
ნიადაგში და ამაგრებენ



7.ორმოს აგსებენ მიწით

8. უხვად რწყავენ

9.შემოდგომაზე აჭრიან

10.სამი-ოთხი კვირის შემდეგ  
მცენარეს თავს აჭრიან11. კარგად განვითარებული  
ფეხვების შემთხვევაში იღებენ,  
ან კიდევ 1 წელი ტოვებენ12.დაფესვიანებული მცენა-  
რეს გადარგავენ

ტოტს მოათავსებენ ამოთხრილი თხრილის ფსკერზე და გარეთ დაუტოვებენ მართკუთხედად მოღუნულ, დაახლოებით 20 სმ სიგრძის ტოტის წვერს. თუ ღერო „ურჩობს“ და არ იღუნება, მას ამაგრებენ მავთულის სამაგრებით, ზემოდან აყრიან მიწას, ოდნავ ტკეპნიან და მორწყავენ.

თვალყური უნდა ვადევნოთ ნიადაგის ტენიანობას, განსაკუთრებით გვალვიან პერიოდში. გადანაწევების დაფესვიანება ჩვეულებრივ ხდება ვებეტაციის პერიოდში.

შემოდგომაზე გადანაწევენს მოაშორებენ სადედე მცენარეს, რათა ახლადწარმოქმნილი მცენარე შემატეს „დამოუკიდებლად“ არსებობის პირობებს.


სამი-ოთხი კვირის შემდეგ, ფეხვების უკეთ განვითარებისათვის, გადანაწევნის წვერს წააჭრიან. შემდეგ გადანაწევნის გადარგავენ ქოთანში ან ახალ ადგილზე. თუ შემოდგომისათვის გადანაწევნის ფეხვთა სისტემა ჯერ კიდევ საკმარისად არ განვითარდა, მას არ ამოთხრიან მომდევნო წლამდე. ზოგჯერ ამ პროცესს 3-5 წელიც კი ჭირდება, ძნელად დასაფესვიანებელი კულტურების „იძულებითი დაფესვიანების“ შემთხვევაში.

## პაერში დაფესვიანება

მიწისზედა გადაწვენა ანუ პაერში დაფესვიანება – ვეგეტაციური გამრავლების ასევე ერთ-ერთი ძველი ხერხთაგანია. იგი ჩინეთში ცნობილი იყო 4000 წლის წინ და იქ დღემდე ფართოდ გამოიყენება. ამიტომ მიწისზედა/პაერში გადაწვენის მეთოდს ტრადიციულად ჩინურს უწოდებენ.

ფესვები უნდა წარმოიქმნას გაუცალკევებელ გამერქნებულ ყლორტზე. მისი წვერიდან 15-20 სმ-ში მოხსნიან ქერქის რგოლს და დაზიანებულ მონაკვეთს სინათლისაგან ფარავენ. ასეთ პირობებში შესაძლებელია ფესვების ჩამოყალიბება. თუ მის გარშემო მოვათავსებთ თბილ და ტენიან მიწას, მაშინ ფესვები უფრო ენერგიულად დაიწყებს ზრდას. შემდეგ დაფესვიანებულ გადანაწვენს მოაშორებენ სადედე მცენარეს და გადარგავენ.


მიწისზედა გადანაწვენები გამოიყენება მერქნიანი კულტურების დიდი რიცხვის გასამრავლებლად. ეს ხერხი ძალზედ მოსახერხებელია, ვინაიდან არ მოითხოვს სპეციალურ მოწყობილობებს, ხოლო მცენარეები ნაკლებად ზიანდება. მიწისზედა გადანაწვენები მიიღება ან გაზაფხულზე, წინა წლის უკვე მომწიფებული ყლორტებისაგან – ასეთ შემთხვევაში ქერქის რგოლს წვერის ახლოს ჭრიან, ან ზაფხულის ბოლოს ამავე წლის ნახევრადგამერქნიანებულ ყლორტებისაგან



1. ყლორტს აცლიან ყველა ფოთლებს და ტოტებს

2. შუაში აცლიან კანს და პირმონით ამუშავებენ

3. წვრილ ხავსს ხელში აზელავენ გუნდასაგით



4. გუნდას ორად გაყოფენ

5. მჭიდროდ შემოახვევენ დამუშავებული ღეროს

6. შავ პოლიეთოლენს შემოახვევენ და ბოლოებს იზოლენტით მკვრივად შეკრავენ

შეირჩევა მზარდი ყლორტი. მისი წვერიდან 15-30 სმ-ის მონაკვეთზე მოაცლიან ყველა გვერდით ტოტებს და ფოთლებს. შემდეგ ღეროზე კეთდება რეოლი, რის შედეგადაც საკვები ნივთიერებები და ფიტოპორმონები იწყებს დაგროვებას იმ ადგილას, სადაც საჭიროა გამოვიწვიოთ ფესვის წარმოქმნა, ჩვეულებრივ, ყლორტის წვერიდან 20-25 სმ. ფესვწარმოქმნის გასაძლიერებლად გაშიშვლებული ზედაპირი შეიძლება დამუშავდეს ფხვნილით, რომელიც შეიცავს ზრდის რეგულატორებს.

ფესვების წარმოქმნის საუკეთესო არედ ითვლება წვრილი ხავსი. იგი მშვენივრად ინარჩუნებს ტენს, კარგად აერირებადია, მარტივია გამოსაყენებლად. მთელი დამით ხავსს ალბობენ წყალში. შემდეგ იღებენ ორ დიდ მუჭა ხავსს, ოდნავ გაწურავენ მას და გუნდის ფორმას მისცემენ ისე, რომ აეწეროს ყველა ბოჭკო. როდესაც მივიღებთ 6-7 სმ დიამეტრის გუნდას, მას ორად გაყოფენ (გაგლუჯენ) თითებით და ამ ნახევრებს მჭიდროთ შემოავლებენ რგოლიან ღეროს მონაკვეთს. შემდეგ ხავსს შემოახვევენ შავი პოლიეთილენის აპკის კვადრატულ ნაჭერს, ხოლო ორივე ბოლოს საიზოლაციო ლენტით მოახვევენ ღეროს. დარწმუნდით იმაში, რომ ატმოსფეროს ტენიანობა ვერ შეაღწევს შიგნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ხავსი ზედმეტად დატენიანდება. ამისათვის პოლიეთილენს შემოაკრავენ ჯვარედინად, თასმას კი სპირალისებურად შემოახვევენ, რათა იგი ღეროს დია ნაწილზეც გადავიდეს. შავი პოლიეთილენი უზრუნველყოფს ტენის შენარჩუნებას, მაღალ ტემპერატურას, გამორიცხავს სინათლის შეღწევას და თანაც ძალიან არ არღვევს აერაციას.



7.მოსვენების პერიოდის  
დამთავრების დროს აჭრიან  
ახალ ნაზარდს

8.აჭრიან დაფესვიანებულ  
კალამს და აფსეს

9. ფესვების ანთავისუფლებენ  
და წოთანში გადარგავენ

ფესვების წარმოქმნისათვის საჭირო გახდება ყველაზე ცოტა სავეგეტაციო პერიოდი. მოსვენების პერიოდის დასრულების დროისათვის გადანაწვენს მოაშორებენ მთელ ახალ ნაზარდს და აპსკის ქვემოთ სეკატორით მოაჭრიან დაფესვიანებულ ყლორტს. აპსკს მოაცლიან.

ყველაზე საასუსტისმგებლო ეტაპია – სადედე მცენარეს მოშორებული გადანაწვენის გახარება საკუთარ ფესვებზე. დაფესვიანებულ გადანაწვენებს ჩარგავენ ქოთნებში დასაფესვიანებელი ნიადაგის ნარევით, ოდნავ გააფხვიერებენ ხავსის გუნდას და მასში ჩაზრდილ ფესვებს. დარგვის შემდეგ, ფესვებთან უკეთესი კონტაქტისათვის, სუბსტრატს ოდნავ ტკეპნიან. ქოთნებს გაუკეთებენ ეტიკეტებს და დადგავენ დაცული გრუნტის პირობებში,

სადაც გრძელდება ფესვების შემდგომი ზრდა და მცენარე საბოლოოდ გაიხარება.


### წვერის გადანაწვენები

წვერის გადანაწვენებით გამრავლების ხერხი ფართოდ გამოიყენება *Rubus*-ის ოჯახის სხვადასხვა წარმომადგენლებისათვის, როგორიცაა, მაგალითად, მაყვალი და ლოგანოვის კენკრა (უოლოსა და მაყვლის პიბრიდი). ასეთი მცენარის ბუნებრივ პირობებში მზარდი ყლორტის წვერი ვეგეტაციის დროს ხშირად იხრება (იღუნება) და მიწაში ხვდება, სადაც დაფესვიანდება და საწყის აძლევს ახალ მცენარეს. ოდნავ სახეშეცვლილი ფორმით მცენარეების ამ უნარს იყენებენ მებაღები.


წვერის გადანაწვენის მიღება განსაკუთრებით მოსახერხებელია მცირე რაოდენობის მცენარეების გამრავლების დროს, ვინაიდან ამის გაკეთება აქვე ბალში შეიძლება, რისთვისაც ბუჩქიდან მხოლოდ ყლორტების ნაწილი გამოიყენება და ამით ხელს არ უშლის სხვების ყვავილობასა და მსხმოიარობას.




1. გვერდით დეროს წვერის აწყვეტავენ მისი დატოტვის მიზნით




2. გვერდით ყლორტებსაც თავებს აწყვეტავენ, სანამ დატოტვა 6-8 მიაღწევს




3. ნიაღაგდს მცენარის ირგვლივ აფხვიერებენ და ტორფს უმატებენ



4. ყლორტს მიწაზე აწენენ და იმ ადგილს თხრიან ბენ და მიწას აყრიან



5. ყლორტს დრმად ამაგრე- 6. ნიაღაგს მსუბუქად ტკეპნიან და იმ ადგილს თხრიან ბენ და მიწას აყრიან და კარგად რწყავენ




*Rubus*-ის ოჯახის წარმომადგენლებს ხშირად აქვთ ვირუსული დაავადებები, ამიტომ თვალყური უნდა ვადევნოთ, რათა გამრავლებისათვის აღებული იქნას მხოლოდ ჯანსაღი სადედე მცენარეები.

თითოეულ ბუჩქს გაზაფხულზე უჩნდება რამოდენიმე ახალგაზრდა მზარდი ყლორტი. ოდესაც ისინი გაიზრდებიან 40-45 სმ-მდე, წვერებს მოუჭყლებავენ, რაც იწვევს გვერდითი ყლორტების წარმოქმნას. ეს

ყლორტები ასეთვე ხასიათდებიან ძლიერი და სწრაფი ზრდით და მათაც მაღე მოაჭყლებავენ. ასე გრძელდება შუა ზაფხულამდე. ამ დროისათვის მცენარეზე უნდა წარმოიქმნას კარგად განვითარებული 6-8 პოტენციური გადანაწვენი.

სწორედ ამ დროს გადანაწვენებს აფესვიანებენ. წვერის გადანაწვენით გასამრავლებელ გადანაწვენებს ფესვები აქვთ წვრილი, ძარღვიანი. იმისათვის, რომ ისინი დარგვის დროს არ დავაზიანოთ, ნიადაგი ნაკვეთზე უნდა მომზადდეს განსაკუთრებით გულმოღინებით. მიწას გადაბარავენ და გააფხვიერებენ. დიდი რაოდენობით შეაქვთ ორგანული სასუქები – ეს ხელს უწყობს ნიადაგში ტენის შენარჩუნებას და აგვაცილებს ფესვების გახმობას. ნიადაგის ზედა 15 სმ-იან ფენას ემატება აგრეთვე მცირე რაოდენობის ქვიშა და ტორფი.


ღეროს მოხრიან (მოღუნავენ), მიწაზე აღნიშნავენ იმ ადგილს, სადაც მას ეხებოდა ყლორტის წვერი. ამ ადგილზე აკეთებენ 10 სმ სიღრმის თხრილს ვერტიკალური კედლებით, გარდა იმ კედლისა, რომელიც მიმართულია სადედე მცენარისაკენ, იგი დამრეცი უნდა იყოს. მოსწორებული ვერტიკალური კედლები ხელს უწყობენ ყლორტების ვერტიკალურად ზრდას, რაც აადგილებს გადანაწვენების მიღებას.



7. სექტემბერში სადედე ბუჩქიდან ჭრიან

8. ფოთლების ჩამოცვენის შემდეგ ღეროებს ჭრიან

9. დაფესვიანებული კალმების თავებს აჭრიან



10. ნერგს ფრთხილად იდგენ ნიადაგიდან

11. რგავენ წინასწარ მომზადებულ ადგილზე

12. დანარჩენ ნერგებს სველ გაზეთში და მერე ცელოფანში გახვეულს ინახავენ

ყლორტის წვერს მოათავსებენ თხრილის ჟვალაზე ღრმა ადგილას და ჩამაგრებენ ნიადაგში მავთულით. თხრილს მიაყრიან მიწას, ოდნავ დატკეპნიან მას და მორწყავენ. დაახლოებით სამი კვირის შემდეგ ზედაპირზე გამოჩნდება ყლორტები.

სექტემბერის დასაწყისში გადანაწვენის ღეროს მოაჭრიან ბუჩქს და ახლა მას შეუძლია განვითარდეს, როგორც დამოუკიდებელი მცენარე. დაფესვიანებულ გადანაწვენზე ფოთლების ცვენის შემდეგ სადედე ღეროს ნარჩენებს სხლავენ. ამოთხრილი გადანაწვენები მაშინვე გადაირგვება. თუ

გადანაწვენების გადარგვა მაშინვე ვერ ხერხდება, მათ ფესვებს შეახვევენ სველ გაზეთში და მოათავსებენ პოლიეთილენის პარკში, რათა ისინი დაცული იქნას გამოშრობისაგან.

წვერის გადანაწვენებით გამრავლება შეიძლება ყოველწლიურად ჩატარდეს.


**მცენარეები, რომელთა გამრავლება შეიძლება წვერის გადანაწვენით**  
 შავი კენკრა  
 მაყვალი  
 ლოგანოვის კენკრა  
 უოლო  
 უოლო იაპონური  
 მაყვალი პირამიდული, ჯიში პლენუსი

### ვერტიკალური გადაწვენა

ვერტიკალური გადანაწვენების მიღება თავიდან ბოლომდე გამრავლების ხელოვნური ხერხია, ვინაიდან სადედე მცენარე გამოყავთ წლიდან წლამდე მხოლოდ ახალი მცენარეების მიღების მიზნით.

ეს ხერხი უპირატესად გამოიყენება სპეციალური საძირების გასამრავლებლად, განსაკუთრებით ხეხილში. თუმცა მისი გამოყენება სხვა მცენარეებისთვისაც შეიძლება, რომლებიც კარგად იტანენ ყოველწლიურ მოკლედ გასხვლას.

დაფესვიანებულ გადანაწვენს, კალამს ან ნათესარს გადარგავენ გაკულტურებულ, კარგად დამუშავებულ ნაკვეთში. წლის განმავლობაში მცენარეს ხელს არ ახლებენ, რათა მან გაიხაროს. ამ მიზნებისათვის დამყნობილი მცენარე არ გამოიყენება, ვინაიდან უნდა გამრავლდეს საძირე, და არა დამყნობილი ჯიში. ყველა კლონურ საძირებს უნდა ჰქონდეთ მოწმობა, რომ ისინი არ არიან დაავადებულნი ვირუსული დაავადებებით. მოსვენების პერიოდის დაწყებიდან მცენარეებს სხლავენ, უტოვებენ მიწის ზემოდან 2-5 სმ-ს ნეკს.




1.ნერგი გადააქვთ კარგ ნიადაგში კიდევ 1 წლით

2.მოსვენების პერიოდის დასაწყისში ძირს 2-5 სმ-ზე ჭრიან

3.როცა ამონაყრები 15 სმ-ს მიაღწებს, აყრიან ნიადაგს


მომდევნო გაზაფხულზე, როდესაც მზარდი ყლორტები მიაღწევს დაახლოებით 15 სმ-ს, მათ მიაყრიან მიწას ისე რომ, მთელი მცენარე მიწის ქვეშ იყოს. მიწის მოყრის დაგვიანებას არ გირჩევთ, ვინაიდან ყლორტების სინათლისაგან დაცვა ზრდის დასაწყისშივე – გამრავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტთაგანია. შემდგომი ზრდის მიხედვით აგრძელებენ ყლორტებზე მიწის მოყრას 25 სმ-ის სიმაღლემდე.

თუ ზაფხული გვალვიანია, ფესვწარმოქმნის სტიმულირებისათვის ნიადაგი ირწყვება. საერთოდ კი, მიწა ყლორტების გარშემო უნდა შევინარჩუნოთ თბილ და ოდნავ ტენიან მდგომარეობაში. ჭარბი ტენიანობა იწვევს ნიადაგის ტემპერატურის დაცემას.



4. განაგობენ ყლორტებზე 5. ფოთლების ჩამოცვენის 6. დაფესვიანებულ ყლორტებს  
მიწის მოყრას 25 სმ-მდე შემდეგ მიწას აცლიან ამოჭრიან სეკატორით

გვიან შემოდგომაზე ან ზამთრის დასაწყისში, როდესაც ფოთლები მთლიანად ჩამოცვივა და ყლორტები მოსვენების მდგომარეობაში გადავა, მიწას გადანაწვენებისაგან აკურატულად ფიწლით გადაწევენ მის საწყის დონემდე. თითოეული ყლორტის ფუძეში (ძირში) ამ დროისათვის წარმოიქმნება ფესვები. დაფესვიანებული გადანაწვენები გაცალკევდება სადედე მცენარისაგან. მათ მოჭრიან სეკატორით, თან თვალყურს ადევნებენ, რომ სადედე მცენარეზე არ დარჩეს ნეკები. გადანაწვენებს მაშინვე გადარგავენ და გაუკეთებენ ეტიკეტებს.



7. მაშინვე რგავენ დია გრუნტში


8. ნიადაგს სადედე მცენარის ირგვლივ აფხვიერებენ

9. გაზაფხულზე შეაქვთ მინერალური სასუქების სრული დოზა 140 გ/მ<sup>2</sup>

დაფესვიანებული გადანაწვენების/ნერგების გასხვლისა და დარგვის შემდეგ სადედე მცენარის გარშემო მიწას აფხვიერებენ, ნეპს მოაცლიან მიწის ნარჩენებს. ამის გაკეთება საჭიროა, რათა კვირტებმა მიიღონ დაბალი ტემპერატურის საჭირო ზემოქმედება ზამთრის პერიოდში და შედეგად შემდეგ გაზაფხულზე სწრაფად გამოიღვიძონ. მაშინ ყველა ოპერაციას კვლავ იმეორებენ, მხოლოდ ნიადაგს უმატებენ 140 გ/მ<sup>2</sup>-მდე სრულ მინერალურ სასუქებს. გადაწვენის ნაკვეთის გამოყენების წარმატება შემდგომში დამოკიდებული იქნება სადედე მცენარის მოვლაზე.

### ფრანგული გადაწვენები


ფრანგული გადაწვენებით გამრავლება წარმოადგენს ვერტიკალური გადაწვენების მეთოდის განვითარებას. ამიტომ მოცემული ხერხი აგრეთვე გულისხმობს საეციალურ სადედე მცენარეების გამოყვანას. დაფესვიანებული გადანაწვენების წარმოქმნა ყოველ წელს წარმოებს. ოუმცა მოსამზადებელი პერიოდი უფრო მეტ დროს იკავებს, ვიდრე ვერტიკალური გადაწვენით გამრავლებისას.



1.დაფესვიანებულ კალამს რგავენ და ზრდიან წლამდე

2.ფოთლების ჩამოცვენის შემდეგ ჭრიან 2,5-5 სმ-ზე

3.მეორე წლის დასაწყისში დეროებს აჭრიან, ტოვებენ 5-8 ც



4.დარჩენილ დეროებს ერთ სიგრძეზე ჭრიან

5.დეროებს ამაგრებენ მიწაზე ჰორიზონტალურად


6.როცა ახალი ყლორტები 5-8 სმ გახდება, დეროებს ანთავისუფლებენ

ნაკვეთის მომზადების დროს იგი გადაიბარება დიდ სიღრმეზე და მასში შეიტანება ორგანული სასუქი, ტორფი და ქვიშა. შემდეგ დაირგვება დაფესვიანებული გადანაწვენები. სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში

მცენარე იზრდება. მოსვენების პერიოდის დასაწყისში მიწისზედა ნაწილს მოჭრიან ნიადაგის ზედაპირიდან 2,5-5 სმ-ის სიმაღლეზე.

შემდეგი წლის მანძილზე მცენარეს ხელს არ ახლებენ და ზრდის საშუალებას აძლევენ. შემოდგომაზე, როდესაც ყველა ფოთლები ჩამოცვივა, შეირჩევა საჭირო ყლორტები, ზედმეტები გაისხვლება. მცენარეზე ტოვებენ ყველაზე ძლიერ, დაახლოებით რვა ყლორტს. მათ დაახლოებით ერთნაირად გასხლავენ, დაამაგრებენ მიწაზე პორიზონტალურ მდგომარეობაში და ტოვებენ მთელი ზამთრის განმავლობაში. ამის წყალობით, გაზაფხულზე ყველა კვირტი დეროებზე ერთდროულად იღვიძებს.


გაზაფხულზე, როდესაც ახალგაზრდა ყლორტების სიგრძე თითოეულ დეროზე მიაღწევს 5-8 სმ-ს, დეროებს მოხსნიან მიწიდან და მათ ქვეშ აფხვიერებენ ნიადაგს. შემდეგ დეროებს განათავსებენ თანაბარ მანძილზე „ვარსკვლავისებურად“ და მოათავსებენ 5 სმ-ის სიღრმის ორმოში. მიაყრიან მიწას, ზედაპირზე უტოვებენ მხოლოდ ახალგაზრდა ყლორტებს.




7.დეროებს კვლავ მიწაში  
ათავსებენ და მიწით ფარავენ




8.ზრდასთან ერთად  
ახალგაზრდა ნერგებს  
მიწით ფარავენ 15 სმ-მდე




9.ვეგეტაციის ბოლოს  
მიწას ფრთხილად  
აცლიან



10.დაფესვიანებულ ტოტებს  
აჭრიან დედა მცენარეს



11.თვითოეულ მცე-  
ნარეს ჭრიან



12.ნერგებს მაშინვე რგავენ  
და უხვად რწყავენ

ყლორტების ზრდის მიხედვით მათ პერიოდულად მიაყრიან მიწას – წვერები ყოველთვის ზედაპირზე უნდა რჩებოდეს. მინაყარის საბოლოო სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 15 სმ-ს. მორწყვა საჭიროა მხოლოდ მშრალ ამინდში - ერიდეთ ჭარბ ტენიანობას. სადედე დეროზე ამ დროს წამოიზრდება ახალი ყლორტები, რომლებიც გამოყენებული იქნება მომდევნო წელს გადანაწვენების მისაღებად.

ფოთლეცვენის შემდეგ ყლორტებს აკურატულად მოაცლიან მიყრილ მიწას. ახალგაზრდა ყლორტებიან დაფესვიანებულ დეროებს მოაშორებენ სადედე მცენარეს. თითოეულ ასეთ დეროს ჭრიან ნაწილებად, რომლებიც

შედგება ცალკეული დაფესვიანებული მცენარეებისაგან, დარგავენ და მორწყავენ მათ.


სადედე მცენარეზე წარმოქმნილ მიმდინარე წლის ნამატს შეათხელებენ, ტოვებენ კარგად განვითარებულ რვა ყლორტს. შემდგომი ოპერაციები მეორდება.

### გადაწვენები სადედე მცენარის ჩაღრმავებული დარგვის წესით


ამ ტექნიკას იყენებენ მრავალრიცხოვანი მანანების, ჯუჯა იელისა და ანალოგიური მცენარეების გასამრავლებლად, რომელთათვისაც სხვა მეთოდები ნაკლებად უფექტურია.

შეარჩევენ უკვე ჩამოყალიბებულ მცენარეს, შეძლებისდაგვარად ცალკე მდგომს. ამოთხრიან მას მიწიანად და ჩარგავენ ძალზედ დრმად ისე, რომ ზედაპირზე რჩება მხოლოდ ტოტების წვერები. ეს ყლორტები დაფესვიანდება, რის შემდეგაც ამოთხრიან მათ და გადარგავენ როგორც ახალ მცენარეს.

განხილული მეთოდი ყოველთვის ოპტიმალური არ არის, ვინაიდან წარმოქმნილ ახალ მცენარეებს ხშირად ნაკლებად მიმზიდველი ფორმა აქვთ, ვიდრე კალმებით მიღებულ მცენარეებს. თუმცა, ეს მეთოდი მარტივია და ადგილად ასათვისებელი.



1.მოსვენების პერიოდში  
მიმართავენ სადედეს სხვლას



2. გაზაფხულზე ნიადაგს  
დრმად ამჟავებენ



3.სადედეს იღებენ მიწიანად  
და დრმად რგავენ


სადედე მცენარის მომზადება იწყება ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი იმყოფება მოსვენების მდგომარეობაში. მომავალში ფესვწარმოქმნის მაღალი უნარის მქონე ახალი ყლორტების ენერგიული ზრდის უზრუნველსაყოფად, ატარებენ მოკლე სხვლას. ძველი გაუსხლავი ღეროები უფრო ძნელად მრავლდება.

სადედე მცენარის დარგვა ჩვეულებრივ წარმოებს გაზაფხულზე, ვეგეტაციის დაწყებამდე, როგორც კი მომწიფდება ნიადაგი, რათა იგი კარგად დამჟავდეს.

მიწას აფხვიერებენ; თუ ნიადაგი მძიმეა და მიდრეკილება აქვს დაჭაობებისაკენ, შეაქვთ ტორფი და ქვიშა. შედეგად უმჯობესდება აერაცია.

სადედე მცენარის დასარგავად ამზადებენ საკმაოდ დრმა ორმოს. ორმოს ძირი გაფხვიერდება, რათა უზრუნველყოფილი იქნას უფექტური

დღენაუი; წინააღმდეგ შემთხვევაში დასველება შეამცირებს ფესვწარმოქმნის ტემპებს.



4.მცენარეებს მიწით ფარავენ, 5.ვგვეტაციის პერიოდში  
ტოვებენ 2-3 სმ წვერს პერიოდულად რწყავენ

სადედე მცენარე ამოითხრება ბევრი მიწით. იგი გადაქვთ მომზადებულ ორმოში. ტოტებს განალაგებენ ქვემოთგანხილული სამი მეთოდიდან ერთ-ერთით. ტოტების განლაგება დამოკიდებულია საფეხურ მცენარის ზომებზე.

კლორტების განლაგების ხერხისაგან დამოუკიდებლად მნიშვნელოვანია თვალყური ვადევნოთ იმას, რომ ნიადაგის ზედაპირზე დარჩეს მხოლოდ მათი წვერები არაუმეტესი 2-3 სმ სიგრძისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მზარდი ლეროები ძალიან გაიზრდება (წაიწევს). მცენარეს მიაყრიან მიწას, რომელსაც ოდნავ მოტკეპნიან და გაუკეთებენ ეტიკეტს. ზაფხულის განმავლობაში, თუ მიწა გამოშრება, აწარმოებენ მოწყვეტილ მცენარეებს.

შემოდგომაზე მცენარეს მთლიანად ამოთხრიან. ყლორტებზე, ნიადაგის ზედაპირთან სულ ახლოს ამ დროისათვის გაჩნდება ფესვები. ყველა დაფესვიანებულ ყლორტებს გამოყოფენ და დარგავენ გრუნტში ან ქოთანში. გაუკეთებენ ეტიკეტებს. სადედე მცენარის ძველ ნაწილს გადააგდებენ.

**მცენარეები, რომელთაგანაც შეიძლება მივიღოთ გადანაწევები სადედე  
მცენარის ჩაღრმავებული დარგის დროს**

## Figmələr oğlomo

წიგნის მოცემი

ପାତ୍ରବିନ୍ଦୁ

დაბოგის

## კალმია წვრილფოთოლა

კასიოპეა

ପ୍ରକାଶନକାରୀ

იქლი - ჯუჯა და წერილფოთოლა ჯიშები

ওঠে পুরুষ


၁၂

კაქუნიუმი

## სადედე მცენარეზე ტოტების განთავსების ხერხები

თუ სადედე მცენარე სუსტად იტოტება, მაშინ ყლორტები განლაგდება ერთ რიგად. ასეთ შემთხვევაში იზოგება მიწის ფართობი და გაადვილდება გამარგვლა. მცენარეებისათვის, რომლებიც ქმნიან გადაბარდნილ ბუჩქს, ეს ხერხი არ გამოღება, ვინაიდან სიხშირის დროს შეფერხდება ყლორტებზე ფესვების წარმოქმნა.

თუ მცენარეს მსხვილი ყლორტები აქვს, მათ განლაგებას ნიადაგში ცდილობენ თანაბრად, რათა თითოეული დერო მიწით იყოს გარშემორტყმული. ასეთ შემთხვევაში უფრო რთულია სარეველებთან ბრძოლა.



ტრადიციული ხერხის დროს თხრიან ქოთნისებრ ორმოს, ყლორტებს ათავსებენ პერიმეტრზე, ხოლო მცენარის შუა ნაწილს დააყრიან მიწას. ასეთ შემთხვევაში გამარგვლა ადვილია, მაგრამ მიწა იხარჯება ნაკლებად ეფექტურად.

## დაკალმების ტექნიკა

### ფოთოლგვირტის კალმები

კალმები, რომლებიც შედგება ფოთლიანი კვირტისაგან, შეიძლება დაიჭრას როგორც მარადმწვანე, ისე ფოთოლთვენია მცენარეების ნებისმიერი ყლორტებისაგან – მწვანე, ნახევრადგამერქნებული და გამერქნებული. თითოეული კალამი შედგება ფოთლიანისაგან, მის უბეში არსებული კვირტისაგან და დეროს ძალიან მოკლე მონაკვეთისაგან. ფოთლიდან მიეწოდება კალმის სიცოცხლისათვის და რეგენერაციის პროცესებისათვის საჭირო ნივთიერებები. კვირტიდან იზრდება ახალი მცენარის დერო, პირველი ფესვები ჩნდება დეროს პატარა მონაკვეთზე.

დაკალმებისათვის უნდა გამოვიყენოთ კარგი ფესვწარმოქმნის უნარის მქონე დეროები. დაკალმებისათვის განკუთვნილი სადედე მცენარეები წინასწარ ექვემდებარება ძლიერ გასხვლას. შედეგად სტიმული ეძლევა კარგი ფესვწარმოქმნის უნარის მქონე ახალი ყლორტების ჩამოყალიბებას.

კალმის მისაღებად შეირჩევა ერთ-ერთი ასეთი ახალგაზრდა ყლორტოაგანი. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ მასზე ფოთლები არ იყოს დაზიანებული, ისინი უკვე გაშლილი და სრულად ფორმირებული უნდა იყოს.

საჭიროა აგრეთვე დავრწმუნდეთ იმაში, რომ ფოთლის უბეში არსებული პირტი სიცოცხლისუნარიანია.




1.სადედე მცენარეს სხლავენ 2.არჩევენ ყლორტს  
ძლიერი ყლორტების მისაღებად დაუზიანებელი  
პირტით

3.ზედ პირტის თავზე  
ჭრიან ირიბად

კალმები მოიჭრება რაიმე ბასრი საგნით - დანით ან სეკატორით, რაც დამოკიდებულია დეროს სიმაგრეზე. გადანაჭერს აკეთებენ რაც შეიძლება ახლოს კვირტთან, შეძლებისდაგვარად ცდილობენ არ დატოვონ ნეკი. ეს ამცირებს მისი დალპობის ან დაღუპვის ალბათობას.


ქვედა გადანაჭერს აკეთებენ ზედასაგან 2,5-4 სმ-ში. შედეგად კალამი საკაოდ მყარად შეიძლება ჩამაგრდეს სუბსტრატში. განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია მსხვილი ფოთლების მქონე მცენარეთავის, რომლებსაც ახასიათებთ სიდამპლის დაავადებებისადმი მიღრეკილება. გარდა ამისა, მსხვილფოთოლა მცენარეების დარგვის დროს ძალზედ ძნელია დავიცვათ დგომის საჭირო სიხშირე. ამიტომ ხშირად მათ აჭრიან ფოთლებს ან დაახვევენ და შეკრავენ რეზინით. ამ შემთხვევაში შეიძლება უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ მიწის ფართობი. ფესვწარმოქმნის სტიმულირებისათვის კალმის ქვედა ბოლოს ჩვეულებრივ დაამუშავებენ ზრდის რეგულატორებით.



1.დეროს სიმეტრიული  
ფოთლებით მუხლს ზემოთ  
ჭრიან 2,5-4 სმ-ით ქვემოთ

2.დეროს ხეთქავენ და  
მიიღება 2 კალამი

3.კალამს ამუშავებენ  
სტიმულატორით და  
რგავენ (აკალმებენ)



4. ჭრიან 2,5-4 სმ-ით  
ქვემოთ მუხლიდან

5. დიდ ფოთოლს ამო-  
კლებენ ან აწყვეტენ,  
სტიმულატორით  
ამუშავებენ

6. ქოთანში რგავენ, კვირტს  
ათავსებენ მიწის პირას,  
ფუნგიციდიანი ხსნარით  
რწყავენ

დაკალმებისათვის საჭირო ნარევით სავსე ქოთანში პატარა პალოთი აკეთებენ ბუდნას. კალამს ჩარგავენ, ცდილობენ მოათავსონ კვირტი სუბსტრატის ზედაპირთან ერთ დონეზე. დარგვის შემდეგ მიწას გულმოდგინედ ტკეპნიან. გაუკაეთებენ ეტიკეტს და სუბსტრატს მცენარის გარშემო მორწყავენ ფუნგიციდის ხსნარით. ყინვაგამძლე (სიცივის გამძლე) კულტურების კალმები გამოყავთ ცივ კვალსათბურში. შედარებით უფრო ნაზი კალმები უმჯობესია გამოყიუვანოთ სპეციალურ კამერებში ნისლისწარმომქმნელი დანადგარებით.

**მცენარეები, რომელთა გამრავლება შეიძლება ფოთოლგირტის კალმებით**


- აფელანდრა
- ყურძენი
- გაბერლეა
- გევეა
- კამელია
- კატაბარდა
- მაგონია
- სურო
- რამონდა

### კალმები „ქუსლით“

გამრავლების ერთ-ერთი ტრადიციული ხერხია - „ქუსლის“ მქონე კალმების გამოყენება. ასეთი კალმების მოჭრა შეიძლება მზარდი მწვანე, ნახევრადგამერქნებული და გამერქნებული როგორც მარადმწვანე, ისე ფოთოლთვენია მცენარეების ყლორტებიდან.

ახალგაზრდა გვერდით ყლორტს მოაცლიან სადედე მცენარის დეროს ისე, რომ მის ბოლოში რჩება „ქუსლი“ - უფრო ძველი ქერქისა და მერქის ნაჭერი.

კალმების დამზადების ამგვარი ხერხის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოფილი იქნას შემდგომი ნორმალური ზრდა და ფესვების წარმოქმნა დეროს ქვედა ნაწილში, აგრეთვე დაგიცვათ იგი შესაძლო დალპობისაგან. გარდა ამისა, კალმის ასეთ გასქელებული ფუძეს გააჩნია ფესვწარმოქმნის მაღალი უნარი.



1.ხელით აგლეჯავენ  
კალმის ქუსლით

2.ქუსლის წვერს აჭრიან,  
აცლიან ქვედა ფოთლებს,  
სტიმილატორით ამუშა-  
ვებენ

3.ნიადაგში პალოთი აკეთებენ  
ღრმულს, რგავენ და ფუნგიცი-  
დიანი წყლით რწყავენ

კალმები „ქუსლით“ ყველაზე ხშირად მზადდება იმ შემთხვევებში, როდესაც ფესვების წარმოქმნისათვის საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი. მაგალითად ეს ეხება შემოდგომით დასარგავ კალმებს - ვინაიდან ფესვწარმოქმნამდე მათ უნდა გადაიტანონ ზამთარი (გამოიზამთრონ), აგრეთვე გამერქნებული ყლორტებიდან აღებულ კალმებს, რომლებიც გამოყავთ ცივ ავალსათბურებში. კალმები „ქუსლით“ მოიჭრება მწვანე მზარდი და ჯერ კიდევ გაუმერქნებელი ყლორტებიდან, რომლებიც ფესვიანდება ნაწილობრივ კონტროლირებად პირობებში.

მოვკიდებთ დიდ და საჩვენებელ თითებს გვერდითი ყლორტის ფუძეს, მკვეთრი მოძრაობით ქვემოთ, მოვგლეჯო მას ისე, რომ იგი მოიცლება გრძელ „კუდთან“ ერთად. თუ ის მნელად იგლიჯება, შეიძლება დავიხმაროთ დანა, ჩავჭრით რა ქსოვილს ფუძესთან გვერდითი ყლორტის გასაყარში.

კალმთან ერთად გამოყოფილი ძველი მერქის ნაჭერი მოიჭრება; იგივეს უკეთებენ ახლოსმდებარე ფოთლებს. თუ გამოიყენება ნახევრადგამერქნებული ან სრულად გამერქნებული ყლორტები, კალმებს მოაჭრიან წვერსაც. კალმის ძირს ამუშავებენ ზრდის რეგულატორებით, რომლებიც ხელს უწყობენ ფესვწარმოქმნას. გამერქნებული კალმები დაირგვება პირდაპირ გრუნტში; ნახევრადგამერქნებული კალმებისა და ბუჩქნარების ჯიშებიდან აღებული კალმების დასაფესვიანებლად გამოიყენება


ცივი კვალსათბურები. შედარებით უფრო ნაზ კალმებს აფესვიანებენ დაცულ გრუნტში ან სპეციალურ კამერებში, კალმებს უკეთებენ ეტიკეტებს და მორწყავენ ფუნგიციდის ხსნარით.

### ჩაქუჩისმაგვარი კალმები

ჩაქუჩისმაგვარი (ჩიბუხისმაგვარი) ფორმის კალმებს უტოვებენ შედარებით უფრო ძველი მერქნის ღეროს მცირე ნაწილს, რაც იცავს მათ სიდამპლით დაზიანებისაგან. ეს ხერხი ძირითადად გამოიყენება ნახევრადგამერქნებული და გამერქნებული კალმების დასამზადებლად. განსაკუთრებით წარმატებით ასეთ დაკალმებას ექვემდებარება შემოდგომის პერიოდში კოწახური.

დაკალმებისათვის ყველაზე უმჯობესია გამოვიყენოთ სუსტი ზრდის მქონე ღეროები, რომლებზეც წარმოიქმნება მცირე გვერდითი ყლორტები.

სადედე მცენარეზე ფესვწარმოქმნის უნარის მქონე ახალი ყლორტების წამოზრდის სტიმულირებისათვის, მოსვენების პერიოდში აწარმოებენ მის გასხვლას. ზაფხულის სეზონის ბოლოს სწორედ ამ ახლად წამოზრდილი ყლორტებიდან ამზადებენ ჩაქუჩისმაგვარ კალმებს. სადედე მცენარის ღეროს მოჭრიან სეკატორით მართი კუთხით უშუალოდ მისგან გამოსული გვერდითი ყლორტის თავზე. ჭრილი უნდა გაკეთდეს გადანაყართან რაც შეიძლება ახლოს.



1. ყლორტს ჭრიან ჰორიზონტალურად გვერდითი ტოტის ზემოთ

2. ქვემოთ ჭრიან 2სმ-ის დაშორებით ზემოთადან. რით ამუშავებენ და რგავენ.

ფოთლებს ძირზე აცლიან უხვად რწყევენ ფუნგიციდიანი სითხით

3. ქვედა ჭრილს სტიმულატორით აკეთებენ, შედეგად გვერდითი ყლორტი მოიჭრება პატარა „ჩაქუჩისმაგვარი“ ნაჭრით, რომელიც წარმოადგენს სადედე მცენარის ღეროს ნაწილს. თუ ღეროს სეგმენტი სქელია, მას დანით მოჭრიან. კალმიდან ქვედა ფოთლებს აცლიან.

ქვედა ჭრილს პირველისაგან დაახლოებით 2 სმ-ში აკეთებენ, შედეგად გვერდითი ყლორტი მოიჭრება პატარა „ჩაქუჩისმაგვარი“ ნაჭრით, რომელიც წარმოადგენს სადედე მცენარის ღეროს ნაწილს. თუ ღეროს სეგმენტი სქელია, მას დანით მოჭრიან. კალმიდან ქვედა ფოთლებს აცლიან.



ჩაქუჩისმაგვარი კალმის ფუძეს ამუშავებენ ფესვწარმოქმნის მასტიმულირებელი პრეპარატით. პატარა ხის პალოთი სუბსტრატში აკეთებენ საკმაოდ დიდ ბუდნას, რათა მასში ჩაეტიოს „ჩაქუჩი“ და კალმის ნაწილი. ნახევრადმომწიფებულ კალმებს რგავენ ცივ კვალსათბურში, გამერქნებულს კი ღია გრუნტში, მორწყევენ წყალში გახსნილი ფუნგიციდით.

## ნახევრად გამერქნებული კალმები

ზაფხულის ბოლოს ყლორტების ზრდა ჩერდება და იწყება მათი გამერქნების პროცესი, მათი სიმსხო მატულობს და იწყება გამერქნება, შესაბამისდ მწვანე ფერი გადადის ყავისფერში. ასეთი კალმების დაფესვიანების პროცენტი მატულობს, მაგრამ მათზე კიდევ არის ფოთლები და და ამიტომ მგრძნობიარენი არიან წყლის აორთქლების მიმართ.


ნახევრად მომწიფებულ (ნახევრად გამერქნებულ) კალმებს აქვთ საკვები ნივთიერებების შედარებით დიდი მარაგი და ამიტომ მათი ფესვების წამოქმნა მიმდინარეობს წარმატებით სუსტი განათებულობის პირობებში.

ასეთი მეთოდით მრავლდება მრავალ ფოთლლმცვენი მცენარეები, რომლებიც შედარებით იოლად ფესვიანდებიან. ასე მრავლდებიან ბევრი მარადმწვანე მცენარეები.



მოსვენების პერიოდის დასაწყისში სადედე მცენარეებს სხლავენ, საიდანაც შემდგომში ვითარდებიან ზაფხულის ყლორტები. ამ ყლორტებს დაფესვიანების მიმართ მაღალი მიღრეკილება აქვთ და ამიტომ მათგან იღებენ ნახევრად გამერქნებულ კალმებს, ვინაიდან გაუსხლავი სადედედან აღებული კალმები ცუდად ფესვიანდებიან.

ცივ სათბურში ღრმა გადაბარვით იწყება ნიადაგის მომზადება. დრენირების და წყლის დაკავების მიზნით მიწას უმატებენ ტორფს და სილას, ხოლო ზემოდან 2-3 სმ-ზე უმატებენ უფრო წვრილ კოშტოვან სილას დაფესვიანების უკეთესი პირობების შესაქმნელელად. თუ რამოდენიმე კალმის დაფესვიანებაა საჭირო, იღებენ ქოთანს, რომელშიც ყრიან დასაკალმებელ სუბსტრატს და ზემოდან 2-3 სმ-ზე მოაყრიან სილას.



7. საჭიროების მიხედვით რწყავენ, 8. ფინვების შემდეგ ანიავებენ, 9. შემოდგომაზე ფოთლების აცლიან დამჭერაზე ფოთლებს, გამოკვებავენ მიხერალური ჩამოცვენის შემდეგ ნერგებს ყინვებში ათბუნებენ სასუქებით იღებენ და რგავენ

კალმებს იღებენ მიმდინარე წლის ყლორტებიდან, რომლებიც წარმოიქმნებიან მთავარი ღეროდან, ან იღებენ მცენარის გვერდითი ზონიდან, თუ მთავარი ღეროს ზრდა შეზღუდულია.

თუ ყლორტის წერი მომწიფებული არ არის, მას აჭრიან. თუ ყლორტის ზრდა შეჩერდა, მას ტოვებენ. ზრდის ინტენსივობის და მცენარის სახეობის მიხედვით, არებულ საკალმე ყლორტებს ჭრიან 10-15 სმ სიგრძეზე. კალმის ქვედა 5 სმ-ზე არსებულ ყველა ფოთლებს აცილებენ, კალმის ქვედა გადანაჭრს ამუშავებენ ფხვნილით, რომელიც ზრდის რეგულატორებს შეიცავს. ნახევრად მომწიფებული ყლორტების შემთხვევაში იყენებნ ინდოლილცხიმის მჟავას კონცენტრაციით 0,4%.

ბალის კოლით სანერგეში აკეთებენ ღრმულებს და მასში ათავსებენ მომზადებულ კალმებს დაახლოებით 4 სმ სიღრმეზე ისე, რომ კალმის ძირები ნიადაგში იყოს მოთავსებული სილის ფენის ქვეშ. კალმებს არჭობენ რაც შეიძლება ახლო-ახლო, მკვრივად, ერთმანეთისაგან 7-10 სმ-ის დაშორებით.

ამის შემდეგ მათ რწყავენ ფუნგიციდის განზავებული ხსნარით, რაც ძირითად დანიშნულებასთან ერთად იწვევს სუბსტრატის დატკეპნასაც. სათბურს მკვრივად ხურავენ, ზემოდან აბნელებენ, რათა ფოთლები დაიცვან დაწვისაგან. თუ ტემპერატურამ  $27^{\circ}\text{C}$ -ზე ზემოთ აიწია, სათბურს ყველაზე დაბალი მხრიდან ანიავებენ, ხოლო სუბსტრატის გამოშრობის შემთხვევაში მას რწყავენ ისე, რომ შენარჩუნებული იქნას მაღალი ტენიანობა.

ვინაიდან ნახევრად გამრქნებულ კალმებს იღებენ ფოთლებიდან, მცენარეებიდან, შემოდგომაზე ისინი კარგავენ ფოთლებს, რომლებიც

სათბურიდან უნდა გავიტანოთ, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი ლპობა და დაავადებების გავრცელება.

როგორც კი ყველა ფოთლები ჩამოცვივა, სათბურებს კარგად ფუთავენ ზამთარში შედარებით მაღალი ტემპერატურის შესაკავებლად, ამასთან, ვინაიდან ამ პერიოდში კალმებს განათება არ ჭირდებათ, შეიძლება შესაფუთი მასალა არ მოვხსნეთ დღის სინათლის პერიოდში.

თუ რბილი კლიმატური პირობებია, კალმებს შედარებით სწრაფად ეწყებათ ფესვების წარმოქმნა, წინაარმდეგ შემთხვევაში ისინი წარმოქმნებიან ზამთრის ბოლოს-გაზაფხულის დასაწყისში.

ნახევრად გამერქნებულ კალმებს ტოვებენ სათბურში მომავალ სეზონამდე, რეგულარულად არარებენ მათ გამოკვებას თხევადი სასუქებით, მოთხოვნილებისამებრ რწყავენ. როგორც კი დამთავრდება წაყინვების საშიშროება, სათბურებზე გადაფარებულ შესაფუთ მასალებს იღებენ, იწყებენ დღის განათების პერიოდში სათბურის განიავებას, ჩარჩოების უმნიშვნელო აწევით. შემდეგ კვალსათბურის ან სათბურის ჩარჩოებს მთლიანად ხსნიან, რომლის დროსაც მიმდინარეოს კალმების ინტენსიური ზრდა. შემოდგომაზე დაფესვიანებულ კალმებს ფრთხილად იღებენ სუბსტრატიდან და იწყებენ მათ გადარგვას დია გრუნტში ან ქოთნებში.

## მარადმწვანე მცენარეები

მარადმწვანე მცენარეების გამრავლება მათი ტოტებიდან აჭრილი კალმებით წარმოადგენს ტრადიციულ და მაღალფექტურ მეთოდს. კალმებს იღებენ უკვე კარგად გამერქნებული და მომწიფებული დეროებიდან. ასეთი კალმების კლასიფიკაცია, როგორც გამერქნებულისა, სწორი არ არის, ვინაიდან მათზე შერჩენილია ფოთლები და არასრული მოსვენების ფაზაში იმყოფებიან. ვინაიდან მათზე ფოთლები იმყოფებიან, ზედმეტი წყლის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მათზე კონტროლის დაწესება.


ზამთარში იმ მცენარეებს, რომლებიდანაც საორიენტაციოდ კალმების აჭრაა გათვალისწინებული სხლავენ, რაც უწრუნველყოფს მათზე სწრაფად მოზარდი და ძლიერი ყლორტების განვითარებას, რომლებსაც ასევე დაფესვიანების კარგი თვისებები აქვთ.



1.ჭურჭელს ავსებენ ნიადაგის ნარევით და ტკებით  
2.ყლორტს ჭრიან მებლიდან 3.მმ-ით  
ქვემოთ

3.კალმებს ამუშავებენ სტიმულატორით,  
რგავენ ბურუსის წარმოქმნელ  
საპანში


მარადმწვანე მცენარეებს ამრავლებენ ზაფხულის ბოლოს – შემოდგომის დასაწყისში, რომლის კალმების ფესვების წარმოქმნა ზამთრის პერიოდში მიმდინარეობს (საქართველოს თბილი კლიმატის პირობებში). გამრავლების დაწყება შეიძლება უფრო ადრეულ პერიოდშიც, როცა ყლორტები ბოლომდე მომწიფებული არ არის. ასეთი ყლორტებიდან კალმებს ჭრიან იგივე მეთოდით, როგორც ნახევრად გამერქნებული ყლორტების შემთხვევაში.



1.დაფესვიანების სტიმულაციისათვის 2.კვალსათბურს  
ზამთარში ზედაპირს სხლავენ

ამზადებენ

3.წლის ბოლოს იღებენ ქუსლიან  
კალმებს მიმდინარე წლის  
ნაზარდიდან



4.ქუსლის წვერს აჭრიან,  
ზედა ყლორტს აწყვეტავენ


5.კალმის ქვედა მესამედზე  
ფოთლებს აცილებენ

6.თუ კალტურა ძნელად  
ფესვიანდება, უკეთებენ  
ჭრილებს


ნიადაგის მომზადება ცივ სათბურში ან კვალსათბურებში იწყება გადაბარვით და მასში ტორფის, ნაკელი, სილისა და წვრილი ხრეშის გადაბარვით.

ზაფხულის ბოლოს კალმების დამზადებისას მათი სიგრძე უნდა შეადგენდეს 10-15 სმ, თუმცა მათი ზომები განპირობებულია სადედე მცენარის ზომებით, აგრეთვე მისი წლიური წანაზარდით.


თუ დაფესვიანება უნდა მოხდეს არასტერილური უნდა ნიადაგში, კალამი აიჭრება “ქუსლით”, რომლის კუდი უნდა გასწორდეს. თუ კალმის წვერში უკვე კვირტებია წარმოქმნილი, მათ ტოვებენ, მაგრამ თუ ასეთი ყლორტის ვეგეტატიური ზრდა გრძელდება, მას წვერს აჭრიან.




7.ქუსლის გადაჭრილ მხარეს სტიმულატორით ამუშავებენ




8.დიდ ფოთლებს ამოკლებენ




9.კალამს კვალსათბურში ფოთლებამდე რგავენ



10.კალმებს ფუნგიციდიანი ხსნარით რწყავენ



11. კვალსათბურს ხურავენ და ჩრდილავენ




12. პერიოდულად კალმებს რწყავენ

კალამის მესამედის ან ნახევრის ქვემოთ ფოთლებს აცლიან, თუ ძნელად დასაფესვიანებელ კულტურებთან გვაქვს საქმე (მაჯაღვერი, დიდყვავილა მაგნოლია, ფშავი და სხვ), კალმების ძირზე აკეთებენ 2-3 სმ სიგრძის გერტიკალურ განაჭერს.

ასეთი კალმების ძირებს ამჟამავებენ ზრდის რეგულიატორი ნივთიერებების ფხვნილით. პრეპარატის კონცენტრაციას საზღვრავენ გამერქნების დონის შესაბამისად (ინდოლილცხიმ მუავას – 0, 8%, ჰორმოდინი -3%). ფხვნილმა მოლიანად უნდა დაფაროს გადაჭრით წარმოქმნილი ჭრილობა.

სივრცის ეკონომიურად გამოყენებისათვის დარჩენილ ფოთლებს სანახევროდ აჭრიან.



13.დამჭერარ ფოთლებს აცილებენ, 14.გაზაფხულზე კალმებს 15.შემოდგომაზე ნერგებს ყინვებში ათბუნებენ აწრობენ ამოთხრიან და გადარგავენ

კალმებს რგავენ ცივ სათბურში წინასწარ მომზადებულ ნიადაგში, პალოთი გაკეთებულ ღრმულებში, როლებშიც კალმებს არჭობენ ფოთლებამდე. ფოთლები შეიძლება ეხებოდნენ, მაგრამ არ უნდა ფარავდნენ ერთმანეთს, ვინაიდან ერთმანეთზე დადებულ ფოთლებს შორის შეიძლება წარმოიქმნას წყლის აფსკი, რომელიც ლპობის ბაქტერიების გამრავლების იდეალური არე გახდება.

დაკალმებულ ყლორტებს რწყავენ ფუნგიციდნარევი სითხით და კვალსათბურს ან სათბურს მოლიანად ხურავენ. ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის და ე.ი. მცენარეთა გადახურების თავიდან ასაცილებლად სათბურებს ბურავენ კირის ხსნარის შესხურებით ან ბადის გადახურვით. შემოდგომის პირას დაბურვა შეიძლება მოცილდეს. საჭიროებისდა მიხედვით ნარგაობას რწყავენ, ერთდროულად შეაქვთ ფუნგიციდებიც.

სათბურს რეგულიარულად ათვალიერებენ, აცილებენ ჩამოცვენილ ფოთლებს და გამხმარ კალმებს, ხოლო წაყინვების პერიოდში მათ ათბუნებენ. ამ კალმებს ერთიდაიგივე ადგილზე ტოვებენ მთელი ვეგეტაციის განმავლობაში, ხოლო შემოდგომაზე იწყებენ მათ გადარგას. მარადმწვანე მცენარეების დაფესვიანებული ნერგები ამოღების დროს განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს.

### ბურუსის წარმოქმნელი დანადგარის გამოყენება

ზამთარში სადედებს სხლავენ. ზაფხულის ბოლოს მოზარდი ყლორტებიდან ჭრიან კალმებს 10-15 სმ სიგრძეზე. ქვემოთა მხარეს აჭრას აკეთებენ ირიბად, ხოლო ზედა მხარეს მართი კუთხით. კალმის წვედა მხარეს აცლიან ფოთლებს, მნელად დასაფესვიანებელი კულტურების კალმებს უკეთებენ

პატარა ვერტიკალურ ჭრილებს, ამუშავებენ ზრდის სტიმულიატორებით. კალამზე დიდ ფოთლებს ნახევარ ზედაპირს აჭრიან, ნიადაგში პალოებით აკეთებენ ღრმულებს და შიგნით ათავსებენ კალმებს. დაკალმებულ მცენარეებს რწყავენ ფუნგიციდიანი წყლით და კალმებს ათავსებენ ბურუსის წარმომქმნელ აგრეგატიან საკანში.

ამ დროს სუბსტრატი ზედმეტად არ უნდა დავატენიანოთ, ვინაიდან ზამთარში, ცუდი განათებულობის და დაბალი ტემპერატურების დროს ის მეტად ნელა შრება. კალმების დაფესვიანების შემდეგ მიმართავენ მათ წრთობას, ხოლო გაზაფხულზე იწყებენ გადარგვას.

## გამერქნებული კალმები

გამერქნებული კალმებით მცენარეების გამრავლება ყველაზე გავრცელებული და ადვილი ვეგეტატიური ხერხია. გამერქნებულ კალმებს ამზადებენ (აჭრიან) მცენარეთა მოსვენების პერიოდში. ფოთოლცვენადი მცენარეების შემთხვევაში იყენებენ სრულად მომწიფებულ ყლორტებს. ვინაიდან მათი ღეროები ამ დროს ფოთლებით არ არიან დაფარული, წარმატებული გამრავლებისათვის დაწესებული კონტროლი ამ დროს მინიმალურია.

როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც კალმების წარმატებული დაფესვიანებისათვის მთავარია დედა მცენარის მომზადება, რომელიც მის მძიმედ (ძლიერად) გასხვლაში გამოიხატება. ასეთი გასხვლით მცენარეზე ვითარდება ყლორტები, რომელთა დაკალმების შემთხვევაში დაფესვიანება ინტენსიურად მიმდინარეობს.

## გამერქნებული კალმების დამზადება.

ყლორტის ზრდის სიჩქარე იცვლება მთელი წლის განმავლობაში. იგი მაქსიმალურია გაზაფხულზე და შემოდგომაზე მკვეთრად მცირდება და ზრდა ბოლოს წყდება. თვით ვეგეტაციის პერიოდის ბოლოსაც კი ერთწლიანი ყლორტის ძირს აქვს დაფესვიანების დიდი უნარი, რაც უნდა გავითვალისწინოთ ერთწლიანი კალმების აჭრის და დამზადების დროს. მაგრამ ეს ეხება არა ყველა მცენარეებს, მაგ. წითელი მოცხარის ზედა ნაწილში აჭრილი კალმები უკეთესად ფესვიანდება, ვიდრე ქვემოთ აჭრილის შემთხვევაში.

ადვილად დასაფესვიანებელ მცენარეების (შავი წიწაკა, ტირიფი, ალვის ხე, მოცხარი) ყლორტის ნებისმიერი ნაწილიდან აჭრილი კალამი ადვილად ფესვიანდება. ზოგიერთი ძნელად დასაფესვიანებელი მცენარეების (ქლიავის სხვადასხვა სახეობები) კალამი უნდა აიჭრას ისე, რომ მის ძირზე დარჩეს ყლორტის გამსხვილებული ნაწილი.

გამერქნებული კალმები შეიძლება დამზადდეს მოსვენების მთელი პერიოდის განმავლობაში, მაგრამ ყველაზე კარგი შედეგები მიიღწევა ფოთოლცვენისა და ფოთლების კვირტების გაშლის წინ აჭრილი კალმების შემთხვევაში. დაფესვიანების ყველაზე დაბალი შედეგები მიიღწევა შეა ზამთარში აღებული კალმებიდან.

კალმები, რომლებიც კვირტების გახსნამდე პერიოდშია აჭრილი, დასფესვიანებლად უნდა მოთავსდნენ დახურულ გრუნტში, მაგალითად ცივ სათბურში. დაკალმების დრო ისე უნდა შეირჩეს, რომ კვირტებმა ვერ მოასწრონ გახსნა, ვინაიდან ამ დროს წყლის ინტენსიურად მოხმარების გამო ყლორტები დაიღუპებიან. ამიტომ დაკალმებისათვის უფრო საიმედო პერიოდია

ფოთოლცვენის დრო, როცა კალმები შეიძლება დაირგოს უშუალოდ დია გრუნტში.



1.მოსვენების პერიოდში ბუჩქი ძლიერად ისხვდება

2.შემოღომაზე დეროებს ფოთლებს აცლიან

3.მ წლის გამერქნებულ კალმებს აჭრიან და ამზადებენ


ნაადრევი ფოთოლცვენა ხდება მაშინ, როცა სიცხისა და ქარის ზემოქმედებით ფოთლების გაკორპებული ყუნწები მცენარეს ცვივა და იყრება, აგრეთვე წვიმისა და წაყინვების დროს. შერჩეულ მცენარეებზე ფოთოლცვენა ხელოვნურადაც შეიძლება გამოვიწვიოთ. თუ ტოტს ხელს გაგაყოლებთ ფოთლების საწინააღმდეგო მიმართულებით და ფოთლები ადვილად დაიწყებენ მოცილებას, ეს იმას ნიშნავს რომ ფოთლების ყუნწების ძირები გაკორპებულია და დაკალმების დროც მოვიდა.

### გამერქნებული კალმების ზომები

ჩვეულებრივ კალმებს ამზადებენ 25-35 სმ სიგრძისას, მაგრამ უკეთესია მათი უფრო მოკლედ დაჭრა. გამერქნებული ყლორტები კარგავენ წყალს იმ შემთხვევაშიც, როცა ფოთლები აღარ აქვთ. ასეთი ყლორტებიდან დამზადებული კალმები ფეხებს ცუდად ინვითარებენ და იღუპებიან. წყლის დაკარგვის და გახმობის თავიდან ასაცილებლად კალმები უნდა მოვათავსოთ ნიადაგში უფრო ღრმად ისე, რომ მიწის ზემოთ დარჩეს მათი უმნიშვნელო ნაწილი, მაგრამ ძალიან ღრმად მოთავსების შემთხვევაში შეიძლება არ მოხდეს კვირტების გამოტანა და გახსნა. ამიტომ მიწის ზემოთ უნდა დავტოვოთ მინიმუმ 3 კვირტი მაინც. პრაქტიკაში კალმებს ნიადაგში ათავსებენ ისე, რომ მე-3 კვირტი ზუსტად ნიადაგის ზედაპირზე ხვდება და ამ დროს ზრდა არ არის შეჩერებული. ამიტომ მცენარეთა უმრავლესობისათვის საკმარისია მიწის ზედაპირიდან 2-3 სმ-ზე კალმის დატოვება.

კალმებზე ფეხების წარმოქმნა ხდება დეროს გასწვრივ და გადანაჭერის ძირზე. ღეროზე წარმოწმნილი ფეხები ნელ-ნელა ქრებიან და ახალი მცენარის ფეხვთა სისტემა ფორმირებას იწყებს ძირითადად საბაზისო ფეხებზე, რომლებიც განთავსებულია კალმის ძირზე. საბაზისო ფეხების სწრაფ ზრდას

ხელს უწყობს გადანაჭერის დამუშავება ზრდის რეგულიატორებით, აგრეთვე კარგი აერაცია. საუკეთესო აერაციის რეჟიმი იქმნება ნიადაგის ზედა 5 სმ-იან ფენაში.



4.კვირტის თავზე კალამს  
ირიბად ჭრიან


5.15 სმ-ით ქვემოთ  
პორიზონტალურად  
ჭრიან

6.ქვედა ჭრილს ამუშავებენ  
ზრდის რეგულატორით  
ჭრიან

მიუხედავად ამისა ნიადაგში 5 სმ-ზე მოთავსებული კალამი, რომელიც მიწის ზედაპირიდან 3 სმ-ზეა ამოწეული, საკმაოდ მოკლეა (შეადგენს 8 სმ) იმისათვის რომ გადარჩეს არახელსაყრელ პირობებში: ის შეიძლება სწრაფად გამოშრეს, პატარა სიგრძე არ მიცემს მას საშუალებას ნიადაგში კარგად დამაგრდეს, და ბოლოს, ასეთ კალამში სამარაგო ნივთიერებების რაოდენობა აშკარად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მან უგნებლად შეინაჩუნოს არსებობა მოსვენების პერიოდში. ყველა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კალმის სიგრძეს, როგორც წესი ზრდიან 15 სმ-მდე.

იმისათვის რომ ინტენსიური დაფესვიანების სტიმულირება მოხდეს სადედე მცენარეში, მოსვენების პერიოდში, მიმართავენ მის მოკლედ (მძიმე) სხვლას. როცა ფოთლები ჩამოცვენას დაიწყებენ, სეკატორით იწყებენ გამერქნებული ყლორტების აჭრას. აკეთებენ სუფთა ანაჭრებს, რათა სადედე მცენარეზე არ დარჩეს ჭრილობები. უშუალოდ კალმის ზედა მხარეს აკეთებენ ირიბ გადანაჭერს, ხოლო ქვემოთ პორიზონტალურს. ქვედა პორიზონტალურ გადანაჭერს აკეთებენ ზედა გადანაჭრიდან 15 სმ-ზე, იმისდა მიუხედავად თუ რა მანძილზეა უახლოესი კვირტი.

კალმის ძირს (და არა თვით დეროს) ამუშავებენ ზრდის რეგულიატორის ფხნილით, რომელიც დაფესვიანებას უწყობს ხელს. კონცენტრაცია, მაგალითად ინდოლილცხიმის მუკისა ასეთი კალმებისათვის უნდა იყოს 0,8%. თუ დაკალმება ხელსაყრელ დროს ტარდება, ამისათვის შესფერისი კალმებით, რეგულიატორების გამოყენება შეიძლება არ დაგჭირდეს, გარდა ძნელად დასაფესვიანებელი კულტურების შემთხვევებისა. აჭრილი კალმები იკვრება კონებად 10-12 ცალი, რომლებიც ეწყობა სილიან ყუთში თითქმის მთელი ზამთრის განმავლობაში. შესაძლებელია ასეთი მასალის პირდაპირ მომზადებულ ადგილას დაკალმებაც.



7.კალმების კონქს სილიან  
უფეხში ინახავენ

8.ტეირტების გაშლის წინ  
აკეთებენ 12-13 სმ-იან  
კვლებს

9.კალმების სილიდან იღებენ  
და ათავსებენ ვერტიკალურად  
კვლებში


ადვილად დამფესვიანებელი კალმები კარგად იტანენ ღია გრუნტში გამოზრდას, მაშინ როცა ძნელად დასაფესვიანებელი სახეობები უკეთესია გამოვზარდოთ ცივ სათბურში შედარებით მაღალი ტემპერატურის პირობებში, სადაც არ არის აშკარად გამოხატული გარემო პირობების ცვალებადობა.

გაზაფხულზე კვირტების გამოდვიძების წინ, კვალსათბურებში ან სათბურებში გადაბარავენ ნიადაგს, სადაც კალმების შემდგომი ზრდა უნდა გაგრძელდეს, ნიჩბით ოხრიან 12-13 სმ სიღრმის კვლებს, მასში ვერტიკალურად 10-15 სმ-ის დაშორებით რგავენ სილიანი ყუთიდან ამოღებულ კალმებს. რიგთაშორისი ღია გრუნტში უნდა შეადგენდეს 30-40 სმ, სათბურში მხოლოდ 10 სმ-ს. კალმებს ასეთ მდგომარეობაში ტოვებენ მთელი ზაფხულის განმავლობაში. შემოდგომაზე დაფესვიანებული კალმები, რომლებიც ამ დროისათვის უკვე დატოტვილია, ამოითხრება და გადაირგვება ბალში მათოვის სამუდამოდ განკუთხნილ ადგილას შესაბამისი კეების არით.

ცივ სათბურში ან კვალსათბურში გამოზრდილ კალმებს ესაჭიროებათ დათბუნება მანამდე, სანამ არ დაეწყებათ ფესვების განვითარება. ამის შემდეგ იწყებენ მათ გამოწროობა-გაკაუებას. წრობის დაგვიანება არ შეიძლება, ვინაიდან ზაფხულის მოახლოებასთან ერთად ამ დონისძიების ჩატარების შანსები კლებულობს.


### ერთდეროიანი ფორმირება

კალამზე ერთი მკვეთრად გამოხატული ნაზარდის მისაღებად მხოლოდ ზედა ერთ კვირტს აძლევენ შესაძლებლობებს განვითარებისათვის. აკალმებენ ვერტიკალურად ისე რომ კალამი მთლიანად ნიადაგშია მოთავსებული და ძლივს ჩანს მხოლოდ კალმის წვერი. ასეთ შემთხვევაში ქვედა კალმების განვითარება ითრგუნება და განვითარებას იწყებს მხოლოდ ზედა კვირტი, რომლიდანაც მიიღება მხოლოდ ერთი ყლორტი.



### კვირტების დაბრმავება

ზოგჯერ საჭიროა ისეთი მცენარის მიღება, რომელსაც აქვს მხოლოდ ერთი ღეროიანი ვარჯი (შტამბი), რომელიც შემდეგ დაიტოტება მის ზედა ნაწილში. ასეთი მცენარეების მისაღებად ამზადებენ შედარებით გრძელ კალმებს. დაკალმების შემდეგ მიწის ზედაპირის ზემოთ მათ უტოვებენ ასევე გრძელ ღეროს, რომელზედაც შეიძლება განვითარდენ არასასურველი კვირტები და რის გამოც ვერ მივიღებთ სასურველ ერთშტამბიან მცენარეს.



10.ნიადაგს ტკეპნიან, ზემოთ  
ტოვებენ კალმის თავებს  
2-3 სმ სიმაღლეზე


11.კინვების დროს მიწის  
აფუების გამო კალმებს  
კელავ აღმავებენ და  
ნიადაგს ტკეპნიან

12.შემდეგ შემოდგომაზე  
ნერგებს იღებენ და  
ახალ ადგილას რგავენ

გვერდითი ტოტების განვითარების თავიდან ასაცილებლად, შემოდგომაზე კალამს ყველა კვირტებს აცლიან 3 წელის კვირტის გარდა. ამ პროცესს “კვირტების დაბრმავება”-ს უწოდებენ. კვირტებს აჭრიან ზედაპირულად, რისთვისაც იყენებნ კარგად გალესილ დანას, ამასთან აკვირდებიან, რათა კალამზე არ დარჩეს მძინარე კვირტები. ამ მეთოდით სასურველი ნერგის მიღება ბევრად იოლია, ვიდრე განვითარების შემდეგ გვერდითი ყლორტების მოცილება. ხურტამელს და წითელ მოცხარს ჩვეულებრივ ამრავლებენ 25-35 სმ-იანი კალმებით, რომელზეც აცლიან ქვედა კვირტებს, რის შედეგად ბუჩქს

უნგითარდება მხოლოდ ერთი დერო. ამის შედეგად გაადვილებულია დეროს ირგვლივ ჰაერის ცირკულაცია და მცირდება ნაცრით დაავადების რისკი.

ვარდის ნერგების მისადებად კალმებს იღებენ მისი მეჩხერი ბუჩქიდან აჭრილ 20-სმ სიგრძის ლაკმებს, რომლებსაც ასევე აცლიან ყველა კვირტებს კენტრული 2 კვირტის გარდა. ეს იცავს მომავალ მცენარეს ურგებელი გვერდითი ტოტების განვითარებისაგან.



1.იღებენ 15 სმ-იან კალამს,  
ადნობენ ჰარაფინს ან  
სანთელს

2.კალმის მირს სანთელში  
ამოავლებენ

3.ჭრილს აკეთებენ უშუალოდ  
ფოთლის მუხლზე, 15 სმ-ით  
კალმის წვერიდან

კალმების გადანაჭრების ლპობისა და დაავადებებისაგან დასაცავად მათ ზედაპირს ფარავენ სანთლით ან სპეციალური საღებავით. ჭრილებზე კალიუსი უამისოდაც წარმოიქმნება, მაგრამ თუ ჰაერის ტენიანობა საქმარისად მაღალი არ არის, კალმები შეიძლება გახმეს. ამიტომ უმჯობესია გადანაჭრების სანთლით, ბაღის მაღამოთი ან საღებავით დაფარვა, რომლებიც გამოიყენება კალმების დამზადების დროს.

იმ კალმებს, რომლებიც დამუშავებული არიან ზრდის სტიმულიატორებით, დარგვის შემდეგ მონიშნავენ სპეციალური ეტიკეტით. ვარდებს უტოვებენ ზედა 2 კვირტს, კალმის მიწისზედა ნაწილი უნდა იყოს საქმაოდ გრძელი, რათა მათზე შესაძლებელი იყოს სასურველი ჯიშის მცენარეების დამყნობა.

ხურგკმელის და წითელი მოცხარის კალმებს ნიადაგში ისეთ სიღრმეზე ათავსებენ, რომ ზედა 3 კვირტი დაახლოებით 5 სმ-ით ზემოთ იყოს ნიადაგის ზედაპირიდან. როცა შემოდგომაზე ნერგებს გადარგავენ, მათზე უკვე დიდი რაოდენობით დეროებია განვითარებული.

### რბილ გულგულიანი დეროები

მრავალი ხემცენარესათვის დაკალმების აღწერილი მეთოდები არ გამოდგება, ვინაიდან მათი დეროები ამოვსებულია ფხვიერი გულგულით ან საერთოდ ცარიელია. მათი გადაჭრა ხშირად ხელს უწყობს ლპობისა და დაავადებების განვითარების პროცესებს, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს კალმების დაღუპვას.

ამ პრობლემის მოგვარება შეიძლება ორი გზით: 15 სმ-იანი კალამი იჭრება და ივსება გადანაჭრი სანთლით ან გადაჭრა ხდება დეროს მუხლის ქვემოთ, რომელშიც მოთავსებულია ფოთლის კვირტი. ამ ორიდან ერთ-ერთი მეთოდით

აჭრილი კალმები დაფესვიანდება არანაკლები წარმატებით, ვიდრე ჩვეულებრივი კალმების შემთხვევაში.

პირველ შემთხვევაში ადნობენ მცირე რაოდენობის სანთელს (პარაფინს), 15 სმ-იან კალმებს დებენ მასში და მაშინათვე იღებენ. გამაგრებული სანთელი მყისიერად და საიმედოდ ხურავს გადანაჭრის ზედაპირს. სანთელი არ უნდა იყოს ძალიან ცხელი, რათა არ დააზიანოს მცენარე.


ეს მეთოდი საკმაოდ მოსახერხებელია, მაგრამ თვალყური უნდა ვადევნოთ, რათა არ დავაზიანოთ სანთელი შემდეგი მანიპულიაციებისას: კონებად შეკვრის, ჩამარხვის, სილიდან ამოღებისა და დაკალმების დროს.

მე-2 მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქვედა გადანაჭერი კეთდება მუხლის ზონაში, სადაც გულგული მნიშვნელოვნად მკვრივია. გადანაჭერი მდებარეობს მუხლის ოდნავ ქვემოთ, დაახლოებით იგივე ადგილზე, სადაც იჭრება 15 სმ-იანი კალამი. არის მცენარეები, რომელთა მუხლებს შორის მანძილი საკმაოდ დიდია, ზოგჯერ 20-23 სმ.

რბილ გულგულიანი მცენარეების კალმები უნდა აიჭრას დანით და არა სეკატორით, ვინაიდან თუ სეკატორი ძალიან კარგად არ არის გალესილი, მას შეუძლია დეროს გაჭყლება.

### მხვიარა მცენარეების დაკალმება

ქვემოთ აღწერილი მეთოდი ძირითადად ეხება მხვიარა მცენარეებს, თუმცა ის გამოდგება სხვა მცენარეებისთვისაც. აქ საჭიროა დეროებს ქონდეთ მკვრივი გულგული და ეს მცენარეები ინგითარებდნენ გამერქნებული დეროებს. ასეთი კალმები ფაქტიურად წარმოადგენ ფოთოლ-კვირტიანი მცენარეების ექვივალენტს.



1.მოსვენების პერიოდში სადედე მცენარეს მძიმედ სხლავენ


2.ქოთანს ავსებენ ნიადაგის ნარევით და ტკეპნიან

3.მიმდინარე წლის ნაზარდს ჭრიან, როცა ფოთოლები ჩამოცვინდება

მოსვენების პერიოდში იწყებენ სადედის გასხვლას, რათა გააძლიერონ ყლორტების ზრდის სტიმულირება.

პატარა ქოთანს აავსებენ დაკალმებისათვის მომზადებული ნარევით და ზედაპირს მოტკეპნიან ისე, რომ მისი ზედაპირი დაახლოებით 1 სმ-ით ქვემოთ დარჩეს ქოთნის კედლის თავიდან.

შემოდგომაზე, როცა დაიწყება ფოთოლცვენა, სადედე მცენარიდან აჭრიან კალმებს, რომლებიც გაიზარდა მიმდინარე წელს. ერთ მუხლზე აკეთებენ ირიბ გადანაჭერს (ჩიბუხის მიღავი არ უნდა დარჩეს, ვინაიდან ის შეიძლება დაავადდეს და გამოიწვიოს კალმის დაღუპვა). დაახლოებით 4 სმ-ით ქვემოთ კალამი უნდა გადავჭრათ პორიზონტალურად, ამასთან, თუ ეს მცენარეები ძნელად ფესვიანდებიან, ასეთი კალმების ქვედა მხარე ბასრი დანით უნდა დაისეროს კვირტის მოპირდაპირე მხარეს.




4.ქვედა ჭრილს ზედადან  
4 სმ-ზე აკეთებენ

5.კვირტის მეორე მხარეს  
აკეთებენ პატარა გრძივ  
აქერცვლას

6.ზედაპირებს ზრდის რეგუ-  
ლატორებით ამუშავებენ და  
ქოთანში რგავენ

კალმის დასერილ (გაქერცლილ) ქვედა მხარეს ათავსებენ ზრდის სტიმულიატორის ფხვნილში, რომლის კონცენტრაცია შეესაბამება გამერქნებული კალმების ნორმას. მომზადებულ სუბსტრატში პალოთი აკეთებენ ვერტიკალურ ღრმულს და შიგნით ათავსებენ კალამს ისე, რომ კვირტი აღმოჩნდეს მიწის პირას. თვითონეულ ქოთანში ათავსებენ თითო-თითო კალამს.




7.კალამს კვირტის დონემდე  
ტკეპნიან და ეტიკეტს უკეთებენ  
სტელაჟზე დგავენ  
და რწყავენ

8.ქოთანს სათბურის  
გაზაფხულზე დია გრუნტში  
გადარგავენ

ქოთანს უკეთებენ ეტიკეტს და დებენ სათბურის სტელაჟზე ან სხვა ანალოგიურ პირობებში, სადაც რაც უფრო თბილა, მით სწრაფად მოხდება რეგენერაცია. მცენარეები რომ არ გამოშრენ, მათ რწყავენ, ხოლო ზამთარში, როცა კალმები მოსვენების პერიოდში არიან, ძალიან უხვი წყლის ნორმებით მორწყვა არ შეიძლება. ამ დროს ნიადაგი ზედმეტად ტენიანდება, რაც კალმების ლპობასა და დაღუპვას იწვევს. როცა კალმები დაფესვიანდება, იწყებენ მათ წრობას. გაზაფხულზე ნერგები სათბურიდან გააქვთ და რგავენ დია გრუნტში.

### წიწვოვანი მცენარეები

წიწვოვანი მცენარეები ძირითადად წარმოდგენილი არიან მარადმწვანე და ბუჩქოვანი მცენარეებით. ბევრი მათგანი შეიძლება გამრავლდეს მწვანე, ნახევრად გამერქნებული ან გამერქნებული კალმებით. ვერცხლისფერი ნაძვი, სოჭი, ფიჭვი დაკალმებით ძნელად ფესვიანდებიან და მათ ძირითადად თესლით ამრავლდებენ, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში კი მყნობით.



წიწვოვანი მცენარის ზედა ანუ მთავარი ყლორტები, შუა ანუ გვერდითი ყლორტები და ქვედა ანუ სუსტი ყლორტები

წიწვოვანი მცენარეების კალმები გამოყავთ თბილ გარემოში, მაგალითად თბილ საკანში ან ცივ სათბურში, რაც არ მოქმედებს დაკალმების ვადებზე.

კვიპაროსის კალმების დამზადება წარმოებს შემოდგომით ან ზამთარში, ხოლო ურთხელის და ღვიას კალმებს წლის დასაწყისში, მას შემდეგ რაც სადედებებმა გაიარეს ზამთრის სიცივეები.

კალმების აღება უკეთესია ჩატარდეს ახალგაზრდა, აქტიურად მოზარდი მცენარეებიდან, მაგალითად რეგულარულად სხვლადი მწვანე ღობეებიდან, ვინაიდან ხშირი გასხვლების გამო ისინი იძლევიან მძლავრ ყლორტებს. დაკალმებისათვის უკეთესია გამოვიყენოთ მცენარის ზედა ნაწილიდან აღებული კალმები. მცენარეების ქვედა ნაწილიდან აღებული კალმები ხშირად იზრდებიან ამ სახეობისათვის არადამახასიათებელ გარემოში, სპეციფიკური ზომის ყლორტებს ინვითარებენ და ხშირად პორიზონტალურ სიბრტყეში იზრდებიან.


წიწვოვანი მცენარეების კალმები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ზრდის ხასიათის მიხედვით. არსებობს მთავარი (ძირითადი) ყლორტები, რომლებიც განსაზღვრავს ტოტის ზრდას. გვერდითი ყლორტები, რომლებსაც

ასევე ახასიათებს საკმაოდ მძლავრი ზრდა და სუსტი გვერდითი ყლორტები შეზღუდული ზრდით.

დაფესვიანებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცენარის ზედა ნაწილიდან დაუზიანებელი კალმების შერჩევა, რომლებიც ნორმალურ პირობებში იზრდებიან და აქ არ გამოდგებიან გვერდითი სუსტად მზარდი ყლორტების კალმები. თუ ზედა წვეროვანი ზონა მცენარეს არა აქვს, ყლორტები ინტენსიურად ვითარდებიან დაბუჩქებულ მცენარეზე, რომლებიც ხშირად გვხვდება ოქროსფერი ფორმების მცენარეებში.

### წიწვოვანი მცენარეების გამრავლება თბილ პირობებში


კალმების დასაფესვიანებლად დახურულ გრუნტში, მაგალითად ბურუსისწარმომქმნელი დანადგარიან საკანში, გამოიყენება შედარებით რბილი მერქნიანი ხეებისათვის, სადაც ისინი კარგად ვითარდებიან.



ჭურჭელს ავსებენ დასაკალმებელი ნარევით და მსუბუქად ტკეპნიან მას ისე, რომ ჭურჭლის თავი 1 სმ-ით ზემოთ იყოს სუბსტარატის დონიდან.

წიწვოვანი მცენარეების წვერს აქვს მწვანე შეფერილობა, რომელიც ქვემოთ თანდათან გადადის ყვითელში და ბოლოს ყავისფერში. სადედე მცენარიდან კალმებისათვის ჭრიან მთავარ ან გვერდით ყლორტებს, რომლის დროსაც ჭრიან დაახლოებით 6 მმ-ით ქვემოთ იმ ადგილიდან, სადაც იწყება ყავისფერი შეფერილობა. ამიტომ კალამი უპირატესად მწვანე იქნება და ძირში ექნება გამერქნებილი ქსოვილის უმნიშვნელო ნაწილი.

კალმის ქედა ნაწილს (2,5-4,0 სმ ძირიდან) აცლიან ყველა ფოთლებს (წიწვებს). ზრდის წერტილის დაზიანება არ შეიძლება. ძირს ამჟღავნებენ ზრდის სტიმულიატორების ფხვნილით. სუბსტრატში ხის პალოთი აკეთებენ 2-3 სმ-იან ღრმულებს და შიგნით ათავსებენ კალამს, სუბსტრატს კიდევ ტკეპნიან. დაშორება კალმებს შორის უნდა იყოს 4-5 სმ, ჭურჭელს უკეთებენ ეტიკეტს და გამაფრქვეველით რწყავენ. 3-4 თვის შემდეგ კალმები იწყებენ დაფესვიანებას, რომლებსაც გაზაფხულზე უტარებენ წრობას და ლია გრუნტში გადააქვთ.




4.ხის პალოთი გაკეთებულ ღრმულებში ათავსებენ

5.რწყავენ და ათავსებენ ბურუსის წარმომქმნელ საკანში

6.გახაფხულზე დაფესვიანებულ ხერგებს აწრობენ და ცალკე ქოთნებში რგავენ

### წიწვოვანი მცენარეების გამრავლება კვალსათბურში

წიწვოვანი მცენარეების კალმების დაფესვიანება კვალსათბურში უფრო მარტივია მაგრამ უფრო დიდი დრო ჭირდება.



1.კვალსათბურში შეაქვთ ახალი სუბსტრატი


2.ზღიერი მთავარი ან გვერდითი ყლორტიდან იღებენ კალმებს

3.ქუსლის გრძელ წვერს ამოკლებენ

კალმების აჭრამდე მათთვის სათბურში კვლებს ამზადებენ. კვალსათბურში ნიადაგის ზედაპირის დონეს კედლებთან შედარებით 15-20 სმ-ით ქვემოთ ასწორებენ, რაც შესაძლებლობას ხდის კალმების დაფესვიანების პროცესში შენარჩუნებული იქნას საჭირო ტენიანობა და ტემპერატურა.

იმისათვის რომ “ქუსლიანი” კალმები დავამზადოთ, სადედე მცენარეზე კალამს ვამტვრევთ ხელის ქვემოთ მოძრაობით. “ქუსლიანი” კალმის ბოლოში არსებულ შედარებით გამერქნებულ წვერს ბასრი დანით ფრთხილად ჭრიან. დანით ან ხელით კალმის ქვედა მესამედ ნაწილზე არსებულ ფოთლებს/წიწვებს

მთლიანად აცლიან. ამ დროს კალამზე წარმოქმნილი უმნიშვნელო ჭრილობები დაფესვიანების სტიმულირებას ახდენს. ზრდის ზედა წვერს ხელს არ ახლებენ.




4.ხელით ან დანით აცლიან  
წიწვებს კალმის 1/3-ზე

5.ჭრილის ზედაპირს ამუშა-  
ვებები ზრდის რეგულატორით

6.2-3 სმ-ის ღრმულებში რგავენ  
და მიწას გარშემო უტკეპნიან

კალმის გადაჭრილ ძირს ამუშავებენ ზრდის რეგულიატორის ფხვნილით (0,8% ინდოლილციმის მჟავა ან ჰორმონინი). კვალზე ხის პალოთი აკეთებენ ღრმულებს და 2-3 სმ სიღრმეზე 5-5 სანტიმეტრი დაშორებით ათავსებენ კალმებს, რომელთა ირგვლივ ნიადაგს ტკეპნიან. დაკალმებულ ნიადაგს რწყავენ გაფრქვევით წინასწარ მომზადებული რომელიმე ფუნგიციდნარევი სითხით. ამის შემდეგ კვალსათბურის ჩარჩოებს და სათბურის ფანჯრებს ხურავენ.



7. 5 სმ-იანი დაშორებით რგავენ  
კალმებს, ფუნგიციდიანი წელით  
რწყავენ, ჩარჩოს ხურავენ

8.ყინვების დროს  
ათბუნებენ

9.ზაფხულში კალმებს ჩრდილავენ.  
შემოდგომაზე იღებენ და გადა-  
რგავენ

გინაიდან კალმები ასეთ პირობებში ერთი წლის განმავლობაში უნდა იზრდებოდნენ, კვალსათბურში ან სათბურში უნდა გიზრუნოთ იდეალური


სისუფთავის შესანარჩუნებლად. ცივ ამინდში სათბურებს აფარებენ დასათბუნებელ საშუალებებს. როგორც კი ყინვების საშიშროება გაივლის, დათბუნებას ხსნიან.

კალმებს ზაფხულამდე ხელს არ ახლებენ, ხოლო ზაფხულში მას რეგულარულად ჩრდილავენ და ანიავებენ, მცენარეების გადახურების თავიდან ასაცილებლად იყენებენ ადვილად ჩამოსარეცხი კირით შეთეთრებას ან სპეციალურ ბადეს. საჭიროების მიხედვით ნარგავებს რწყავენ დაწვიმებით.

შემოდგომაზე დაფესვიანებულ მცენარეებს ფრთხილად იღებენ ნიადაგიდან და გადარგავენ ლია გრუნტში (შემდგომში მაღალ ფასებში რეალიზაციისათვის) ან ქოთნებში (იმავე პერიოდში სარეალიზაციოდ).

### ყუნწიანი ფოთლებით გამრავლება

ყველაზე მარტივი მეთოდი მცენარეთა გამრავლებისათვის არის ყუნწიანი ფოთლების გამრავლება დაკალმების მეთოდით. ამ მეთოდის ერთადერთი ნაკლია გახარების დაბალი კოეფიციენტი. ამ ნაკლის ძირითადი მიზეზი ფოთლის ყუნბის მიღრეკილებაა ლპობისა და დაობების მიმართ. ამიტამ საჭიროა ინსტრუმენტების, სუბსტრატის და მცენარის ორგანოების სისტემატიური დეზინფექცია.



1. ჭურჭელს ავსებენ ტორფის და ქვიშის თახაბარი ნარევით 2. მცენარეს მთლიანად აჭრიან დაუზიანებელ ფოთოლს

3. ბასრი დანით ტოვებენ 5 სმ-იან ყუნწს


ოთახის ყვავილების ფოთლების აჭრა შეიძლება მთელი წლის განმავლობაში, რისთვისაც არჩევენ ახალგაზრდა ფოთლებს, რომლებმაც დაასრულეს ზრდა.

ასეთი გამრავლებისათვის იღებენ წვრილად გაცრილ ტორფს და მსხვილკოშტოვან სილას, რომლითაც ავსებენ საკმაოდ დიდ ჭურჭელს მასში ყუნწიანი ფოთლის მოსათავსებლად.

გასამრავლებელი მცენარიდან აჭრიან ფოთოლს ძალზე ბასრი დანით, რათა რაც შეიძლება ნაკლებად დაზიანდეს გადანაჭერი. დიდი ფოთლის ფირფიტის შემთხვევაში მის სიგრძეს ტოვებენ მხოლოდ 5 სმ-ზე. ხის პალოთი სუბსტრატში აკეთებენ იმხელა დრმულს, რომ ფოთოლმა დაიჭიროს თავის თავი, რომელსაც ოდნავ დახრილი კუთხით რგავენ ისე, რომ ფოთლის ფირფიტა

თითქმის ნიადაგზე იყოს დადგებული. ყუნძის გარშემო სუბსტრატს ტკეპნიან და ჭურჭელს აგსებენ ასეთი ნარგაობით, შემდეგ სუსტი წყლის ჭავლით რწყავენ, რომელშიც ფუნგიციდია (კაპტანი ან ფუნდოზოლი) გახსნილი.

ნარგაობას დგავენ მუდმივი მაღალი ტენიანობის პირობებში, რათა ფოთლები არ გამოშრეს. ყველას ჯობია ამისათვის გამოვიყენოთ საკანი, რომლის ქვედა ნაწილი თბება  $20^{\circ}\text{C}$ -მდე.




4.ღრმულში ფოთოლს რგავენ 5.ყუნწის ირგვლივ მიწას უმნიშვნელო კუთხით

ტკეპნიან

6.ეტიკეტს უკეთებებ და რწყავენ ფუნგიციდიანი წყლით

საკანი უნდა მოვათავსოთ განათებულ ადგილას, რათა ფოთლებმა მიიღონ სინათლე საკმარისი რაოდენობის ორგანული ნივთიერების სინთეზისათვის, რომელიც საჭიროა ნორჩი მცენარის განვითარებისათვის. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათი მზეზე მოთავსება არ შეიძლება, რათა ფოთლები არ დაიწვას და თუ ასეთი განათებული ადგილი არ გვაქვს, მზისგან დასაცავად ნარგავები უნდა დავჩრდილოთ.



7.ნარგაობა გადააქვთ საკანში ქვედა გათბობის სისტემით და წრდილავენ

8.როცა ამონაყრებს გაიკეთებენ, რწყავენ თხევადი სასუქებით

9.როცა მცენარეები გაიზრდება, გადარგავენ ცალკე ქოთანში

5-6 კვირის შემდეგ ვღებულობთ დაფესვიანებულ ახალ მცენარეებს. როცა ისინი იმდენად გაიზრდებიან, რომ მათი ხელით ამოღება შესაძლებელი გახდება, საჭიროა მათი გადარგვა და ინტენსიურად გამოკვება თხევადი მინერალური მიკრო და მაკრო სასუქებით.

## შ ი ნ ა რ ს ი

შესავალი-----3  
გარემო პირობების კონტროლი მცენარეების გამრავლებისათვის-----  
კვალსათბურები-----  
სათბურები-----  
ბურუსის შესაქმნელი დანადგარი-----  
პოლიეთილენის აფსკის ფარდულები და გვირაბები-----  
ნიადაგის ნარევების მომზადება-----  
ნიადაგის ნარევი დაკალმებისათვის-----  
ნერგების გამოსაზრდელი ნიადაგის ნარევი-----  
ახალგაზრდა მცენარეების ქოთნებში გამოსაზრდელი ნიადაგის ნარევი-----  
კომპონენტების შერევა-----  
ფესვწარმოქმნის მასტიმულირებელი ხერხები-----  
ფესვწარმოქმნის მასტიმულირებელი ჰორმონები-----  
ლეროს სპეციალური დასერვა-----  
მორწყვა-----  
დაწვიმება-----  
სასუქები-----  
სასუქების სწორად გამოყენება-----  
სასუქების შეტანა-----  
ფიტოსანიტარული ღონისძიებები-----  
ჭურჭელში თესვა-----  
თესლნერგების განვითარება-----  
ლებნიანი ფოთლები-----  
გაღივება-----  
ჯგუფვა ანუ პიკირება-----  
შრობა-----  
სეებიდან და ბუჩქნარიდან თესლის აღება-----  
ნაკვეთის მომზადება დასათესად-----  
თესვისათვის იდეალური პირობები-----  
თესვა-----  
თესვის ნორმა-----  
თესვის ოეკომენდებული ნორმები-----  
თესვა კვალში-----  
აღმონაცენის მოვლა-----  
ფესვები-----  
ფესვების ამონაფრების ბუნებრივი წარმოქმნა-----  
ფესვის კალმები-----  
დაკალმების ჩატარების დრო-----  
მცენარეები, რომლებიც წარმატებით მრავლდებიან ფესვის კალმებით-----  
სადედე მცანარეების მომზადება-----  
ფესვის კალმების ზომები-----  
ფესვის კალმის წვერის ადგილმდებარეობის განსაზღვრა-----  
კალმების დასარგავად მომზადება-----  
დარგვა-----  
მომდევნო მოვლა-----  
სახეშეცვლილი დეროები-----  
ფესურები-----  
მსხვილი მრავალწლიანი ფესურები-----  
გორგალ-ბოლქვებით გამრავლება-----

პატარა გორგალ-ბოლქვები-----  
ბოლქვები-----  
კილიანი ბოლქვები-----  
კრამიტისებური ბოლქვები-----  
ბოლქვებით გამრავლება-----  
დაყოფა-----  
ბალახოვანი მცენარეები ფუნჯისებრი ფესვებით-----  
ბუჩქისმაგვარი ბალახოვანი მცენარეები წყლიანი ყლორტებით-----  
ალპური მცენარეები, რომლებიც ბუნებრივ პირობებში იყოფიან-----  
ნახევრად გამერქნებული ბალახოვანი მცენარეები-----  
მერქნიანი ბუჩქნარების გამრავლება-----  
დაკალმება ირლანდიურად-----  
ამონაყრებით და ულვაშებით გამრავლება-----  
ამონაყრები-----  
ულვაშები-----  
გადაწვენით გამრავლება-----  
ჩვეულებრივი გადაწვენები-----  
ჰაერში დაფესვიანება-----  
წვერის გადანაწვენები-----  
ვერტიკალური გადაწვენა-----  
ფრანგული გადაწვენები-----  
გადაწვენები სადედე მცენარის ჩაღრმავებული დარგვის წესით-----  
სადედე მცენარეზე ტოტების განთავსების ხერხები-----  
დაკალმების ტექნიკა-----  
ფოტოლ-კვირტის კალმები-----  
კალმები “ჭუხლით”-----  
ჩაქუჩისმაგვარი კალმები-----  
ნახევრად გამერქნებული კალმები-----  
მარადმწვანე მცენარეები-----  
ბურუსის წარმომქმნელი დანადგარის გამოყენება-----  
გამერქნებული კალმები-----  
გამერქნებული კალმების დამზადება-----  
გამერქნებული კალმების ზომები-----  
ერთდღეროიანი ფორმირება-----  
კვირტების დაბრმავება-----  
რბილ გულგულიანი ღეროები-----  
მხვიარა მცენარეების დაკალმება-----  
წიწვოვანი მცენარეები-----  
წიწვოვანი მცენარეების გამრავლება თბილ პირობებში-----  
წიწვოვანი მცენარეების გამრავლება კვალსათბურებში-----  
ყუნწიანი ფოთლებით გამრავლება-----

## იბეჭდება ავტორის მიერ ღარენაზე სახით

გადაეცა წარმოებას 30.07.2009. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.08.2009. ქაღალდის ზომა 60X84 1/8. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 6. ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, კოსტავას 77

